საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
3 თებერვალი ხუთშაბათი 2011
№ 026 (13 323) ფასი 60 თეთრი



# რა ვიცით ეს ქართველებმა

ვჩხუბობთ შინ და ვჩხუბობთ გარეთ





რატომ დაითხოვა ზესტაფონმა ესპანური შეკრებიდან გელაშვილი და ხიდეშელი?

2

# დავიწყოთ გახარება უკრაინით!

რაგბი. ერთა თასი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო




13

# სუარესის გოლიანი დებიუტი



9

# რას ამბობენ რუსები ჩვენზე

...ფაჩულიათი და მის გარეშე საქართველოს ნაკრები სხვადასხვა გუნდია, როგორც თამაშის სტილით, ასევე საშიშროების მხრივ...

...ტექნიკასა და სროლასთან სანიკიძეს პრობლემები აქვს, მაგრამ შესანიშნავი ნახტომი და გრძელი ხელები მას მოხსნისას შეუცვლელ კალათბურთელად აქცევენ...

...საქართველოს ნაკრების ცალი ხელით ძლევა არ გამოვა. მას აქვს არაერთი კოზირი, რამაც რუსეთის ნაკრებს შეიძლება დიდი პრობლემები შეუქმნას...

# ლიტვაში ტურისტებად არ ჩავალთ

ინტერვიუ ბესიკ ლიპარტელიანთან

კალათბურთი 11

# საქართველოს ჟურნალისტთა რჩეული


1 დავით ზირაქაშვილი
რაგბი


2 ვიქტორ სანიკიძე
კალათბურთი


3 გიორგი გოგშელიძე
თავისუფალი ჭიდაობა


4 ზაზა ფაჩულია
კალათბურთი


5 ნინო სალუქვაძე
ტყვიის სროლა


6 ელენე გედევანიშვილი
ფიგურული ციგურაობა


7 ავთანდილ ჭრიკიშვილი
ძიუდო


8 ნანა ძაგნიძე
ჭადრაკი


9 ჯანო ანანიძე
ფეხბურთი


10 დავით ხუციშვილი
თავისუფალი ჭიდაობა

13

ქართული ფეხბურთი

ზესტაფონი



# ვერ არის კარგი ამბავი



## ზესტაფონმა ესპანური შეკრებიდან გელაშვილი და ხიდეშელი დაითხოვა

## ოფიციალურად: უდისციპლინობისთვის არაოფიციალურად: ჩხუბისთვის

გუშინ "ზესტაფონის" ორმა წამყვანმა ფეხბურთელმა, **გიორგი ხიდეშელმა** და **ნიკოლოზ გელაშვილმა** გუნდის ესპანური შეკრება დატოვა და საქართველოში გამობრუნდა. ბუნებრივია, მიზეზით დავინტერესდით. მათ ესპანეთში "ზესტაფონის" მიერ აქამდე გამართული ორი საკონტროლო მატჩიდან ერთშიც არ მიუღიათ მონაწილეობა, როგორც ითქვა, მიკროტრავმების გამო. ტრავმების გამო შეკრების ნაადრევად დატოვება მთლად სარწმუნო ამბად ვერ მივიჩნიეთ და მომხდარის რეალური მიზეზის გარკვევა დავიწყეთ.

თავიდან შევიტყვეთ, რომ ხიდეშელსა და გელაშვილს საქართველოსკენ გამოსამგზავრებელი ბილეთები ნაადრევად უდისციპლინობისთვის აუღეს, შემდეგ კი რამდენიმე სანდო წყარომ გვაცნობა, რომ მათ ერთმანეთში იჩხუბეს და შეკრებიდანაც ამიტომ დაითხოვეს.

*"ხიდეშელი და გელაშვილი ესპანური შეკრებიდან გათავისუფლებულები არიან, კლუბთან მათი თანამშრომლობის საკითხი უახლოეს მომავალში გაირკვევა"*, - გვითხრა "ზესტაფონის" პრესსამსახურის ხელმძღვანელმა **სერგო ფუტკარაძემ**, ფეხბურთელთა უდისციპლინობისა და კონკრეტული კონფლიქტის ვერსიაზე კომენტარის გაკეთებისგან კი თავი შეიკავა.

ესპანეთში გუნდის მთავარ მწვრთნელ **გია გეგუჩაძესაც** შევეხმიანეთ, რომელმაც ფეხბურთელთა უდისციპლინობის ფაქტი დაგვიდასტურა.

**- რატომ დატოვეს შეკრება ხიდეშელმა და გელაშვილმა?**

- დისციპლინის დარღვევის გამო.

**- მათ მხოლოდ შეკრება დატოვეს თუ კლუბიც?**

- მხოლოდ შეკრება, დანარჩენზე კი საქართველოში დაბრუნების შემდეგ ვიმსჯელებთ.

**- ჩვენი ინფორმაციით, მათ ერთმანეთში იჩხუბეს...**

- ინფორმაცია ბევრნაირი შეიძლება გავრცელდეს...

**ლევან ჯანეზაშვილი**

# სპარინგია, მაგრამ მაინც ნამეტანია

## შემდეგი მეტოქე კიევის დინამოა

**ზესტაფონი-სპარტა 0:5**

ზესტაფონი: მამალაძე (46. რ. კვასხვაძე) – ბენაშვილი (46. ალადაშვილი), მ. კობახიძე, გ. ონიანი (46. გრუიცა), ელიავა – დაუშვილი (46. ჩიხლაძე), გორგიაშვილი (46. ძარია), აფციაური (46. ჭანკოტაძე), გრიგალაშვილი (46. ბაბუნაშვილი) – დვალი (46. ფიფია), წინამძღვრიშვილი (64. ს. ლომია).

სპარტა: ბლაჟეკი, რჟეპკა, პამიჩი, პოდანი (76. ზემანი), სიონკო (66. ჰუშეკი), მატეიოვსკი (76. პაველკა), კვეუკე (81. ლაჩნი), კუშნირი, ბრაბეცი, ვაცეკი (86. სკალაკი), კერიჩი (66. კადერაბეკი).

გოლები: 0:1 კვეუკე (15), 0:2 კვეუკე (40), 0:3 კვეუკე (54), 0:4 პაველკა (81), 0:5 პაველკა (84).




ფოტო: www.fczestafoni.ge

აი, ასე დაიწყო "მარბელიას თასი" ესპანურ შეკრებაზე მყოფმა "ზესტაფონმა". კომენტარი, ვფიქრობთ, ზედმეტია. გასაგებია, რომ პრაღის "სპარტა" სულაც არ არის ხელწამოსაკრავი მეტოქე, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერის მიერ განცდილი 0:5, თუნდაც საკონტროლო მატჩში, მეტი რომ არ ვთქვათ, უსიამოვნო ამბავია.

ვფიქრობთ, შეხვედრის დეტალურ მიმოხილვას აზრი არ აქვს. ოქმში ნახავდით, რომ ჰეთთრიქი შეასრულა ჩეხთა კამერუნელმა ფორვარდმა **ლეო კვეუკემ, დავიდ პაველკამ** კი ქართველთა კარში წყვილი გოლი გაიტანა. "ზესტაფონის" კარის დარაჯმა **ზურაბ მამალაძემ** კი ისევე, როგორც "ლეხთან" ამხანაგურ მატჩში, აქაც თერთმეტმეტრიანი მოიგერია. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ტურნირის ორგანიზატორებმა გრაფიკი შეცვალეს და "მარბელიას თასის" ეს მეოთხედფინალური დაპირისპირება არა საღამოს, არამედ დღის პირველ ნახევარში გამართეს.

მარცხის მიუხედავად, **გია გეგუჩაძის** გუნდი ამ ტურნირზე ასპარეზობას განაგრძობს. "დამამშვიდებელ ეტაპზე" "ზესტაფონი" კიევის "დინამოსა" და დნეპროპეტროვსკის "დნიპროს" შორის დამარცხებულს უნდა შეხვედროდა, მაგრამ კიეველებს ესპანეთში ჩასვლა დააგვიანდათ და ნახევარფინალის საგზური ავტომატურად "დნიპროს" მიაკუთვნეს. "დინამოს" ამ მატჩში ნაგება ჩაეთვალა და, შესაბამისად, "ზესტაფონის" მორიგი მეტოქე 5 თებერვალს სწორედ **იური სიომინის** გუნდი იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ოლიმპი

# ფრთხილად, და[illegible]!

## გავუძელით, ანუ შევძელით

## ბატონი შვაბი: ეს და ეს კარგია, ეს კი... ვინ არის რუსთაველთა ინკოგნიტო?

**"ოლიმპმა" სიდეში შეკრება დაასრულა. რუსთაველებმა თურქეთი წაუგებლად დატოვეს: "ისტანბულს" (4:0), "სერვეტს" (3:2), "კიასოს" (1:0) და "აკადემიკს" 1:0 მოუგეს, სამთა ტურნირის ფინალში კი "ვილს" პენალტების სერიაში (5:4) აჯობეს.**

**გუშინ რუსთაველები საქართველოში დაბრუნდნენ და გავესაუბრეთ თორნიკე მაისურაძეს, რომელიც სამწვრთნელო ლიცენზიის მიღებამდე, გუნდს დირექტორის რანგით უხელმძღვანელებს.**

**- შეკრების დაგეგმვა და იქ დასახული ამოცანების განხორციელება გამოცდილ მწვრთნელებსაც უჭირთ.**

- მთავარი მწვრთნელის რანგში ეს ჩემი პირველი შეკრება იყო. დაიწერა, რომ ბუმბერაზები არ დაუმარცხებიათო, მაგრამ ხელწამოსაკრავი მოწინააღმდეგეებიც არ გვყოლია. "ვილმა" ჩვენამდე 3:1 დაამარცხა "გრასჰოპერი", 4:0 კი "სერვეტს" მოუგო, რომელსაც შემდეგ ჩვენც ვძლიეთ. სხვათა შორის, "სერვეტმა" შეკრებაზე საკმაოდ ძლიერი გუნდები დაამარცხა. სუსტი მხოლოდ "ინსტანბული" იყო, რადგან თავიდან ასეთი მეტოქე სასურველი გახლდათ. სხვათა შორის, ბულგარეთის "აკადემიკმაც" საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ბოლო ორ დღეს ზედიზედ ვითამაშეთ: "კიასო" საკმაოდ უხეშობდა, მერე კი "აკადემიკსა" და "ვილს" შევხვდით. ეს უკანასკნელი შვეიცარიელი მსაჯით გვეთამაშა, მან კი პენალტი არ დაგვიდო, თამაშგარეზეც საეჭვო გადაწყვეტილება მიიღო და, ფაქტობრივად, გასვლითი შეხვედრა გამოგვივიდა. პენალტების სერიაში მაინც მოვიგეთ.

**- შეკრებით კმაყოფილი დარჩით?**

- "ზალცბურგთან" ჩაშლილმა შეხვედრამ გეგმები აგვირია, თუმცა შეკრებამ წარმატებით ჩაიარა და დავრწმუნდი, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეგვიძლია. გუნდი შეთამაშდა, ბიჭებმა გამოცდილება მიიღეს და სასტარტო შემადგენლობის ბირთვი გამოიკვეთა. თუმცა გარანტირებული ადგილი არავის აქვს.

**- "ოლიმპის" შვეიცარიელ ფიზმომზადების მწვრთნელ ოლდრიხ შვაბს ქართველი ბავშვები ძალიან მოსწონს. თუმცა 65 წლის ასაკში უცხო ქვეყანაში წასვლა მაინც რთულია.**

- მისი მოტივაცია ქართველ ბიჭებთან მუშაობა იყო. გუნდში მიწვევამდე საქართველოს რომ ესტუმრა, გაოცებული იყო, უნიჭიერესი ბავშვები გყავთო და შეთავაზებაზე დაგვთანხმდა. შვაბი მეც ძალიან დამეხმარა და გუნდსაც. საინტერესო რამ თქვა: ძალიან სწრაფი და ტექნიკური ფეხბურთელები გვყავს, ამ გუნდით შვეიცარიის ჩემპიონატში ხუთეულში მოხვედრა თავისუფლად შეიძლებაო. თუმცა ნაკლზეც მიგვითითა, სათამაშო დისციპლინაში მოიკოჭლებთო.

**- და არა ფიზმომზადებაში?**

- ამ შეკრების შემდეგ ფიზმომზადებას ჩვენს ნაკლად ნაღდად ვერ ჩავთვლი... შვაბი სწორედ ფიზმომზადებისთვის მოვიწვიეთ, ჩვენთან მაისამდე არ დარჩება, მაგრამ ხშირად ჩამოვა და შვეიცარიიდანაც აქტიურად დაგვეხმარება.

**- გაგვიკვირდა, სიდეში დღეში სამჯერ რომ ვარჯიშობდით. ასე ფეხბურთელებს ადრე ლობანოვსკი ქანცავდა, ახლა კი მაგათი ქანცავს.**

- სამიდან ორი ვარჯიში მინდორზე იყო, ერთიც დარბაზში, ტანვარჯიშსა და გამძლეობაზე. დღეში 5-6-საათიანი ვარჯიში გამოგვდიოდა.

**- საათნახევრიან ვარჯიშებს მიჩვეულ ფეხბურთელებს ამხელა დატვირთვის ატანა არ გაუჭირდათ?**

- გაუძლეს, ანუ შეუძლიათ. მართლაც არანორმალური დატვირთვები იყო, თუმცა შვაბმა სახალისო ვარჯიშები შეარჩია და ამით ბიჭებს საქმე გაუადვილა. ეს ვარჯიშები ჩემპიონატის მსვლელობისას უკეთეს შედეგს მოგვცემს. თანაც კვება და აღდგენები ხელს გვიწყობდა.

**- ნიჭიერი, მაგრამ გულშემატკივრებისთვის უცნობი მოთამაშეები შეარჩიეთ.**

- ჩვენი სურვილიც ეს არის, დიდ ფეხბურთში ახალგაზრდა, უცნობ ბიჭებს გავუხსნათ გზა - ასეთია ჩემი და კლუბის პრეზიდენტის ხედვა. ნიჭიერები კი მრავლად არიან. ლეგიონერების ჩამოყვანა ჩვენც შეგვიძლია, მაგრამ დარწმუნებულნი ვართ, რომ საქართველოშიც მოიძებნებიან ისეთივე დონის ფეხბურთელები და სათამაშო კლასს აიმაღლებენ. ჯობს, ქართველებმა ითამაშონ და არა მესამეხარისხოვანმა ლეგიონერებმა.

ახლების ასაყვანად რუსთავში ექვსდღიანი შერჩევები მოვაწყვეთ. 50-მდე ფეხბურთელს დავაკვირდით და საბოლოოდ შვიდი დავიტოვეთ: "სამტრედიადან" ცენტრალური ნახევარმცველი ვაკო ტყემალაძე, ამავე გუნდის დუბლებიდან - ჰავბეკი ზურაბ ქურდობაძე, რომელიც საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი ფეხბურთელია. თუ ბოლომდე დაიხარჯა, შეუძლია, „ოლიმპის" ერთ-ერთი ლიდერიც გახდეს.

თელაველია მარჯვენა მცველი გიორგი მურველაშვილი, რომელსაც ცენტრში თამაშიც შეუძლია. რეგიონული ლიგიდან



დავიმატეთ რუსთაველი გიორგი გორდეზიანი, აგრეთვე ლევან სეთურიძე, ბელარუსიდან - ირაკლი მაისურაძე, თავდამსხმელი თორნიკე ბახტაძე კი - ფინური კლუბიდან. "სამტრედიადან" ილია პავლიაშვილიც მოვიწვიეთ, მაგრამ უკრაინაში გასასინჯად წავიდა.

აქ მხოლოდ ირაკლი მაისურაძე ვერ გავსინჯეთ, რომელიც ბელარუსში თამაშობდა და შეკრებამდე ორი დღით ადრე შემოგვიერთდა. სიდეს სასტუმროში ადგილები დაჯავშნილი გვქონდა და ვერ მიგვყავდა. ამ დროს ლაშა ჯაფარიძე ნალჩიკის "სპარტაკში" სინჯებზე მიიწვიეს და ერთი ადგილი გათავისუფლდა. მაისურაძემ ვარჯიშზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა, წავიყვანეთ და არ შევმცდარვართ, ძალიან კარგი ფეხბურთელი გამოდგა. მიმაჩნია, რომ ჩვენს თურქულ გამარჯვებებში დიდი წვლილი შეიტანა.

**- დამატებულებში ბეგლარიშვილი არ გიხსენებიათ.**

- მისი საკითხი ბოლომდე ვერ გადაწყდა, ახლა ესტონელთა თანხმობას ველით.

**- ჯაფარიძე ნალჩიკის "სპარტაკში" დარჩა?**

- ეს ჯერ არ ვიცით. თუ არ დაიტოვებენ, ჩვენ დაგვიბრუნდება.

**- ჭანტურიასა და ბერიაშვილის გარდა, კლუბი ვინ დატოვა?**

- სხვა ყველა დარჩა.

**- შეკრება დასრულდა, ფეხბურთელების დამატებას აღარ აპირებთ?**

- ერთზე ვფიქრობთ, მაგრამ ჯერ ტრანსფერი არ შეთანხმებულა და დაკონკრეტებას მოვერიდები. სომხეთიდან, „ულისიდან" შოთა ჯიქიას ჩამოყვანაც გვსურდა, მას შეკრებაზე ველოდით, მაგრამ კლუბმა არ გამოუშვა.

**მერაბ მამულაშვილი**


დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07



რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ლეგიონერი

# კანკავა: არა ვარ კრივბასში!



ორიოდე დღის წინ „კრივბასის" ვებგვერდმა გაავრცელა ცნობა, თითქოს **ჯაბა კანკავა** კრივოი როგის "კრივბასში" გადავიდა. ცხადია, ინფორმაციის აქტუალობიდან გამომდინარე, ის ქართულ მედიაშიც გადმოიბეჭდა.

გუშინ ჯაბას უკრაინაში დავუკავშირდით და აღმოჩნდა, რომ კრივოი როგის პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეეფერება. საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი დღემდე "დნიპროს" დუბლშემადგენლობაში ვარჯიშობს, იქიდან არსად წასულა და უკვირს, თუ „კრივბასში" არ ჩავსულვარ, საკონტროლო შეხვედრას ან როგორ გამოვტოვებდი, ან როგორ ჩავატარებდიო.

ამას გარდა, ამბობს, რომ კრივოიროგულ კლუბში განათხოვრებაზე მისთვის არაფერი უთქვამთ.

მერაბ მამულაშვილი

სამზადისი. სპარტაკი

# რევანში სტუდენტებთან

ცხინვალის „სპარტაკმა" გუშინ მორიგი საკონტროლო მატჩი ჩაატარა და ისე როგორც ამ სამი დღის წინ, **ბადრი კვარაცხელიას** გუნდის მეტოქე ამჯერადაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი (მთავარი მწვრთნელი - **გოჩა ჟორჟოლიანი**) იყო. თუმცა, მეტოქეთა წინა დაპირისპირებიდან განსხვავებით, გუშინ გამარჯვება რანგით ბევრად უფრო მაღლა მყოფმა „სპარტაკმა" მოიპოვა და მოწინააღმდეგე დიდი ანგარიშით (4:1) დაამარცხა.

სტუ-სთან მატჩში ანგარიში 21-ე წუთზე **ბესიკ დეკანოიძემ** გახსნა, პირველი ტაიმის მიწურულს კი სპარტაკელთა ეფექტური სამსვლიანი კომბინაცია **მიხეილ ბარაბაძის** ზუსტი დარტყმით დამთავრდა; შესვენების შემდეგ „სპარტაკის" მთავარმა მწვრთნელმა, ფაქტობრივად, მთელი შემადგენლობა გამოცვალა, თუმცა თავი არც ახალგაზრდებს შეურცხვენიათ: 62-ე წუთზე **გიორგი სეფიაშვილმა**, ხოლო 67-ე წუთზე **ტიერი-ანს კლოვისმა** მეტოქის კარში კიდევ ორი გოლი გაიტანეს. სტუ-მ ერთადერთი რაც მოახერხა, პრესტიჟის გოლი იყო - 75-ე წუთზე თავი **ავთანდილ ბაგალიშვილმა** გამოიჩინა.

„სპარტაკმა" ეს სპარინგ-მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: **გრიშიკაშვილი-მამუჩიშვილი, ტეტუნაშვილი, ბოიომო, დ. ლობჟანიძე - დეკანოიძე, მგელაძე, ვ. ბოლქვაძე, კლოვისი - მ. ბარაბაძე, მეტრეველი.**

*შეცვლაზე შემოვიდნენ:* ***დაუშვილი, სეფიაშვილი, გ. ალავიძე, ნარიმანიძე, ხაჭვანი, მ. ჯიშკარიანი, ჯაყელი, ვ. კილასონია, ზერეკიძე.***

აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ტრავმების გამო „სპარტაკს" 7 ფეხბურთელი აკლდა: **თემურ შონია, ნუკრი მანჩხავა, ვლადიმერ უგრეხელიძე, ლევან ჭაფოძე, მურმან ქურასბედიანი, ილია ბუზალაძე და კახაბერ კაკაშვილი.**

მომდევნო მატჩს „სპარტაკი" შაბათს ჩაატარებს: „ბენდელას თასზე" გუნდი ნახევარფინალში „გაგრას" დაუპირისპირდება.

გია ტუხაშვილი

იქნება, არ იქნება?

# ხალხი გააუქმეს

## პროფლიგას შენობის დაცლა მოსთხოვეს

პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისი 2004 წელს ფეხბურთის ფედერაციის შენობაში განთავსდა, 2006 წელს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გადაბარგდა, ახლა კი იქაურობის დატოვება მოუწევს.

საქმე ისაა, რომ პროფლიგა იჯარის თანხას ვერ იხდიდა და ორიოდე დღის წინ შენობის დაცლა მოსთხოვეს. ასე რომ, ორგანიზაცია, ფაქტობრივად, აღარც არსებობს.

ლიგამ ვერც სპონსორები მოიძია, ეროვნული ჩემპიონატიც ფეხბურთის ფედერაციამ გადაიბარა, უფუნქციოდ დარჩენილი თანამშრომლები სამსახურში არ დადიან და, ფაქტობრივად, ორგანიზაციის არსებობამაც აზრი დაკარგა.

მოკლედ, შეიძლება ვთქვათ, რომ ძველი ფორმაციის პროფლიგა გარდაიცვალა. არადა, ლიგამ ჩვენი ფეხბურთის განვითარებისთვის ბევრი გააკეთა.

2003 წლის 17 ივლისს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა ქუთაისის „ტორპედოს" მაშინდელ ვიცე-პრეზიდენტ **დიმიტრი რამიშვილის** ინიციატივა მოიწონა და ამიერკავკასიაში პირველად ფეხბურთის პროფესიული ლიგა საქართველოში დაარსდა.

2004 წელს ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი და პირველი ლიგებისა და ეროვნული თასის გათამაშების ჩატარების უფლება ლიგას მიანიჭა.

ქართული ფეხბურთისთვის ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს და ეროვნულ თასს პირველად გამოუჩნდნენ სპონსორები, აღდგა საქართველოს სუპერთასის გათამაშება, მიმზიდველი გახდა ეროვნული თასის ფინალური და სუპერთასის მატჩები.

სეზონის საუკეთესო მწვრთნელების, ფეხბურთელების, ჟურნალისტებისა და პროექტების დასაფასებლად იმართებოდა სეზონის შემაჯამებელი საღამო-კონცერტი „დია" და გამოჩნდა, რომ ქართველებმაც ვისწავლეთ პროექტების "ლამაზად შეფუთვა".

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პოპულარიზაციას ემსახურებოდა კომპიუტერული თამაში „ჩემი ფეხბურთი".

ყურადღება ექცეოდა საკლუბო ინფრასტრუქტურის განვითარებას. ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველად, 2005-06 წლების სეზონში ყველა გუნდში ამუშავდა პრესსამსახური, რადგან ამის აუცილებლობა დებულებაში ჩაიწერა. ჟურნალისტებისთვის სასიამოვნო იყო, რომ ლიგა მასმედიის ინტერესებს ითვალისწინებდა.

უმაღლესი ლიგის გუნდების ანალოგიით, ჭაბუკთა სამი ლიგა დაარსდა, რომელთაც უეფას სოლიდარობის ფონდი აფინანსებდა.

მართალია, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი სასურველ დონეს არ მიახლოვებია, იყო პრეტენზიები ჩემპიონატისა და თასის პრემიების ჩარიცხვასთან დაკავშირებით, მაგრამ მიმართულება იყო სწორი.

ეს ყოველივე იმისთვის კეთდებოდა, ფეხბურთი ბიზნესად რომ გადაქცეულიყო. მანამდე ხომ ასე არ იყო და ეროვნული ფეხბურთის გასათანამედროვებლად სიახლეები აუცილებელიც იყო.

რუსეთის აგრესიამ და ეკონომიკურმა კრიზისმა ყველაფერი არია. პროფლიგას ხელმძღვანელის შეცვლამაც ვერ უშველა, რადგან ქვეყანაში ფეხბურთისთვის თანხების მოძიება ერთობ გაჭირდა.

2010 წლის დეკემბერს **ზვიად სიჭინავამ** ფეხბურთის ფედერაციას ეროვნული ჩემპიონატის ორგანიზება დაავალა. ლიგას კი შენობიდან მალე გამოასახლებენ და, ჯერ უცნობია, იარსებებს თუ არა მომავალშიც ეს ორგანიზაცია.

მერაბ მამულაშვილი

ახალთაობელები

# გაიზარდე!

## ქართველებმა დალოცვა ვიცით, ჰოლანდიელებმა საქმე

თბილისში გამართულ 17-წლამდელთა შესარჩევ ტურნირზე **კობა ჟორჟიკაშვილის** შეგირდებმა დაგვარწმუნეს, რომ ნიჭიერი თაობა მოდის. ნაკრებს მილმაც რამდენიმე საინტერესო ფეხბურთელი დარჩა: ნახევარმცველი **სანდრო წულუკიანი** დანიის იმ გუნდმა მიიწვია, რომელშიც **ალან სიმონსენს** და **პრებენ ელკიაერს** უთამაშიათ. ლაპარაკია "ვაილეზე". სანდროს თამაშით დაიმედებულმა დანიელებმა კიდევ ორი ქართველი შეარჩიეს - მალე 18 წლის **გიორგი პაპავა** და **სერგი ქავთარაძეც** ამ კლუბში ივარჯიშებენ.

ორიოდე დღის წინ კი ჰოლანდიის მოქმედი ჩემპიონის, "ტვენტეს" 17-წლამდელთა გუნდში გასინჯვიდან **სანდრო კვარაცხელია** დაბრუნდა, რომელიც ჰოლანდიელებს მოეწონათ და მაისში ისევ დაიბარეს.

ვინ არის სანდრო კვარაცხელია? 17 წლისა ახლახან შესრულდა, შარშან "ოლიმპის" შემადგენლობაში სლავა მეტრეველის ჭაბუკთა ტურნირის ჩემპიონიც გახდა და საუკეთესო ბომბარდირიც - 25 თამაშში 28 გოლი გაიტანა.

*"თბილისის შესარჩევ ტურნირზე "ტვენტეს" სკაუტი შვედ ახალგაზრდებზე დასაკვირვებლად იყო ჩამოსული. მართალია, ნაკრებში არ ვიყავი, მაგრამ ჩემითაც დააინტერესეს და "ტვენტეს" აკადემიაში გასინჯვაზე მიმიწვია. ორი საკონტროლო მატჩი მათამაშეს, პირველი გერმანულ "მიუნსტერთან", რომელშიც ჩვენზე ერთი წლით უფროსები გამოდიოდნენ და მეორე ჰოლანდიის ერთ-ერთ ქვედალიგელთან, რომელშიც 23-25 წლისანი თამაშობდნენ. პირველი შეხვედრა ჩასვლისთანავე ჩავატარე და გოლი ვერ გავიტანე. მეორე 3:1 მოვიგეთ და ორი ბურთი შევაგდე. თამაშის შემდეგ ჩემს თანმხლებ ნათესავს "ტვენტეს" 17-წლამდელთა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, ფრანკ ტემპელმანმა უთხრა, ბავშვი მოგვეწონა, მაისში საერთაშორისო ტურნირზე გამოვიძახებთ, რამდენიმე მატჩს ვათამაშებთ და მისი ნამდვილი შესაძლებლობები გვეცოდინებაო.*

*ჰოლანდიაში მკაცრი კანონებია, 17-წლამდელთან კონტრაქტის გაფორმება, მით უმეტეს, არაევროკავშირელ ახალგაზრდასთან, ძალიან ბევრ პროცედურასთან არის დაკავშირებული, მაგრამ ჩემზეა დამოკიდებული – თუ მაისშიც მოვეწონე, კონტრაქტიც გახერხდება".*

რამდენიმე თანაგუნდელისგან განსხვავებით, "ოლიმპის" ბომბარდირი 17-წლამდელთა ნაკრებში ვერ მოხვდა....

*"სანაკრებო სინჯებზე ორჯერ ვიყავი, მაგრამ ნაკრებში ვერ მოვხვდი, სამაგიეროდ, ჩემი თანაგუნდელები – ბაჩო არაბული, გიორგი ფანცულაია, დაჩი ცნობილაძე და ბაჩი ჩაჩხალია აიყვანეს, რომელთაც კარგად ითამაშეს და მომდევნო ეტაპზე გავიდნენ. მე კი აქ ორ ტურნირზე გამოვდიოდი - გია ცეცაძესთან ჭაბუკთა ლიგაზე ვთამაშობდი, გიორგი დევდარიანთან კი - "ოლიმპის" დუბლებში. არნემი ენსხედესთან ახლოსაა, ერთხელ ვარჯიშის მერე პირდაპირ "ვიტესის" თამაშზე წავედით და გიორგი ჭანტურიას თამაში ვნახე. იმ დღეს "ვიტესმა" პირველად მოიგო, თანაც დიდი ანგარიშით და თავი საქართველოში მეგონა - ჩემს სიახლოვეს სულ ქართველები ისხდნენ!"*

რა განასხვავებს ჰოლანდიურ და ჩვენს ბავშვთა ფეხბურთს?

*"სისწრაფე! იქ ვარჯიშებიც ისეთ ტემპში ტარდება, სხვა გზა არ გაქვს, უნდა აჰყვე. მოკლე პასებით თამაშობენ. არ მახსოვს, მეკარეს ბურთი თამაშში ძლიერი დარტყმით შეეყვანოს, ის პასს მუდამ მცველს აწვდის და შეტევა ასე იწყება. ასეთ თამაშს ასწავლიან, რაც მათი ფეხბურთის თავისებურებაა. სურთ, რომ დიდ გუნდში მისვლამდე ბურთი და პასი კარგად იცოდე, მოედანზე სწრაფად აზროვნებდე და მერე დიდებში ეს ყველაფერი სასწავლი აღარაფერი გექნება.*

*"ტვენტეს" აკადემიის ბაზა ისეა მოწყობილი, ჩვენი უმაღლესი ლიგის კლუბებს შეშურდებათ. რვა მოედანია 10-ათას ადგილიანი სტადიონით, სადაც ჭაბუკთა პირველობა ტარდება. ამ რვიდან ორი ხელოვნურსაფრიანია და რაკილა ზამთარი იყო, ხშირად იქ ვვარჯიშობდით. მოკლედ, ისეთი პირობებია, ივარჯიშე, ისიამოვნე და გაიზარდე".*

მერაბ მამულაშვილი

U21. ევრო 2013



# აღთქმულ მიწაზე დაგვედგას ფეხი

## საქართველო რუსეთის წილი არ იქნება

დღეს შვეიცარიის ქალაქ ნიონში ევროპის 2013 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის წილისყრა გაიმართება.

წინასწარ ცნობილი გახდა, რომ უეფამ პოლიტიკური დაპირისპირებები გაითვალისწინა და ერთ ჯგუფში რუსეთ-საქართველოსა და აზერბაიჯან-სომხეთის ნაკრებების მოხვედრა გამორიცხა.

52 ნაკრები 10 ჯგუფად განაწილდება (ორი 6-გუნდა, დანარჩენები 5-გუნდა). 10 გამარჯვებული პლუს 4 საუკეთესო მეორეადგილოსანი პლეიოფში ორმატჩიან დაპირისპირებაში დაწყვილდებიან და ევროპის ჩემპიონატზე გასული 7 გუნდი გაირკვევა, მათ კი მასპინძელი ისრაელი დაემატება - ფინალური ტურნირი "აღთქმულ მიწაზე" 2013 წლის ივლისში გაიმართება.

გუნდები კალათების მიხედვით გაანაწილეს. წინა ციკლში საკმაოდ კარგი გამოსვლის მიუხედავად, საქართველო ბოლოსწინა, მე-4 კატეგორიის ნაკრებებში მოხვდა:

**1. ინგლისი, ესპანეთი, ჰოლანდია, იტალია, რუსეთი, შვედეთი, ჩეხეთი, სერბეთი, გერმანია, რუმინეთი.**

**2. პორტუგალია, უკრაინა, თურქეთი, შვეიცარია, უელსი, ბელარუსი, საფრანგეთი, ავსტრია, დანია.**

**3. ხორვატია, საბერძნეთი, სლოვაკეთი, შოტლანდია, უნგრეთი, ბელგია, მოლდოვა, ფინეთი, სომხეთი.**

**4. ჩრდილოეთ ირლანდია, ლატვია, ჩერნოგორია, საქართველო, ბოსნია, პოლონეთი, ნორვეგია, სლოვენია, ირლანდია, ბულგარეთი.**

**5. მაკედონია, ალბანეთი, ფარერები, კვიპროსი, ლიტვა, ყაზახეთი, ესტონეთი, აზერბაიჯანი, ანდორა, სან მარინო, ლუქსემბურგი, მალტა, ლიხტენშტაინი.**

მერაბ მამულაშვილი

U17

# ჩხაიძე არ გამოდის

"მიუნხენ 1860"-ის წევრი **ლუკა ჩხაიძე** საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებთან ერთად შეკრებაზეც იმყოფებოდა და ამხანაგურ მატჩებშიც ითამაშა, მაგრამ ჩვენს ნაკრებში ოფიციალურად ასპარეზობის უფლება ვერ მოიპოვა.

საქმე ისაა, რომ მისი ორივე მშობელი გერმანიის მოქალაქეა და სწორედ ამიტომ ვერ ხერხდება ჩხაიძისთვის ორმაგი მოქალაქეობის მინიჭება. ამას წინათ ლუკამ "ლელოსთან" ინტერვიუში იმედი გამოთქვა, რომ ეს საკითხი დადებითად გადაწყდებოდა და მარტში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტ-რაუნდში თამაშის შანსი მიეცემოდა, მაგრამ, როგორც ქართველ 17-წლამდელთა მთავარმა მწვრთნელმა **კობა ჟორჟიკაშვილმა** გვითხრა, ჩხაიძე ამ ეტაპზე ქართულ პასპორტს ვერ მიიღებს.

*"ამ მიმართულებით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ბევრი იმუშავა. ჩვენც ბევრი ვეცადეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, კანონში ხელმოსაჭიდი ვერაფერი ვიპოვეთ. არ ვიცი, რა იქნება მომავალში, ამჟამად კი გამორიცხულია, ლუკამ საქართველოს სახელით ითამაშოს",* - თქვა ჟორჟიკაშვილმა.

ლევან ჯანეზაშვილი

ლელო

ხელმოწერის მსურველთა საყურადღებოდ!

„ლელოზე" ხელმოწერის გასაფორმებლად ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ ჩვენი საგამომცემლო სახლის სააგენტოს ელვა.ჯი. სურვილის მიხედვით სააგენტოს წარმომადგენელი თავად მოგაკითხავთ ორგანიზაციაში ხელმოწერის ნებისმიერი რიცხვიდან გასაფორმებლად. გაზეთის დროული და უკლებლივ მოწოდება გარანტირებულია.

დარეკეთ: 38 26 73; 38 26 74 ელვა.ჯი.

ბიბლიოთეკა

● რეიტინგები

## ნელ-ნელა, მაგრამ ავდივართ

გუშინ ფიფამ ახალი სანაკრებო რეიტინგი გამოაქვეყნა, სადაც საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 72-ედან 71-ე ადგილზე გადაინაცვლა. რაც შეეხება ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჩვენს მეტოქეებს, ხორვატიის ნაკრებმა საუკეთესო ათეულში ადგილი შეინარჩუნა და კვლავ მე-9 საფეხურზეა; ათეულში შეაღწიეს ბერძნებმაც, რომლებმაც ერთი ნაბიჯით წაიწიეს და მეათე ადგილზე არიან; ისრაელი ორი პოზიციით დაქვეითდა და 52-ე პოზიციაზეა, ლატვიამ და მალტამ კი, შესაბამისად, 76-ე და 163-ე ადგილები შეინარჩუნეს.

საუკეთესო ათეულში ერთადერთი ცვლილებაა – საბერძნეთმა იქიდან ეგვიპტე გამოდევნა.

საუკეთესო ათეული: **1. ესპანეთი, 2. ჰოლანდია, 3. გერმანია, 4. ბრაზილია, 5. არგენტინა, 6. ინგლისი, 7. ურუგვაი, 8. პორტუგალია, 9. ხორვატია, 10. საბერძნეთი**

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ჩვენი ოთხეული ოთხასეულში

მსოფლიო ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHS) მორიგი საკლუბო რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც მსოფლიოს 400 კლუბია შესული, აქედან ოთხი ქართულია.

საქართველოდან საუკეთესო პოზიცია თბილისის "დინამოს" უკავია. ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი წინა თვესთან შედარებით ექვსი საფეხურით დაქვეითდა და დღეისთვის 127-ე ადგილზეა; "დინამოს" მოსდევს "ზესტაფონი", რომელსაც ერთადგილიანი პროგრესი აქვს და 212-ე პოზიციაზეა; "ვიტ ჯორჯია" 325-ედან 357-ემდე დაეშვა, საქართველოს მოქმედმა ჩემპიონმა რუსთავის "ოლიმპმა" კი 373-ედან 366-ე ადგილზე აინაცვლა.

რეიტინგს კვლავაც ევროპის ჩემპიონთა ლიგის მოქმედი გამარჯვებული, მილანის "ინტერი" ლიდერობს, მას "ბარსელონა" მოსდევს, რომელმაც მიუნხენის "ბაიერნს" ადგილი გაუცვალა. საუკეთესო ათეულში რვა ევროპული და ორიც სამხრეთამერიკული კლუბი მოხვდა.

საუკეთესო ათეული: **1. ინტერი (იტალია), 2. ბარსელონა (ესპანეთი), 3. ბაიერნი (გერმანია), 4. რეალი (ესპანეთი), 5. ლივერპული (ინგლისი), 6-7. ინტერნასიონალი (ბრაზილია), ესტუდიანტესი (არგენტინა), 8. პორტუ (პორტუგალია), 9-10. მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი), ატლეტიკო (ესპანეთი).**

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ლეგიონერი

## იმოდრიჩებს კუტალია?

**ლევან კუტალია** ოფიციალურად გახდა მოსტარის "ზრინსკის" ფეხბურთელი. 22 წლის ქართველი ბოსნიის პრემიერლიგის პოპულარული კლუბის შეკრებაზე ერთი თვე იმყოფებოდა და მისი საკითხი დადებითად გადაწყდა.

*"ორიოდე დღის წინ ხელმძღვანელობამ დამიბარა და კონტრაქტზე დავილაპარაკეთ. საკმაოდ კარგი პირობები შემომთავაზეს და ორწლიანი კონტრაქტი გავაფორმე. შვიდი წლის წინ "ზრინსკიში" ხორვატიის ნაკრებისა და ამჟამად "ტოტენჰემის" ნახევარმცველი ლუკა მოდრიჩი 17-ნომრიანი მაისურით თამაშობდა.. მე სწორედ 17-ნომრიანი მაისური გადმომცეს და მითხრეს, მოდრიჩის მსგავსად უნდა ითამაშოო. ამ ნდობამ ძალიან გამახარა"*, - ამბობს კუტალია.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი პირობებითაც კმაყოფილია: *"ბოსნიური კლუბების პირობებს კარგად ვიცნობ. ორი წელი სარაევოს "სლავიაში" ვირიცხებოდი, რომელიც ბოლო წლებში ბოსნიის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია. "ზრინსკი" კი მიმდინარე ჩემპიონატში ბოლოდან მესამე ადგილზეა. მართალია, მოსტარელებს ფინანსურად არ უჭირთ, მაგრამ მოსალოდნელზე უკეთესი პირადი კონტრაქტი შემომთავაზეს.*

*ამ კლუბში თამაში ფეხბურთელისთვის რეკლამაცაა. კლუბი ბოსნიის ორგზის ჩემპიონი და თასის მფლობელია, მის ფეხბურთელებს ევროპაში საკმაოდ ხშირად ყიდიან, ასე რომ, ჩემთვის მისაღები ვარიანტია".*

"ზრინსკის" მთავარმა მწვრთნელმა **სლავენ მუსამ** კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე კომენტარი გააკეთა: *"ჩვენმა შტაბმა კუტალიას დატოვება გადაწყვიტა. შენაძენით კმაყოფილები ვართ, რადგან ლევანს შეტევის გამწვავება შეუძლია".*

**მერაბ მამულაშვილი**

● ახალგაზრდა მწვრთნელები — ინტერვიუ გელა სანაიასთან

# უფულოთა მწვრთნელი

## ვისვენებთ, ვსწავლობთ, ვბრუნდებით

**ამ რამდენიმე დღის წინ რუბრიკით „ახალგაზრდა მწვრთნელები" დებიუტანტ სპეციალისტთან, ბოლნისის „სიონის" აწ უკვე ყოფილ თავკაც გიორგი ყიფიანთან ინტერვიუ შემოგთავაზეთ. ყიფიანის თანატოლი, ასევე 32 წლის გახლავთ გელა სანაიაც - პირველ ეტაპზე „სამტრედიის" მთავარი მწვრთნელი, კოლეგისაგან განსხვავებით უმაღლეს ლიგაში უკვე მეორე სეზონს ატარებს; უფრო ზუსტად, ატარებდა, - ზამთრის შესვენების წინ ეს პერსპექტიული მწვრთნელი ფინანსურად შეჭირვებული „სამტრედიიდან" წამოვიდა. მოკლედ, დღესდღეობით ისეთი სიტუაციაა, რომ უმაღლეს ლიგას სამი ახალგაზრდა მწვრთნელიდან მხოლოდ ერთიღა, რუსთავის „ოლიმპის" თავკაცი თორნიკე მაისურაძე შემორჩა...**

**...სანაია-მწვრთნელის შესაძლებლობებში წინა ჩემპიონატში დავრწმუნდით, როდესაც ყველასათვის უცნობი სპეციალისტის ხელმძღვანელობით მოასპარეზე „ლოკომოტივმა" რამდენიმე მატჩში სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზა. იმის მიუხედავად, რომ „ლოკომოტივმა" უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება ვერ შეძლო, დებიუტანტი მწვრთნელის მოღვაწეობა, საერთო აზრით, მაინც დადებითად შეფასდა. თანაც, „სამტრედიისა" არ იყოს, დებიუტანტი მწვრთნელი „ლოკომოტივშიც" არანაკლები სერიოზული პრობლემების წინაშე იდგა; ეგ კი არა, არავინ იცის, გუნდში ფინანსური თუ ადამიანური რესურსის დეფიციტი რომ არ ყოფილიყო, „ლოკომოტივს", შესაძლოა, უმაღლესში ადგილიც შეენარჩუნებინა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, მაგრამ პერსპექტიული მწვრთნელის შესაძლებლობები შეუმჩნეველი არავისთვის დარჩენილა და გასულ ზაფხულს „სამტრედიის" გაწვრთნა შესთავაზეს. ახალგაზრდა მწვრთნელს ამ შემთხვევაშიც სერიოზული სირთულეების გადალახვა მოუხდა: „ლოკომოტივზე" არანაკლები (თუ, მეტი არა) ფინანსური პრობლემები „სამტრედიაში" იყო; იმის გარდა, რომ მთელი პირველი ეტაპის განმავლობაში „სამტრედიის" მწვრთნელ-ფეხბურთელები უხელფასოდ და უპრემიოდ ირჯებოდნენ, ხშირი იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა გუნდის სხვა ქალაქში გამგზავრებაც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. ასეთი, მართლაც არასაფეხბურთო პირობებიდან გამომდინარე, პირველ ეტაპზე „სამტრედიის" გასაკრიტიკებლად ენა ვის უნდა მობრუნებოდა; უფრო, პირიქით იყო: ძალიან ბევრისთვის მოულოდნელად, გელა სანაიას დამოძღვრილმა გუნდმა „დინამოსაც" აჯობა, „ტორპედოსაც" და „ოლიმპთან" კი ფრედ ითამაშა. კიდევ ვიმეორებთ: ეს წარმატებები ნამდვილად არ იყო „კონტექსტიდან ამოვარდნილი" და ფავორიტებთან მოპოვებული ქულები გუნდის სამწვრთნელო შტაბისა და თითოეული ფეხბურთელის მაქსიმალური მონდომების შედეგი გახლდათ. ისეთი შემთხვევებიც არაერთხელ ყოფილა, როცა „სამტრედიას" პირველი ტაიმი პირწმინდად ჩაუგდია, მაგრამ შესვენების შემდეგ მოედანზე აბსოლუტურად განსხვავებული გუნდი გამოსულა და ის კონკრეტული მატჩიც თავის სასარგებლოდ დაუსრულებია! ყოველივე ეს კი, რალა თქმა უნდა, მთავარი მწვრთნელის დამსახურება გახლდათ: გონივრული და ეფექტიანი შეცვლებით, სულ მცირე, სამი-ოთხი მატჩი რომ „შემოუტრიალებია". აქედან გამომდინარე, არც ის ფაქტი უნდა გაკვირვებოდა ვინმეს, რომ „ლელოს" ტრადიციულ ნომინაციებში გელა სანაია სამჯერ მივიჩნიეთ „ტურის მწვრთნელად"! არადა, ნუ დაგვავიწყდება, რომ ლაპარაკია აუტსაიდერი და უფულო გუნდის მწვრთნელზე; და საერთოდაც, მსგავსი და უფრო მეტი პატივი პირველ ეტაპზე მხოლოდ ჩემპიონატის ფავორიტთა თავკაცებმა, გია გეგუჩაძემ და კახა კაჭარავამ დაიმსახურეს.**

**...დღესდღეობით უმუშევარი მწვრთნელი გელა სანაია რედაქციაში გვესტუმრა და თავდაპირველად, რალა თქმა უნდა, მისი ახლანდელი ყოფით დავინტერესდით...**

- ამჟამად ვისვენებ, თუმცა უფეხბურთოდ რა გამაჩერებს და მაქსიმალურად ვცდილობ თბილისში ჩატარებულ სხვადასხვა საკონტროლო მატჩს დავესწრო.

**- სამწვრთნელო საქმიანობას როდის გააგრძელებთ?**

- ჯერჯერობით, კონკრეტული წინადადება არ მაქვს. თუმცა მწვრთნელობა რახან გადავწყვიტე, იმასაც შეგუებული ვიყავი, რომ ხან აქტიური მუშაობა მომიწევდა, ხან - დასვენება. უბრალოდ, მსურს, ჩემ შემთხვევაში დასვენება ხანგრძლივი არ იყოს...

**- „სამტრედიიდან" წამოსვლის მერე თქვენი სახელი და გვარი რამდენიმე გუნდს დაუკავშირეს, - თითქოსდა, ქუთაისის „ტორპედოშიც" გიწვევდნენ, მერე - „დინამოში"...**

- ორივე შემთხვევაში აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაცია იყო. ქუთაისიდან შემოთავაზება მართლაც მქონდა და ამ კლუბის ხელმძღვანელთა მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. არც იმას დავმალავ, რომ ერთობ საინტერესო პროექტი იყო და ბავშვთა სექტორში მთავაზობდნენ სამსახურს, მაგრამ თავაზიანი უარი ვთქვი.

**- „დინამოზე" რაღას იტყოდით?**

- ეს, უფრო ჭორის დონეზე იყო, რადგან ამ კლუბიდან არავინ დამკავშირებია.

**- ვისვენებო, საკონტროლო მატჩებს ვესწრებიო, ბრძანეთ და, როგორ ფიქრობთ, ასე რამდენ ხანს გაგრძელდება?**

- ამაზე ზუსტ პასუხს ვერაფრით გაგცემთ. თუმცა, დროს უქმად არ დავკარგავ და პრო-ლიცენზიის მისაღებად მოვემზადები. აქვე, ვსარგებლობ შემთხვევით და გაიოზ დარსაძეს დიდ მადლობას გადავუხდი, ვინც ყველანაირად მეხმარება და პრო-ლიცენზიის ასაღებად რეკომენდაცია გამიწია.

**- ახლა „სამტრედიაში" გატარებულ პერიოდზე ვისაუბროთ.**

- თითქმის იმავე სიტუაციაში მომიწია მუშაობამ, როგორც „ლოკომოტივში", მაგრამ სხვაობაც იყო: რეგიონია, ჩასულ კაცს თავიდან „არაერთგვაროვნად" შემხვდნენ, თუმცა მიმაჩნია, რომ სამწვრთნელო შტაბისა და ფეხბურთელების საერთო ძალისხმევით, შესაძლებლობების მაქსიმუმი ვაჩვენეთ.

**- ერთ-ერთი „მთავარი სხვაობაც" არ გითქვამთ: „ლოკომოტივისგან" განსხვავებით, „სამტრედიის" საშინაო მატჩებში გულშემატკივარის პრობლემა ხომ არასდროს დამდგარა.**



გელა სანაია

- გეთანხმებით: როცა 2000 ქომაგი მთელი მატჩის განმავლობაში მხურვალედ გიჭერს მხარს, მოტივაციაც გიათმაგდება და საერთოდაც, სტადიონზე ჭეშმარიტი საფეხბურთო სიტუაციაა. არ დაგიმალავთ და ასეთ დროს აღარც ვფიქრობდი, გუნდს სერიოზულზე სერიოზული ფინანსური პრობლემები რომ ჰქონდა.

**- პრობლემები არც თქვენს წინა გუნდს აკლდა...**

- „ლოკომოტივშიც" და „სამტრედიაშიც" უმაღლეს ლიგაში დარჩენისათვის ვიბრძოდით; თუმცა, იმავე „ლოკომოტივში" გარკვეული გამოცდილება დამიგროვდა და, რაც მთავარია, ფსიქოლოგიურად მზად ვიყავი საკუთარი თავი ძნელ სიტუაციაში გამომეცადა.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თავდაპირველად „სამტრედიის" ქომაგებთან არცთუ თბილი დამოკიდებულება ჩამოგიყალიბდათ.**

- სიძნელეებს არასდროს ვუშინდები, არც სწავლას ვთაკილობ და იმიტომაც ვამბობ, რომ წინა სეზონმა უდიდესი გამოცდილება შემძინა. არ დაგიმალავთ: ჩემი და „სამტრედიის" ქომაგთა ურთიერთობა თავდაპირველად მართლაც ვერ აეწყო; მაგრამ, ამ ქალაქში ობიექტური გულშემატკივარია და როცა დაინახეს, გუნდმა თამაშის ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად ქულების მოგროვებაც დაიწყო, ეს დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. ანუ, ხედავდნენ, თუ როგორ ვშრომობდით, თორემ საწყის სამ ტურში ერთი ქულის მოპოვებას ქომაგთა მხრიდან ადეკვატური რეაქცია რომ მოჰყვებოდა, ამას ბევრი რა მიხვედრა სჭირდებოდა.

**- წარუმატებელ სტარტს ზედიზედ რამდენიმე გამარჯვება მოჰყვა; განსაკუთრებით მოულოდნელად კი, რალა თქმა უნდა, „ტორპედოსთან" და „დინამოსთან" გამარჯვებები უნდა მივიჩნიოთ.**

- დიდი ხნის პაუზის შემდეგ უმაღლეს ლიგაში სამტრედიისა და ქუთაისის გუნდების დაპირისპირება მართლაც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა; თანაც, ყველამ ვიცოდით, რომ ფინანსურადაც მშვენივრად უზრუნველყოფილი მეტოქე გველოდა, მაგრამ „სამტრედიის" ფეხბურთელებმა არნახულად მოტივირებულად და მონდომებულად ჩაატარეს ეს მატჩი და საკუთარ ქომაგებს უდიდესი სიხარული მიანიჭეს. იმავეს ვიტყოდი „დინამოსთან" და „ოლიმპთან" ჩატარებულ მატჩებზეც: ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდის და მოქმედი ჩემპიონის წინააღმდეგ ყველა გაორმაგებული მოტივაციით ასპარეზობს და მიხარია, რომ ასეთ ძლიერ მეტოქეებს ქულები დავაკარგვინეთ.

**- მოტივაციასა და მონდომებას არაფერი სჯობია, მაგრამ ალბათ, ისიც ძნელი იქნებოდა, უხელფასო გუნდის ფეხბურთელები ყოველი მატჩის წინ საბრძოლველად განგეწყოთ.**

- სამწუხაროდ, „ლოკომოტივშიც" და „სამტრედიაშიც" ანალოგიური პრობლემის წინაშე ვიდექი და მართლაც უხერხულია, ფეხბურთელებს სრულ კონცენტრაციაზე, ტაქტიკა-სტრატეგიასა თუ სხვა ნიუანსებზე იმ დროს ესაუბრო, როცა ამ ფეხბურთელებს თვეების განმავლობაში ხელფასი არ მიუღიათ. თუმცა, ვამაყობ, რომ „სამტრედიაში" ისეთ პროფესიონალებთან ვმუშაობდი, ფულზე მაღლა „სხვა" რამეს რომ აყენებდნენ.

**- თქვენც უხელფასოდ მუშაობდით?**

- არც მე და არც ფეხბურთელებს ოთხი თვის განმავლობაში ხელფას-პრემია არ აგვიღია. ბოლოს ისეთი სიტუაციაც შეიქმნა, დაახლოებით სამი კვირის განმავლობაში საკვების პრობლემას... გულშემატკივრები გვიგვარებდნენ...

**- ეს როგორ გავიგოთ?**

- „ჩვეულებრივად" - თავიანთი სახლიდან ფეხბურთელებისათვის საჭმელი მოჰქონდათ...

**- პირველ ეტაპზე „სამტრედიამ" რამდენიმე გამორჩეული მატჩი რომ ჩაატარა, ადრეც არაერთხელ აღგვინიშნავს, როგორც კონკრეტული ფეხბურთელების ბევრისთვის მოულოდნელად დამაჯერებელი ასპარეზობა - ამ შემთხვევაში მანამდე ყველასათვის უცნობ ახალგაზრდებსაც (კირკიტაძე, ძაგანია) ვგულისხმობთ და ვეტერანებსაც (ჩომახიძე).**

- საუბარს ამ უკანასკნელის დახასიათებით დავიწყებ და ვიტყვი, რომ შოთა ჩომახიძე პირველი ეტაპის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი გახლდათ. არც იმას დავმალავ, რომ ჩემთვის, ცოტა არ იყოს, გაუგებარია, 32 წლის მოთამაშეს საქართველოში უკვე „ჩამოწერილ ვეტერანად" რომ მოიხსენიებენ, - არადა, ჩომახიძის თამაში აშკარად საპირისპიროს ამტკიცებდა. იგივეს თქმა შემიძლია კიდევ ერთ ფეხბურთელზე - მიხეილ კაკალაძეზეც, ვისი გამოცდილებაც ასე გამოგვადგა.

**- „სამტრედიამ" რამდენიმე მატჩში წარმატებას იმის მერე მიაღწია, როცა შეცვლაზე 18 წლის დავით კირკიტაძე შეგყავდათ-ხოლმე...**

- ძალიან პერსპექტიული ბიჭია და XXI ჩემპიონატის ერთ-ერთ აღმოჩენადაც შეიძლება მივიჩნიოთ; სხვათა შორის, რამდენჯერმე ძირითადშიც ვანდე ადგილი და თავი არასდროს შეურცხვენია - გადამწყვეტი გოლებიც გაუტანია და საგოლე პასიც გაუკეთებია. ჩვენი მეკარის, ლაშა ძაგანიას შეფასებაშიც დაგეთანხმებით - სეზონისწინა სინჯებზე თავი მომაწონა და მერე უკვე ჩვენი ნდობა დამაჯერებელი ასპარეზობით გაამართლა. ბოლოს და ბოლოს, „ლელო" ტყუილუბრალოდ სამჯერ ხომ არ შეიყვანდა „ტურის სიმბოლურ ნაკრებში"?

**- ესე იგი, სპორტულ პრესას საგულდაგულოდ ეცნობით?**

- რა თქმა უნდა, განსაკუთრებით კი „სამტრედიას" შესახებ დაბეჭდილ სტატიებსა თუ ინფორმაციებს...

**- სხვებისგან ვიცით, რომ პირველი ეტაპის ბოლო ტურის მატჩში (ზუგდიდში) „სამტრედიას" მთავარი მწვრთნელი უკვე აღარ იყავით.**

- კრიტიკულზე მეტი რომ ჰქვია, იმ დროს უკვე ისეთი სიტუაცია იყო, - ფეხბურთელთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა აღარ ვარჯიშობდა და მეც ვერავის ვერაფერს დავაძალებდი: ანუ, მატჩის წინ არანაირი განწყობა აღარ იგრძნობოდა და მეც, ფაქტობრივად, შეგუებული ვიყავი იმ შეხვედრაში წაგებას. იმასაც ვამჩნევდი, რომ გუნდის ფინანსური მდგომარეობა არ გაუმჯობესდებოდა და წამოსვლა გადავწყვიტე.

**- საერთოდ კი, რამდენხნიანი კონტრაქტი გქონდათ?**

- ერთწლიანი, მაგრამ ჩემ მიმართ არსებულ იმ სახელფასო დავალიანებას როგორ მოვითხოვ? დარწმუნებულ ვარ, ფეხბურთელებიც ამავე აზრის იქნებიან... აქვე ვსარგებლოდ შემთხვევით და ჩემს თანამოაზრეებს, „სამტრედიის" მწვრთნელს ლევან ანჯაფარიძესა და მამუკა მესიაჩენკოს გვერდში დგომისათვის დიდ მადლობას გადავუხდი.

**- დაბოლოს, თქვენს სადებიუტო სეზონსა და ამ ჩემპიონატს შორის რა სხვაობა დაინახეთ?**

- წინა ჩემპიონატში „ლოკომოტივმა" I და II წრე სუსტად ჩაატარა, მეორე ეტაპზე კი ავთამაშდით, მაგრამ საკმარისი არ აღმოჩნდა და პირველ ლიგაში დაქვეითდა. სხვაობა კი მართლაც დიდია: წინა ჩემპიონატში ცხრილის ზედა ნაწილშიც და აუტსაიდერთა შორისაც ბევრი რამ „ადრევე" გაირკვა; ახლა კი ბევრად უფრო დაძაბული და საინტერესო ჩემპიონატია.

**- საერთოდ, ფავორიტად რომელ გუნდს მიიჩნევთ?**

- მიმაჩნია, რომ პირველ ეტაპზე საუკეთესო გუნდი „ზესტაფონი" იყო: ყველაზე სანახაობრივ ფეხბურთსაც უჩვენებდა და, რაც მთავარია, კლუბი სწორი გზით ვითარდება. რა თქმა უნდა, ის ფაქტიც მახარებს, „დინამოში" ასეთი სასიკეთო ცვლილებები რომ დაიწყო...

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გამოხმაურება

# გინება გვირაბში


რა უთხრა ესპანელმა მსაჯებს ასეთი?

„არსენალისა" და „ევერტონის" შეხვედრა „მეთოფეთა" გამარჯვებით 2:1 დასრულდა. მოგეხსენებათ, თავიდან ლივერპულელი სტუმრები იგებდნენ - **ლუი საამ** გოლი აშკარა თამაშგარედან შეაგდო, მაგრამ თანამსაჯს შეეშალა და ჩათვალა - შესვენების შემდეგ კი ჯერ შეცვლაზე შესულმა **ანდრეი არშავინმა** გაათანაბრა, მერე კი **ლორან კოშელნიმ** თავურით გამარჯვების გოლიც გაიტანა.

ზემოთ ნახსენები ოფსაიდის მიუხედავად უკმაყოფილო მაინც „ევერტონის" თავკაცი **დევიდ მოიესი** დარჩა. მატჩის შემდეგ ის ცხარობდა, მსაჯ **ლი მეისონს** „მეთოფეების" კაპიტანი **სესკ ფაბრეგასი** მისი და მეოთხე არბიტრის გინებისთვის თამაშიდან უნდა გაეგდოო. მიაქციეთ ყურადღება: თამაშიდან და არა მოედნიდან, რადგან ინციდენტი შესვენებისას გასახდელში მოხდა. ფაბრეგასის ყვირილის მიზეზი, რასაკვირველია, საას გოლი გახლდათ. საინტერესოა, რომ ბოლო ერთ კვირაში ესპანელ ვარსკვლავს უკვე მეორედ სდებენ გინებაში ბრალს. პირველად, ფეხბურთის ასოციაციის თასის მეოთხე ეტაპზე დამარცხებული „ჰადერსფილდის" მცველმა **ენტონი პილიკინგტონმა** თქვა, მატჩის შემდეგ ორმა კაცმა მაისურის გაცვლა რომ ვთხოვეთ, ლანძღვა დაიწყოო.

დავუბრუნდეთ მოიესს: *„იმ სიტყვების გამო, ფაბრეგასმა მთავარ და მეოთხე მსაჯებს რომ უთხრა ის დაუყოვნებლივ წითელი ბარათით უნდა დაესაჯათ. როგორც ჩანს, მეისონს იგი ძალიან დიდ მოთამაშედ მიაჩნია და გაგდება ვერ გაუბედა. რა სიტყვები უთხრა? ვერ გავიმეორებ. დაე, თავად მსაჯებმა გიამბონ რა შეარჩინეს ფეხბურთელს. ეჭვი არ მეპარება, ეს ამბავი მოედანზე რომ მომხდარიყო, ხალხის დასანახად არბიტრი წითელ ბარათს ამოიღებდა. არადა, გვირაბში ყველამ ყველაფერი გავიგეთ. მიკვირს, რატომ უნდა იყოს სხვანაირი მიდგომა მოედანზე, გვირაბში კი - სხვანაირი".*

ამ დღეს მოიესი ფაბრეგასმა, ეტყობა, მეტისმეტად გააღიზიანა, რადგან „ლურჯი ლივერპულელების" თავკაცმა სხვა ამბავზეც გაამახვილა ყურადღება:

*„მას პირველ ტაიმში მიკელ არტეტას წინააღმდეგ უხეშობისთვის ყვითელი ბარათიც ეკუთვნოდა. არტეტა პირველ 6 წუთში სამჯერ დააგდეს მოედანზე".*

ცნობისათვის: თუ შეხვედრის არბიტრი ფაბრეგასის გინების ამბავს პატაკში ჩაწერს, ფეხბურთის ასოციაციამ შეიძლება ის დისკვალიფიკაციით დასაჯოს.

გამარჯვებულთა თავკაცმა **არსენ ვენგერმა** კი პრესკონფერენციაზე სხვა „ლურჯებს", „ჩელსის" გაჰკრა კბილი - ლაპარაკი ინგლისის ჩემპიონთა მიერ სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს **ფერნანდო ტორესის** და **დავიდ ლუიზის** ყიდვას შეეხო. ვენგერმა დასავლეთლონდონელები ორმაგ სტანდარტებში დაადანაშაულა:

*„სიტყვით „ჩელსიმ" ფინანსური ფეარ-პლეის პრინციპებს მხარი დაუჭირა, მაგრამ სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს ჯერ გამოაცხადა 70 მილიონი ფუნტის ზარალი მაქვსო, იმავე საღამოს კი ორ ფეხბურთელში 75 მილიონი გაისროლა. სად არის აქ ლოგიკა? ვშიშობ, რომ ჩვენ „ჩელსის" სატრანსფერო ბაზარზე წინააღმდეგობას ვერ გავუწევთ, მოვა ზაფხული და თქვენ კიდევ ნახავთ, რას იზამს რომან აბრამოვიჩი".*

# უეინ რუნი, მორჩილი შეგირდი

**სერ ალექს ფერგიუსონმა** „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „ასტონ ვილას" შეხვედრის წინ ასეთი რამ თქვა:

*„ამ სეზონში უეინ რუნისგან 10 გოლი მჭირდება, დიმიტარ ბერბატოვისგან კი - 30".*

და რუნი დავალების შესრულებას დაუყოვნებლივ შეუდგა: ბირმინგემელებს ორი გოლი შეუგდო - პირველი თამაშის დაწყებისთანავე, 50-ე წამზე, მეორე კი ზედ შესვენების წინ, როდესაც **ნანის** შესანიშნავი ჩაწოდებით ისარგებლა. ამრიგად რუნიმ გააკეთა ის, რაც ბოლოს 11 თვის წინ მოახერხა - ერთ შეხვედრაში ორჯერ გაიტანა.

ფერგიუსონი: *„ჩვენი ორი თავდამსხმელის, რუნისა და ბერბატოვის პარტნიორობა ძალიან მნიშვნელოვანია და საბედნიეროდ ის თვალსა და ხელს შუა იხვეწება. თუ სეზონს ისე ჩავამთავრებთ, რომ ბერბატოვი 30 გოლს გაიტანს რუნი კი ათს, მე ძალიან კმაყოფილი ვიქნები. ასეთ შედეგს წარმატებულ პარტნიორობას ვუწოდებ".*

დღეისათვის ბერბატოვს 19 გოლი აქვს გატანილი, რუნის კი ხუთი. „ასტონ ვილას" კარში მესამე გოლი **ნემანია ვიდიჩმა** შეაგდო. მატჩის შემდეგ რუნიმ თქვა:

*„ვინ გახდება პრემიერლიგის ჩემპიონი ახლა ჩვენზეა დამოკიდებული. ძალიან გამიხარდა, გოლების გატანა რომ მოვახერხე. იმედი მაქვს, ამიერიდან კარგი პერიოდი დამეწყება. ბოლო დროს ცუდად არ ვთამაშობდი, მაგრამ გოლები ვერ გამქონდა, არადა თავდამსხმელისთვის სწორედ ეს არის მთავარი. პირველი გოლი ვან დერ სარის პასით გავიტანე. ამ კომბინაციას მე და ედვინი უკვე რამდენი წელიწადია ვამუშავებთ, მაგრამ აქამდე არ გამოგვდიოდა. ამჯერად ყველაფერი კარგად აეწყო: ედვინმა ჩვენი საჯარიმოს წინიდან დაარტყა და პირდაპირ საგოლე პოზიციაზე გამიყვანა. კარგი იყო მეორე გოლიც, რომელიც ნანის შესანიშნავი პასით შევაგდე".*

რუნის ჟურნალისტებმა „ჩელსის" გაძლიერების შესახებაც ჰკითხეს. მან უპასუხა:

*„რასაკვირველია, „ჩელსი" ტიტულის პრეტენდენტობიდან ერთი წამითაც არ ჩამოგვიწერია. ის ძლიერი გუნდია, რომელსაც შეუძლია ძალები მოიკრიბოს და გამარჯვებას გამარჯვება მოაყოლოს, მაგრამ როგორც უკვე მოგახსენეთ, ახლა ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული".*

სტატისტიკოსებმა ყურადღება მიაქციეს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი" 12 წლის წინანდელ საკუთარს შედეგს გაუტოლდა - 1999 წლის „ტრებლის" მომგები გუნდი 29 შეხვედრაში დაუმარცხებელი გახლდათ. ყველა შეჯიბრებაში ერთად დღევანდელი „იუნაიტედიც" ასეა. ფერგიუსონმა თქვა:

*„დღეს თამაში დიდებულად დავიწყეთ, რაც უეინის პირველი გოლის დამსახურებაა. მან მთელი შეხვედრა დიდებულად ჩაატარა. რასაკვირველია, აქამდე გოლები რომ ვერ გაჰქონდა ნაკლი იყო, მაგრამ ეს ის ფეხბურთელია, რომელსაც წარუმატებლობასთან შეგუება არ სჩვევია და როგორც ხედავთ ეს ნაკლიც გამოასწორა".*



# ძველი ბიჭების ახალი სტიმული

„ჩელსის" ახალწვეულებს **ფერნანდო ტორესსა** და **დავიდ ლუიზს** საბუთები დროულად ვერ გაუფორმეს და მათ „სანდერლენდთან" ამიტომაც ვერ ითამაშეს, მაგრამ ინგლისის ჩემპიონს „ახალი სისხლის" დახმარება არ დასჭირვებია - **ფრენკ ლემპარდის, სალომონ კალუს, ჯონ ტერისა** და **ნიკოლა ანელკას** გოლებით 4:2 მოიგო. ანგარიში „სანდერლენდმა" გახსნა, რასაც ლონდონელებმა ორით უპასუხეს. შემდეგ მასპინძლებმა, რომელთაც, ეტყობა, კარგად ახსოვდათ, როგორ მოუგეს პირველ წრეში „ლურჯებს" ლონდონში 3:0, წონასწორობა აღადგინეს, მაგრამ ბოლო ნახევარ საათს ველარ გაუძლეს.

ამგვარად, ფერნანდო ტორესის დებიუტს ახალი გუნდის შემადგენლობაში კვირას... „ლივერპულის" წინააღმდეგ ვიხილავთ. ბედს ასეთი ხუმრობები სჩვევია!

„სანდერლენდთან" თამაშის შემდგომ პრესკონფერენციაზე „ჩელსის" თავკაც **კარლო ანჩელოტის** ჰკითხეს, რას ფიქრობს ტორესისა და ძველი ფეხბურთელების შეთამაშებაზე. იტალიელმა უპასუხა:

*„ტორესი იმდენად დიდი შესაძლებლობების ფეხბურთელია, რომ ნებისმიერ გუნდში უპრობლემოდ ითამაშებდა. მე კარგად ვიცი, ვინ არის ის: არც მეკარეა, არც მცველი და არც ნახევარმცველი, ამიტომ ჩემს გუნდში იმ საქმეს გააკეთებს რაც ძალიან ეხერხება. გარანტიას გაძლევთ, რომ მას არც დიდიე დროგბასთან ექნება პრობლემები".*

ანჩელოტი **კენი დალგლიშის** გუნდის წინააღმდეგ ლუიზის გამოყენებასაც აპირებს:

*„ლუიზი ფანტასტიკური მონაცემების მქონე ფეხბურთელია. ის ჩემპიონთა ლიგის შეხვედრებშია გამოცდილი, ასე რომ, „ჩელსისთან" და პრემიერლიგასთან შეჩვევა არ გაუჭირდება. ის ძალიან კარგად ჩაეწერება მცველთა ოთხეულში, თუმცა ნახევარმცველიც არის და საჭიროების შემთხვევაში მოედნის შუაშიც ითამაშებს".*

ინგლისელი მიმომხილველების აზრით, სანდერლენდის „სთედიუმ ოფ ლაითზე" „ლურჯების" განსაკუთრებული მონდომება ახალი ფეხბურთელების ფაქტორმაც განაპირობა - ადგილის დაკარგვა არავის სურს. ანჩელოტის ჟურნალისტებმა ამის შესახებაც ჰკითხეს. მან უპასუხა:

*„ყველამ კარგად იცის, რა დონის ფეხბურთელებიც შეგვემატნენ და ყველას უხარია. ახალი ბიჭების დახმარებით ჩვენ ჯილდოების მოგებას შევძლებთ".*

მაგრამ პრემიერლიგის ტიტულისთვის ბრძოლა ახლა უკვე რთულია, რადგან „მანჩესტერ იუნაიტედმა" ლიდერობა მყარად იგდო ხელთ:

*„როგორც ნახეთ, დღეს „მანჩესტერ იუნაიტედმაც" გაიმარჯვა და ჩვენ შორის სხვაობა უცვლელი დარჩა. რასაკვირველია ყველა ღონეს ვიხმართ, მდგომარეობა ჩვენს სასარგებლოდ რომ შევცვალოთ. სტუმრად ჩატარებულ ბოლო ორ შეხვედრაში გავიმარჯვეთ, მომავალშიც შევეცდებით ასე გავაგრძელოთ, მაგრამ იქნება თუ არა ეს ჩემპიონობისთვის საკმარისი, გამოჩნდება. სამწუხაროდ, ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული. თუ „იუნაიტედი" მოგებებს განაგრძობს, მისი დაწევა ძნელი იქნება".*

საინტერესო ის გახლავთ, რომ ანჩელოტის თქმით კვირას, „ლივერპულის" წინააღმდეგ მან შეიძლება ერთბაშად სამი თავდამსხმელი დროგბა, ანეკლა და ტორესი ათამაშოს. ეს იდეა მწვრთნელს თავისი ვარსკვლავების მაქსიმალურად გამოყენების სურვილმა გაუჩინა.

*„შეიძლება ორი თავდამსხმელით ვითამაშო, მაგრამ შეიძლება ეგრეთ წოდებულ ბრილიანტს მივმართო და წინ გაწეულ ტორესსა და დროგბას უკნიდან ანელკა მივახმარო".*

იმ დამთხვევამ, რომ „ელ ნინიოს" პირველი შეხვედრა მაინცდამაინც „ლივერპულის" წინააღმდეგ უწევს, გულშემატკივრებში მითქმა-მოთქმა გამოიწვია. დაიწყეს ლაპარაკი ჯენტლმენურ მომენტებზე, იმაზე, რომ ტორესისთვის მერსისაიდელების წინააღმდეგ თამაში უხერხულია და ასე შემდეგ. ანჩელოტიმ თქვა:

*„ჩვენსა და „ლივერპულს" შორის არანაირი შეთანხმება არ ყოფილა, ასე რომ, ტორესს თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ თამაშში ხელს არაფერი უშლის".*

„ჩელსის" აღმასრულებელმა შეფმა **რონ გურლიმ** კი თქვა: *„კარლო სიხარულისგან ცაში დაფრინავს. ის გვეუბნებოდა, რომ ერთი-ორი ახალი ფეხბურთელი გუნდს ძალიან გადაახალისებდა. მაშინ, ექვსი თვის წინ მე მას ვუთხარი, თუ ახალ ფეხბურთელს მოგიყვანთ ის უმაღლესი რანგის ვარსკვლავი იქნება-მეთქი. ჩვენ საუცხოო გარიგების გაჩარხვა შევძელით".*


ჩელსის ტრიო ხარობს

● სატრანსფერო ამბები

# და ბლექპულისთვის შეიქმნა ადამი...

„ბლექპულის" შოტლანდიელი კაპიტანი **ჩარლი ადამი** გულდაწყვეტილია, რადგან სატრანსფერო ბაზრის ბოლო დღეს მას „ლივერპულში" გადასვლის ნება არ დართეს. ზღვისპირელთა ლიდერი ამბობს, რომ იანვარში, მთელ პრემიერლიგაში, ის იყო ერთადერთი ვარსკვლავი, რომელსაც სხვა გუნდში გადასვლა სურდა, მაგრამ კლუბმა დაუშალა. და რა მოჰყვება ადამის განაწყენებას? არაფერი, რადგან ის, როგორც ნამდვილი პროფესიონალი ამბობს, რომ „ბლექპულის" მაისურით ძველებური თავდადებით განაგრძობს თამაშს, სეზონის დამთავრების შემდეგ კი ახალ გუნდს მიაშურებს.

*„სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს ნამდვილი საგიჟეთი გამოვიარე, მაგრამ მე კვლავ „ბლექპულის" ფეხბურთელად ვრჩები. მინდა ჩემი გუნდის ფანებმა იცოდნენ, რომ მათი ერთგული ვარ. მე ყველა ღონეს ვიხმარ, რათა გუნდმა შეძლებისდაგვარად მაღალი პოზიცია დაიკავოს".*

ადამის აგენტმა, „ევერტონის" მწვრთნელის **დევიდ მოიესის** ძმამ **კენი მოიესმა** კი თქვა, რომ მისი კლიენტის ამ ნათქვამში სრულიად დაფარულია უდიდესი წყენა და იმედგაცრუება. მოიესმა ბრძანა:

*„ჩარლის ძალიან უყვარს „ბლექპული" და მისი ფანები, მაგრამ მას ძალიან უნდოდა „ლივერპულში" გადასვლა. ნეტა თუ არსებობს ამქვეყნად ფეხბურთელი, რომელიც „ლივერპულის" დარეკილს გულგარეთ დატოვებდა და „ენფილდ როუდზე" გადასვლას არ მოინდომებდა? მაგრამ ადამს პატივი საერთოდ არ სცეს და მისი სურვილი ყურად არ იღეს. „ბლექპულმა" ის თანხაც კი არ დაასახელა, რომლის მიღებასაც ამ ფეხბურთელის სანაცვლოდ ისურვებდა, რათა აზრიანი მოლაპარაკებები გამართულიყო. სწორედ ამან იმოქმედა ჩარლიზე ძალიან. ემოციური თვალსაზრისით ეს ძალიან დიდი დარტყმა იყო. წარმოიდგინეთ, როგორ იგრძნობს ადამი თავს, როდესაც ჯერ ერთი შეურაცხყოფა მიაყენეს და მეორეც, პრემიერლიგის ვარსკვლავთა შორის დატოვეს ერთადერთ კაცად, ვისაც სურვილი არ შეუსრულეს.*

*საბედნიეროდ, ჩარლი „რეინჯერსიდან" ჩამოსული კაცია და „ტყვიაგაუმტარი" გახლავთ. გარწმუნებთ, დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება ადამიანი, რომელიც მას წყენას შეატყობს და მის ადრინდელ და მომავალ თამაშს შორის რაიმე განსხვავებას იპოვის. სხვა საქმეა, რომ „ბლექპულს" მისი პირადი ამბიციის დაკმაყოფილება მართებს და იმედს გამოვთქვამ, რომ ეს კლუბი ზაფხულზე ადეკვატურად მოიქცევა.*

*მოგეხსენებათ, ორშაბათს, ბოლო წამს საქმეში „სფურზიც" ჩაერთო, მაგრამ ლონდონელებმა ძალიან გვიან გამოიღეს ხელი. პრესაში წავიკითხე, თითქოს „ბლექპულმა" ორი დირექტორი ვერ შეკრიბა, საბუთებზე ხელი რომ მოეწერათ, მაგრამ ჩვენ ხომ „ტოტენჰემთან" ფეხბურთელის გასამრჯელო და სხვა პირადი საკითხებიც არ გვქონდა შეთანხმებული და ასე მოუმზადებლად კონტრაქტზე ხელს როგორ მოვუწერდით? ერთი სიტყვით, ჩარლი ადამის „ტოტენჰემ ჰოთსპურში" გადასვლა იმთავითვე განწირული საქმე იყო".*

ხოლო „ბლექპულის" მწვრთნელმა **იან ჰოლოუეიმ**, რომელსაც ადამის ტრანსფერიდან წილი ერგება, ასე განაცხადა:

*„მე რომ ჩარლის ადგილზე ვიყო ყველაფერს, რაც მოხდა შევხედავდი როგორც სასიკეთო ამბავს. ახლა მას შეუძლია ჩვენთან თავის გემოზე ითამაშოს, მერე კი ზაფხული დადგება და ძალიან დიდი არჩევანი გამოუჩნდება".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

## უცხოური ფეხბურთი

სერია A. XXIII ტური

# ფორტუნა ლაციოს მხარეს




სერია A-ს XXIII ტური „სან სიროზე" გამართული მატჩით გაიხსნა, რომელშიც ერთმანეთის პირისპირ „მილანი' და „ლაციო" წარსდგნენ. მიუხედავად იმისა, რომ **მასიმილიანო ალეგრის** ფეხბურთელთა მთელი არმია ჰყავს ტრავმირებული, ფავორიტად მაინც „მილანი" მიიჩნეოდა - შესაბამისად, დაფიქსირებული საყაიმო შედეგით სტუმრები დარჩნენ კმაყოფილნი. ცნობისთვის, „ლაციოს" უკვე ოცი წელია, რაც „როსონერისთვის" გასვლაზე არ მოუგია და ტრადიცია არც ამჯერად დაირღვა. ვერც იმას ვიტყვით, რომ რომაელები ახლოს იყვნენ ნავსის გატეხვასთან - უფრო პირიქით, გადარჩნენ და იღბალს უნდა უმადლოდნენ, რომ დედაქალაქში ქულით ხელდამშვენებულნი დაბრუნდნენ. მით უმეტეს, დანაკლისი რომაელებსაც ჰქონდათ - **სერჯო ფლოკარი** და **ტომაზო როკი** დაშავებულნი არიან და ისლა დარჩენია **ედუარდო რეიას ლიბორ კოზაკსა** და **ჯუზეპე სკულის** დაეყრდნოს.

პირველი ტაიმი მეტ-ნაკლებად თანაბარი იყო, თუმცა მომენტები უფრო „ლაციოს" კართან შეიქმნა. 25-ე წუთზე **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** შეეძლო ანგარიშის გახსნა, ახლო მანძილიდან თავური დაარტყა, მაგრამ სტუმართა მცველმა იყოჩაღა და დროულად გადაეფარა კარისკენ მიმავალ ბურთს. თავის გამოჩენა **ემანუელსონსაც** შეეძლო, ძლიერად დაარტყა შორი მანძილიდან, თუმცა მცირედით არაზუსტად. რომაელთაგან **ბიავას** შეეძლო გატანა, ვისი დარტყმულიც **კრისტიან აბიატიმ** მოიგერია.

მეორე ნახევარში „ლაციომ" უკან დაიხია და საკუთარ ნახევარზე გამაგრდა. სტუმართაგან მოედნის ცენტრის დათმობამ მილანელებს თითქოს გაუადვილა ამოცანა, მუდმივად „ლაციოს" საჯარიმოს დასტრიალებდნენ და გოლიც მოამწიფეს, მაგრამ იმ დღეს ფორტუნა აშკარად „ბიანკოჩელესტეს" მხარეს იყო. რთულია ყველა იმ მომენტის აღწერა, რომელიც **ფერნანდო მუსლერას** კართან შეიქმნა, თუმცა ერთი კი ნამდვილად უნდა გამოვარჩიოთ. მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როდესაც ზლატან იბრაჰიმოვიჩმა ბურთი მეტოქის საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო, ერთ მეურვეს აუარა გვერდი და დაარტყა კიდეც, რის შემდეგაც ბურთი ჯერ ერთ ძელს მოხვდა, მერე მეორეს, მაგრამ კარის ხაზი არ გადაკვეთა. არადა, თითქოს გოლი გარდაუვალი იყო და რამდენიმე წამით „სან სიროს" ტაბლოზე 1:0-იც კი აინთო... დიახ, ტაბლო შეცდომაში შევიდა, ისევე როგორც სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივრები. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ „მილანის" ლაზარეთს კიდევ ორი ფეხბურთელი დაემატა. **ლიბორ კოზაკმა** ჯერ **დანიელე ბონერას** გაუტეხა თავი, შემდეგ კი **ნიკოლა ლეგროტალიეს** მისდგა და ისიც დაამტვრია. შედეგად, ალეგრის ორი იძულებითი ცვლილების გაკეთება მოუხდა, დაშავებულებს კი გამოკვლევები უტარდებათ და მალე გავიგებთ, რამდენი ხნით მოუწევთ უქმობა. მატჩის შემდეგ, მასიმილიანომ ვრცელი კომენტარი გააკეთა:

*„ძალიან ვჩქარობდით და პირველი წუთებიდან ისე ვითამაშეთ, თითქოს გოლის გასატანად დრო არ გვრჩებოდა. ამის გამო, ჩვენი იერიშები ქაოტური იყო, რამაც მეტოქე მცველებს ამოცანა გაუადვილა. მიუხედავად ამისა, არაერთი საგოლე მომენტი შევქმენით და თუ ვინმე იმსახურებდა გამარჯვებას, ეს „მილანი" იყო. რას ვიზამთ, „ლაციო" ძლიერი გუნდია და ამ ფრისგან ტრაგედია ნამდვილად არ უნდა შევქმნათ. რაც შეეხება ტრავმირებულ ფეხბურთელთა სიმრავლეს, ეს, რა თქმა უნდა, დიდი პრობლემაა. როდესაც „მილანის" დარ გუნდს ორი და სამი ფეხბურთელი აკლია, ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ 12-14 ფეხბურთელი უკვე მეტისმეტია. იმედია, ლაზარეთი მალე შეთხელდება და ამოვისუნთქებთ. აქვე, მინდა კმაყოფილება გამოვთქვა იმით, რომ უკვე მესამე თამაშია კარს მშრალად ვინახავთ".*

ედუარდო რეია დაეთანხმა იმ აზრს, რომ იღბალი „ლაციოს" მხარეს იყო: *„როდესაც „მილანთან" გიწევს გასვლითი პაექრობა, ბედმაც უნდა გაგიღიმოს, თორემ აუცილებლად დამარცხდები. ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ მთლიანობაში კარგად ვითამაშეთ და ძალიან საჭირო ქულა ავიღეთ. „ფიორენტინასთან" და „მილანთან" მოპოვებული ოთხი ქულა აშკარად კარგი შედეგია და მთავარია, აღებული ტემპი არ დავაგდოთ".*

**ლაშა ნიკლაური**

**რომა-ბრეშა 1:1**

**რომა (4-3-1-2):** ჟულიო სერჟიო – კასეტი, მექსე, ჟუანი, რიისე – პეროტა, დე როსი, სიმპლისიო (46. მენეზი) – ტოტი – ბორიელო, ვუჩინიჩი.

**ბრეშა (4-3-3):** არკარი - ბეგა, ძობოლი, ძებინა, ძამბელი – ჰეტემაი, ძანეტი (67. ლანცაფამე), ბერარდი – ფილიპინი, ედერი (74. პოსანცინი), დიამანტი (83. ვასი).

**გოლები:** 1:0 ბორიელო (58), 1:1 ედერი (79).

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 11-5; **ჯარიმა:** 16-10; **თამაშგარე:** 5-8; **კარში დარტყმა:** 13(5)-8(4); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 39 000

**ჩეზენა-კატანია 1:1**

**ჩეზენა (4-3-2-1):** ანტონიოლი – სანტონი, პელეგრინო, ფონ ბერგენი, ჩეკარელი - პაროლო, აპია (61. სამარკო), კაზერტა – ჯაკერინი (81. როზინა), ხიმენესი – ბოგდანი (66. ბუდანი).

**კატანია (4-3-1-2):** ანდუხარი – სპოლი, სილვესტრი, აუგუსტინი (70. ბელუში), მარკეზე – რიკიუტი (79. ლიამა), ლოდი, ლედესმა – გომესი – მაქსი ლოპესი, მორიმოტო (57. მარტინიო).

**გოლები:** 0:1 მაქსი ლოპესი (8), 1:1 ხიმენესი (31).

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 15-13; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 6(2)-9(2); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 15 000

**კიევო-ნაპოლი 2:0**

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო - სარდო, მანდელი, ანდრეოლი (79. ცეზარი), მანტოვანი - ფერნანდესი, რიგონი, იოკიჩი – ბოლიაჩინო (59. კონსტანტი) - პელისიერი, მოსკარდელი (86. გრანოჩე).

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანქტისი - არონიკა, კანავარო, კამპანიარო - მაჯო, გარგანო (59. სოსა), დოსენა, პაციენცა – ჰამშიკი (81. დუმიტრუ), ცუნიგა (46. ლუკარელი) – კავანი.

**გოლები:** 1:0 მოსკარდელი (20), 2:0 სარდო (50).

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 12-12; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 13(5)-5(3); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 11 000

**ფიორენტინა-ჯენოა 1:0**

**ფიორენტინა (4-3-3):** ბორუცი – კომოტო, გამბერინი, კამპორეზე, პასკუალი – მონტოლივო, ბეჰრამი (59. ჩერჩი), დონადელი – მარკიონი (90. დე სილვესტრი), სანტანა (81. ნატალი), ჯილარდინო.

**ჯენოა (4-3-1-2):** ედუარდო – მესტო (60. კიკო), მორეტი, კალაძე, კრიშიტო – კუჩკა (77. დესტრო), ველოზო, კონკო (61. პალოსკი) – რაფინია – ფლორო ფლორესი, პალასიო.

**გოლი:** 1:0 სანტანა (40).

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 13-20; **თამაშგარე:** 6-3; **კარში დარტყმა:** 8(4)-10(5); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 26 000

**პალერმო-იუვენტუსი 2:1**

**პალერმო (4-3-2-1):** სირიგუ – კასანი, ანდელკოვიჩი, ბოვო, ბალცარეტი (11. დარმიანი) – მილიაჩო, ბასინოვიჩი, ნოჩერინო – პასტორე, ილიჩიჩი (59. კასამი) – მიკოლი (87. პაოლუჩი).

**იუვენტუსი (4-5-1):** ბუფონი – გრიგერა, ბარცალი, კიელინი, გროსო (79. სალიჰამიჯიჩი) – კრასიჩი, მელო, აკვილანი, მარკიზიო – მატრი (66. მარტინესი), დელ პიერო.

**გოლები:** 1:0 მიკოლი (7), 2:0 მილიაჩო (20), 2:1 მარკიზიო (36).

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 3-8; **ჯარიმა:** 15-15; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 6(3)-9(5); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 26 000

**პარმა-ლეჩე 0:1**

**პარმა (4-3-3):** მირანტე – ძაკარდო, პაჩი, ლუკარელი, მოდესტო – ჯემაილი (87. მორონე), გალოპა (73. ვალიანი), კანდრევა – პალადინო (61. ბოჟინოვი), ამაური, ჯოვინკო.

**ლეჩე (4-3-1-2):** როზატი – ტომოვიჩი, ფერარიო, ფაბიანო, ბრივიო – გროსმიულერი (87. გროსმიულერი), მუნარი, ოლივერა – ვივესი – პიატი (67. ჯედა), კორვია (76. ჩევანტონი).

**გოლი:** 0:1 ჩევანტონი (90).

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 11-14; **თამაშგარე:** 5-0; **კარში დარტყმა:** 14(6)-8(5); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 16 000

**სამპდორია-კალიარი 0:1**

**სამპდორია (4-4-2):** კურჩი – ძაური, ვოლტა, ვიდალი, ციგლერი - პალომბო, მანინი (63. მაკედა), პოლი, გუბერტი (84. კომანი) – მაკარონე (78. დესენა), ბიაბიანი.

**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი (54. პელიცოლი) – პერიკო, კანინი, ასტორი, არიაუდო – ბიონდინი, კონტი, ნაინგოლანი – კოსუ – ლაძარი (71. მისიროლი), აკვაფრესკა (80. ნენე).

**გოლი:** 0:1 ნაინგოლანი (37).

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 27-7; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 6(1)-10(2); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 24 000

**უდინეზე-ბოლონია 1:1**

**უდინეზე (4-3-1-2):** ბელარდი – კოდა, ზაპატა, დომიცი, ისლა (70. კუადრადო) – პინცი (70. აბდი), ასამოა, ინლერი – არმერო – დი ნატალე, დენისი (82. კორადი).

**ბოლონია (4-3-1-2):** ვივიანო – მორასი, პორტანოვა, ბრიტოსი, რუბინი – პერესი, მუდინგაი, ეკდალი – დელა როკა (72. კაზარინი) – მეჯორინი, დი ვაიო.

**გოლები:** 0:1 დი ვაიო (65), 1:1 დომიცი (77).

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 17-18; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 14(4)-10(4); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 18 000

ბარი-ინტერი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ.-ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 23 | 14 | 6 | 3 | 39-18 | 48 |
| 2. ნაპოლი | 23 | 13 | 4 | 6 | 36-22 | 43 |
| 3. ლაციო | 23 | 12 | 5 | 6 | 29-21 | 41 |
| 4. რომა | 22 | 11 | 6 | 5 | 32-25 | 39 |
| 5. ინტერი | 21 | 11 | 5 | 5 | 36-24 | 38 |
| 6. პალერმო | 23 | 11 | 4 | 8 | 38-29 | 37 |
| 7. უდინეზე | 23 | 11 | 4 | 8 | 37-30 | 37 |
| 8. იუვენტუსი | 23 | 9 | 8 | 6 | 37-29 | 35 |
| 9. კალიარი | 23 | 9 | 5 | 9 | 27-23 | 32 |
| 10. კიევო | 23 | 7 | 9 | 7 | 25-22 | 30 |
| 11. ფიორენტინა | 22 | 7 | 7 | 8 | 22-23 | 28 |
| 12. სამპდორია | 22 | 6 | 9 | 7 | 20-23 | 27 |
| 13. ჯენოა | 22 | 7 | 6 | 9 | 18-21 | 27 |
| 14. ბოლონია | 22 | 7 | 8 | 7 | 24-30 | 26 |
| 15. პარმა | 23 | 6 | 7 | 10 | 22-29 | 25 |
| 16. ლეჩე | 23 | 6 | 6 | 11 | 22-39 | 24 |
| 17. კატანია | 23 | 5 | 8 | 10 | 19-30 | 23 |
| 18. ჩეზენა | 23 | 5 | 6 | 12 | 17-29 | 21 |
| 19. ბრეშა | 23 | 5 | 4 | 14 | 18-31 | 19 |
| 20. ბარი | 22 | 4 | 5 | 13 | 14-34 | 14 |

**ბომბარდირები:** 17 – კავანი (ნაპოლი); 15 – დი ნატალე (უდინეზე); 13 – ეტოო (ინტერი), იბრაჰიმოვიჩი (მილანი), დი ვაიო (ბოლონია).

**ლაშა ნიკლაური**

ფიორენტინა

# მიხაილოვიჩი არ ნებდება

მიმდინარე სეზონში „ფიორენტინა" წარუმატებლად ასპარეზობს და სერია A-ს სატურნირო ცხრილში მხოლოდ მე-13 ადგილი უკავია. გუნდის გულშემატკივართა მრავალრიცხოვანი არმია უკვე გამოეთხოვა ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრის იმედს, ყველაზე ოპტიმისტები კი ევროპის ლიგაზე ოცნებობენ, თუმცა ესეც ნაკლებად სავარაუდოა. ფაქტია, რომ **სინიშა მიხაილოვიჩს** ჯერჯერობით არაფერი გამოსდის და უკვე საუბრობენ იმაზე, რომ შესაძლოა უახლოეს პერიოდში პოსტის დატოვებამ მოუწიოს. თავად სერბი სპეციალისტი არ ნებდება და ბრძოლას აგრძელებს:

*„მესმის, რომ შესაძლოა გამათავისუფლონ და ასეთ შემთხვევაში, კლუბის მესვეურთა გადაწყვეტილებას უსიტყვოდ მივიღებ. არც პირველი ვიქნები და არც უკანასკნელი. ასე რომ, ვერ ვხვდები, ამ თემაზე საუბარს რა აზრი აქვს. ჩემი ნებით არსად წასვლას არ ვაპირებ, რადგან უბრძოლველად ცხოვრებაში არაფერი დამითმია. მწვრთნელობა სარისკო საქმეა, სულ ჩემოდნებზე უნდა იჯდე და ეს კარგად მაქვს გაცნობიერებული - უამრავი იდეა მაქვს და ვცდილობ, ფეხბურთელებამდე სწორად მივიტანო. ოპტიმიზმი ნამდვილად არ დამიკარგავს და მჯერა, შედეგი მალე გვექნება".*

იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ფლორენციული კლუბის მესვეურებმა **ადრიან მუტუს** დისციპლინის დარღვევა აპატიეს და მას მთავარ გუნდში დაბრუნებას უპირებენ. ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც რუმინელმა ფორვარდმა საჯაროდ მოიხადა ბოდიში და პირობა დადო, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდება.

**ლაშა ნიკლაური**




სინიშა მიხაილოვიჩი

ამბები

## ჟოსუემ რიბერის მოუბოდიშა

„ვოლფსბურგის" საყრდენმა ნახევარმცველმა **ჟოსუემ** „ბაიერნის" ფრანგ გარემარბ **ფრანკ რიბერის** ოფიციალურად მოუბოდიშა იმის გამო, რომ მე-18 ტურში (ვოლფსბურგი-ბაიერნი 1:1) უხეშად მოცელა, რის შედეგადაც რიბერიმ ტრავმა მიიღო. *„რიბერის ბოდიშს ვუხდი. მართალია, ყოველთვის ხისტად ვთამაშობ, მაგრამ ვინმეს დაშავება არ მინდა ხოლმე,"* - განუცხადა ჟოსუემ „ვოლფსბურგერ ნახრიხთენს". ზემოთ ხსენებული მატჩის შემდეგ რიბერი ამბობდა, ჟოსუემ განგებ დამამტვრიაო. ჯერჯერობით უცნობია, როდის შეძლებს მოედანზე დაბრუნებას რეკორდმაისტერის 27 წლის დრიბლიორი.

## მეტცელდერი დერბის მიღმა?

პარასკევს ბუნდესლიგის მშვენება, რურის დიდი დერბია - დორტმუნდის „ბორუსია" „შალკეს" მასპინძლობს. დიდი შანსია, რომ გელზენკირხენელთა მცველმა **კრისტოფ მეტცელდერმა** ტრავმის გამო დერბიში მონაწილეობა ვერ მიიღოს. ვერ ვიტყვით, რომ მეტცეს „ბორუსიას" წინააღმდეგ, თანაც „ვესტფალენშტადიონზე" თამაში ძალიან უნდა, რადგან წლების მანძილზე BVB-ს ღირსებას იცავდა, ახლა კი „დორტმუნდის" მოსისხლე მტერ „შალკეს" ფეხბურთელია, რის გამოც „შავ-ყვითლების" ფანებისგან დიდი ქოქოლა ელის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, დანანებით ამბობს, ექიმები ზუსტად ვერ მეუბნებიან, შევძლებ თუ არა მოედანზე გასვლასო. შეგახსენებთ, რომ კრისტოფმა „ბორუსიასთან" ვერც პირველ წრეში ითამაშა.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ დაცვაში საკადრო პრობლემები დორტმუნდელებსაც აქვთ. „შალკესთან" **ნევენ სუბოტიჩი** ვერ ითამაშებს, რადგან დისკვალიფიცირებულია. სერბი უკანახაზელი, წესით, **ფელიპე სანტანამ** უნდა შეცვალოს, მაგრამ ეს უკანასკნელიც არაა მწყობრში - ბრაზილიელს გრიპი აქვს.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. ალექსანდერ მერკელი

# ბერლუსკონი ძალიან მაგარი ტიპია!

## ყაზახი, რუსი თუ გერმანელი - მერკელმა თვითონაც არ იცის, სადაურია. იცის მხოლოდ ის, რომ მილანში თავის დამკვიდრება უნდა



18 წლის ალექსანდერ „საშა" მერკელი „მილანს" გაუშინაურდა

18 წლის გერმანელი ცენტრალური ნახევარმცველი ალექსანდერ მერკელი „მილანში" ყველასათვის მოულოდნელად გამოჩნდა და უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ „როსონერიში" ადგილიც დაიმკვიდრა. გერმანელს „მილანის" შეუცვლელ ფიგურას ვერ ვუწოდებთ, მაგრამ ფაქტი ერთია: მერკელმა დაამტკიცა, რომ ნებისმიერ დროს შეუძლია მილანური კლუბის გამოცდილი ნახევარმცველების ღირსეულად შეცვლა და თუ საჭირო გახდა, მთავარ მწვრთნელ მასიმილიანო ალეგრის შეუძლია, მერკელს იმდენად ენდოს, რომ 90 წუთი ათამაშოს. ერთი სიტყვით, 18 წლის მერკელი უკვე სრულფასოვანი მილანელია. შესაბამისად, დროა, ის „მილანის" და ზოგადად ფეხბურთის ქართველმა ქომაგებმაც ახლოს გაიცნონ. გერმანულ გაზეთ „ცაითში" მერკელის საინტერესო ინტერვიუ გამოქვეყნდა.

**- ჰერ მერკელ, ცოტა ხნის წინ მილანელ თანაგუნდელებთან ერთად ისადილეთ. თუ საიდუმლო არ არის, რა იყო სადილად მილანელოზე?**

- უგემრიელესი სპაგეტი ფანტასტიკური სოუსით. სხვათა შორის, თითქმის ყოველდღე სპაგეტის ვჭამთ, ოღონდ მუდმივად სხვადასხვა სოუსით და მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის გემრიელია, სიმართლე გითხრათ, მაკარონის დანახვა უკვე აღარ შემიძლია.

**- ჩვენ კი გვეგონა, რომ ლეგენდარული მილანელოს შეფმზარეულებს მენიუში მუდმივად ცვლილებები შეაქვთ...**

- ყოველდღე ერთსა და იმავეს ნამდვილად არ გვაჭმევენ, უბრალოდ, სადილად ყოველთვის სპაგეტია, ოღონდ სხვადასხვა სოუსით. ცხადია, ბრინჯსა და ხორცსაც ვჭამთ, მაგრამ თამაშების წინ ყოველთვის სპაგეტის მივირთმევთ.

**- ერთობლივი სადილის ან ვახშმის დროს ალბათ ყოველთვის ახალგაზრდა ფეხბურთელებთან ერთად ხართ...**

- არა, „მილანში" ახალგაზრდები და გამოცდილები ერთად სხედან ხოლმე. მე ყოველთვის კევინ-პრინს ბოატენგის გვერდით ვზივარ. ჩვენთან ერთად კი კლარენს ზეედორფი, ანტონიო კასანო, მატიო ფლამინი და მეკარე ფლავიო რომა სხედან.

**- და თქვენც სიამოვნებით ისმენთ სუპერვარსკვლავების ისტორიებს?**

- ხანდახან მეც ვყვები რაღაცებს. მართალია, ჯერ მხოლოდ 18 წლის ვარ და მოსაყოლი ბევრი არ მაქვს, მაგრამ სადილის ან ვახშმის დროს ყველანი ვსაუბრობთ ხოლმე. ცხადია, როცა ზეედორფი ან კასანო რამეს ჰყვებიან, უდიდესი ყურადღებით ვუსმენ, რადგან, როცა ისინი ფეხბურთზე საუბრობენ, მათგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება. მათ ხომ უდიდესი გამოცდილება აქვთ.

**- რამდენიმე კვირაა, თქვენც „მილანის" სრულყოფილი წევრი ხართ. „როსონერის" მაისურით უკვე გოლის გატანაც მოახერხეთ და ერთი სიტყვით, სრულფასოვანი „მილანისტა" ხართ...**

- სწორედ ამაზე ვოცნებობდი და მიხარია, რომ ბოლო დროს ყოველთვის პირველ გუნდთან ერთად ვარ. იმედი მაქვს, რომ ჩემი კარიერა ასევე პოზიტიურად გაგრძელდება. „მილანის" რიგებში უკვე 7-8 ოფიციალური თამაში ჩავატარე და ეს უკვე დიდი წარმატებაა მოთამაშისთვის, რომელიც ჯერ 18 წლისაა. პრესაში იწერება, მერკელმა უკვე დაიმკვიდრა ადგილი „მილანის" რიგებშიო, მაგრამ ჩემი აზრით, კიდევ ძალიან ბევრი უნდა ვიშრომო იმისათვის, რომ სრულფასოვან მილანელად ჩამოვყალიბდე.

**- როგორ ახსნით თქვენს წარმატებებს?**

- პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ „მილანს" ახლა არაერთი წამყვანი ნახევარმცველი ჰყავს ტრავმირებული და ალეგრი თავიდან ამიტომაც მენდო. 18 წლის ფეხბურთელისთვის „მილანის" ძირითად შემადგენლობაში თავის დამკვიდრება ადვილი სულაც არ არის. კარგი ისაა, რომ თითქმის ყველა მატჩი მოვიგეთ, რომელშიც მე ვითამაშე. შესაბამისად, მწვრთნელს ჩემთვის სასაყვედურო არაფერი აქვს.

**- როდის მიხვდით, რომ „მილანის" პირველ გუნდში თავის დამკვიდრების შანსი მოგეცემოდათ?**

- ზაფხულში. „მილანის" პრიმავერაში 2008 წლიდან ვთამაშობ. ზაფხულში ალეგრიმ დამიძახა და მითხრა, შეკრებაზე პირველ გუნდთან ერთად უნდა წაგიყვანოო. ანდრეა პირლო და ჯენარო გატუზო მსოფლიოს ჩემპიონატზე იყვნენ და შვებულება გაუხანგრძლივდათ, რის გამოც ნახევარდაცვაში ორი ადგილი იყო გამოთავისუფლებული და ალეგრიმ მე მიხმო. მერე რამდენიმე ამხანაგურ მატჩში მათამაშა და აშკარად მოვეწონე. ნოემბერში კი ალეგრიმ პირველ გუნდში გადამიყვანა.

**- როგორი რეაქცია ჰქონდათ გამოცდილ ფეხბურთელებს, როცა პირველ გუნდში ახალგაზრდა მერკელი დაინახეს?**

- პირველად „სამპდორიასთან" ვითამაშე და მატჩის შემდეგ, გასახდელში ჩემთან დანიელე ბონერა მოვიდა და დებიუტი მომილოცა. ზეედორფი კი გვერდიდან არ მომშორებია.

**- როგორ ფიქრობთ, რატომ მაინცდამაინც ზეედორფი?**

- ზაფხულის მერე კლარენსს ძალიან დავუახლოვდი და დავუმეგობრდი. კლარენსი ხშირად მესაუბრება, რჩევებს მაძლევს, მაქებს და შეცდომებზე მიმანიშნებს. პირველივე ვარჯიშის მერე მეუბნებოდა, კარში უფრო ხშირად დაარტყი და ნურაფრის გეშინიაო.

**- „მილანში" რამდენიმე რთული ტიპიც თამაშობს. მაგალითად, გატუზო, იბრაჰიმოვიჩი და ახლა უკვე ვან ბომელიც. მათთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

- ნორმალური, უფრო სწორად, კარგი. ცხადია, მათ მე უფრო დიდ პატივს ვცემ, ვიდრე ისინი მე, მაგრამ პრობლემა არ მქონია.

**- გერმანიაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს „შტუტგარტიდან" „მილანში" იმის გამო გადახვედით, რომ სკოლაში ძალიან ცუდად სწავლობდით...**

- ჩემზე ცუდი მოსწავლეებიც იყვნენ... სინამდვილეში, „შტუტგარტმა" პროფესიული კონტრაქტი შემომთავაზა, მაგრამ პირობებზე არ დავთანხმდი. რაკი უარი ვთქვი, ამითვალწუნეს და სწორედ ამის მერე დაიწყეს ლაპარაკი, სკოლაში ძალიან ცუდად სწავლობსო. მერე იმდენი ქნეს, რომ ვარჯიშიდან ორი კვირა მომხსნეს, ასე ვთქვათ, დამსაჯეს იმის გამო, რომ კონტრაქტს ხელი არ მოვაწერე. გადაწყვეტილება ასე ამიხსნეს: რატომ უნდა გავარჯიშოთ, თუ ჩვენთან კონტრაქტის გაფორმებაზე უარს ამბობო...

**- ამბობენ, მერკელის გადაბირება მიუნხენის „ბაიერნს" და „ჰოფენჰაიმსაც" უნდოდათო...**

- რამდენიმე შემოთავაზება მართლაც იყო, მაგრამ „მილანში" გადასვლა ვარჩიე. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი გადაწყვეტილება მივიღე.

**- იმასაც ამბობენ, სერია A-ში ახალგაზრდა ფეხბურთელებს განსაკუთრებით უჭირთო...**

- ცხადია, ახალგაზრდებს აქ ისე არ ექცევიან, როგორც გერმანიაში. იტალიაში ყველაფერი სხვანაირად ხდება. იტალიის ჩემპიონატი უფრო მძიმეა, თუ შეიძლება, რომ ასე ითქვას და ამიტომაცაა, რომ გუნდებს გამოცდილი მოთამაშეები უფრო სჭირდებათ, ვიდრე ახალგაზრდები. მე კი გამონაკლისი ვარ - 18 წლის ასაკში „მილანში" ვთამაშობ, „როსონერი" კი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია.

**- ამ ფრაზას იტალიის პრემიერი და „მილანის" პატრონი სილვიო ბერლუსკონი ძალიან ხშირად იმეორებს. სილვიო პირადად გაიცანით?**

- ბერლუსკონის ორჯერ შევხვდი. პირველი შეხვედრის დროს ხელი მხარზე დამარტყა და მამაშვილური ტონით მკითხა, მილანში თავს როგორ გრძნობ, ხომ არავინ გაბრაზებსო. მეორე შეხვედრის დროს კი ხელი გადამხვია და მითხრა, იცოდე, თუ ვინმე განწყენინებს, პირველად მე მითხარიო და თავისი პირადი მდივნის ტელეფონის ნომერი ჩამაწერინა. მასზე ბევრს ლაპარაკობენ, ხშირად უარყოფით კონტექსტში, პირადად ჩემი აზრი კი სილვიოს შესახებ დადებითია. ბერლუსკონი ძალიან მაგარი ტიპია, ხშირად ხუმრობს. მიუხედავად ასაკისა, ძალიან მხიარული ადამიანია. ვფიქრობ, მან იდეალურად იცის, ვისთან როგორ უნდა მოიქცეს.

**- ბოლო დროს მასზე მართლა ბევრს ლაპარაკობენ და უმეტესად უარყოფით კონტექსტში. მისი სკანდალებისა და პოლიტიკური პრობლემების შესახებ „მილანის" ფეხბურთელები არ საუბრობთ ხოლმე?**

- ბერლუსკონიზე მხოლოდ გამოცდილი, ასაკოვანი ფეხბურთელები ლაპარაკობენ. მე პოლიტიკა საერთოდ არ მაინტერესებს.

**- წარმოშობით ყაზახეთიდან ხართ და შეგიძლიათ როგორც გერმანიის, ისე რუსეთის ნაკრებში თამაში. ამ თემაზე უკვე ფიქრობთ?**

- თუ საკლუბო დონეზე კარგად ვითამაშებ, სანაკრებო თემაც თავისით მოვა. ჯერ არ ვიცი, სად მირჩევნია, რუსეთის ნაკრებში თუ ბუნდესგუნდში, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ძალიან გამიხარდება, თუ გერმანიის ნაკრების სამწვრთნელო შტაბი ჩემით დაინტერესდება.



პატრიკ ჰელმესი ამიერიდან ვოლფსბურგისთვის შეუტევს

ვოლფსბურგი

# ჰელმესს ჰელმესი მოენატრა

## როცა ფოლქსვაგენი უფრო სასიამოვნოა, ვიდრე პორშე...

**პატრიკ ჰელმესმა** ბუნდესლიგაში პირველი მატჩი 2005 წლის 4 აგვისტოს ჩაატარა. შესაძლოა, არ გახსოვდეთ: დღეს უკვე გერმანიის ნაკრების გაფართოებულ სიაში მყოფი ფორვარდი თავიდან „კიოლნის" რიგებში გამოჩნდა. დებიუტიდან ზუსტად ერთი კვირის შემდეგ მან „ლევერკუზენს" გაუტანა და ეს იყო მისი პირველი გოლი პროფესიულ ფეხბურთში. მეორედ „ვოლფსბურგის" კარი დალაშქრა, მესამედ კი ბილეფელდის „არმინიისა"... თუ ბუნდესლიგას კარგად იცნობთ, აუცილებლად მიხვდებოდით, რომ ამ პატარა ისტორიიდან ლოგიკური ტრანსფერის წინასწარმეტყველებაც კი შეიძლება, მაგრამ არა! ეს უბრალოდ დამთხვევაა. ყოველ შემთხვევაში, წარმოუდგენელია, რომ ჰელმესის მომდევნო გაჩერება „არმინია" იყოს. ვინც ამ ყველაფრიდან აბსოლუტურად ვერაფერს მიხვდა, სიამოვნებით „დავუღეჭავთ": პატრიკ ჰელმესი „კიოლნის" მერე ჯერ „ლევერკუზენის" ღირსებას იცავდა, ახლა კი „ვოლფსბურგში" ამოყო თავი...

„ვოლფსბურგში" განსაკუთრებული, „ლევერკუზენისგან" კარდინალურად განსხვავებული და ნაკლებად დემოკრატიული წესები აქვთ. ასე, მაგალითად, ჰელმესი იძულებულია, „პორშე 911 ტურბოდან", რომელიც შარშან შეიძინა, „ფოლქსვაგენ გოლფზე" გადაჯდეს, რადგან „ვოლფსბურგში" ყველა „ფოლქსვაგენით" დადის. ამის მიზეზი კი ისაა, რომ „მგლების" ყველა ფეხბურთელს პურს სწორედ „ფოლქსვაგენის" კონცერნი აჭმევს და ვოლფსბურგელებმა „ლევერკუზენს" ჰელმესის სანაცვლოდ 5 მილიონი ევრო რომ გადაუხადეს, ესეც „ფოლქსვაგენის" ბიუჯეტიდან აღებული ფული იყო.

„პორშე" ცოტათი მომბეზრდა კიდეც და „გოლფი" სულაც არ არის უინტერესო ავტომობილი, მთავარია, კარგად დადიოდესო, ამბობს პატრიკი. არც თვითონ ჰელმესია უინტერესო ფეხბურთელი, მაგრამ **ედინ ჯეკო** მაინც სულ სხვა იყო და ეს „ვოლფსბურგში" ყველამ იცის, თუმცა იმავე ლოგიკით რომ ვთქვათ, მთავარია, პატრიკმა გოლები გაიტანოს და ქვემო საქსონიაში ჯეკო ყველას მალე დაავიწყდება.

ოფიციალურ პრეზენტაციაზე 26 წლის ჰელმესმა აღიარა, რომ „ლევერკუზენში" გაძლება ძალიან უჭირდა, რადგან უმეტესად მთავარი მწვრთნელის, **იუპ ჰაინკესისგან** განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდა. პატრიკი აღიარებს, რომ ძალიან არ უყვარს, როცა გუნდი მხოლოდ ერთი ცენტრფორვადით თამაშობს და მით უმეტეს, როცა გარემარბებიც უფრო ნახევარმცველები არიან, ვიდრე თავდამსხმელები. „ვოლფსბურგში" კი კიდევ ერთი ახალწვეულის, **თუნჯაის და გრაფიტეს** იმედი აქვს.

ჰელმესის კარიერა წესით, სულ სხვანაირად უნდა განვითარებულიყო. 2007/2008 წლებში მან მეორე ბუნდესლიგაში 33 მატჩში 17 გოლი გაიტანა და „კიოლნთან" ერთად ელიტაში ალზევდა, მაგრამ რაინის მხარე მაშინვე დაატოვებინეს - პატრიკი „ლევერკუზენმა" იყიდა. სანამ „ფარმაცევტებს" **ბრუნო ლაბადია** წვრთნიდა, ჰელმესს საქმეები კარგად მისდიოდა და მიუხედავად იმისა, რომ მეორე წრეში ლევერკუზენელები მაგრად აიჭრნენ, პატრიკმა გოლების გატანა მაინც განაგრძო და იმ სეზონში 21 გოლს (34 მატჩში) მოუყარა თავი.

2009 წლის ზაფხულში კი ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა და სწორედ მაშინ დაეწყო ჩავარდნა, რომელიც დღემდე გრძელდება. პატრიკმა ჯერ „ლევერკუზენის" თავდამსხმელთა იერარქიაში დაიხია უკან, მერე კი გერმანიის ნაკრების წინახაზელთა რეიტინგშიც ჩამოქვეითდა. შესაძლოა, არც გახსოვდეთ, რომ მას ბუნდესგუნდში 13 მატჩი აქვს ჩატარებული. კრიზისის პიკი კი გერმანიის თასის მატჩი იყო მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან" დერბიში, სადაც მან ორი პენალტი გააფუჭა, რის გამოც „ლევერკუზენის" თასიდან გავარდნა პირადად პატრიკს დააბრალეს.

როცა გაირკვა, რომ ჯეკო „მანჩესტერ სიტიში" გადადიოდა, ვოლფსბურგელებმა ბოსნიელი გოლეადორის შემცვლელის ძებნა დაიწყეს და სასურველ ფეხბურთელთა სიაში პირველ რიგში სწორედ ჰელმესი მოინიშნეს. პატრიკი ამბობს, „ვოლფსბურგში" გადასვლაზე სერიოზულად მაშინ დავფიქრდი, როცა ჰაინკესმა 2010 წლის მიწურულს, „ჰანოვერთან" მატჩის წინ განაცხადიდან ამომშალაო.

ჰელმესი ხვდება, რომ ჯეკოსთან შედარების ღირსი ჯერ არ არის, მაგრამ ფიქრობს, რომ მასაც აქვს ყველა ის სასარგებლო თვისება, რაც მასზე ორი წლით ახალგაზრდა ჯეკოს ჰქონდა - იმ ჯეკოს, ვისზეც სამი წლის მანძილზე მთელი ვოლფსბურგი და ქვემო საქსონიის მხარე ლაპარაკობდა. *„ედინი, რა თქმა უნდა, ძალიან მაგარი თავდამსხმელია, მაგრამ ყველა ფეხბურთელს აქვს თავისი პლუსები. „ვოლფსბურგს" ყოველთვის კარგი ფორვარდები ჰყავდა და ჩემი აზრით, ჯეკოს მალე გამოუჩნდება ღირსეული შემცვლელი და იმედი მაქვს, რომ ეს მე ვიქნები,"* - თქვა ჰელმესმა პრესკონფერენციაზე, რომელზეც ის ვოლფსბურგელად ოფიციალურად წარადგინეს.

„მგლებში" გადასვლით პატრიკს იმის იმედიც უჩნდება, რომ **იოახიმ ლიოვი** მალე გერმანიის ნაკრებშიც დააბრუნებს. თუმცა ხვდება, რომ ეს მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ნაყოფიერი გამოვა მისი ვოლფსბურგული კარიერა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

ბარსელონა

# თითქმის ბრწყინვალე იანვარი

**ხოსეპ გვარდიოლას** გუნდმა 2011 წელი ძალიან კარგად დაიწყო. საქმე მხოლოდ იმაში არაა, რომ „ბარსელონამ" თითქმის უნაკლოდ იასპარეზა და ყველა თამაში მოიგო ჩემპიონატში, კატალონიელებმა სწორედ იანვარში დაიბევეს მადრიდის „რეალთან" 7-ქულიანი უპირატესობის დიდი ნაწილი - 5 ქულა!

არადა, ტრადიციულად, იანვრარი ძალიან მძიმეა ხოლმე „ბარსელონასთვის", თუმცა წლევანდელ პირველ თვეს ეს არ ეხება - პეპის საოცარმა გუნდმა მოიგო ლა ლიგის ხუთივე მატჩი, გაიარა თასის 2 ეტაპი და ძალიან მიუახლოვდა ფინალს („ალმერიასთან" საპასუხო მატჩი უკვე თებერვლისაა). ჩემპიონატში, ბევრს უკვე აღარც კი ახსოვს, როდის იყო პრიმერული ფრე „კამპ ნოუზე" არაფრით გამორჩეულ „მალიორკასთან". ასე რომ, ესპანურ (და არა მარტო, ესპანურ) პრესაში ხშირად წაიკითხავთ, რომ პეპის „ბარსა" უბრალოდ დაუმარცხებელია.

იანვარში გუნდი არა მარტო ქულებს აგროვებდა, არამედ მეტოქეებს სასტიკად უსწორდებოდა, იმდენად სჯობდა „ბარსა" მათ. ხუთი შეხვედრიდან „ბარსელონას" მხოლოდ „ლევანტე" „გადაურჩა" და დიდი ანგარიშით არ წააგო. აუტსაიდერი „კამპ ნოუდან" სავსებით მისაღები და ალბათ საამაყო ანგარიშით, 1:2 დაბრუნდა ვალენსიაში. იანვრის ყველა საჩემპიონატო მატჩში ჩემპიონმა 16 გოლი გაიტანა, რაც საშუალოდ 3 გოლზე მეტია. „ბარსელონამ" სულ ორჯერ გაუშვა და, ბედის ირონიით, ორჯერვე „კამპ ნოუზე".

მაშინ, როცა „ბარსამ" 15 შესაძლებელიდან ამდენივე ქულა მოიპოვა იანვარში, მისმა უშუალო კონკურენტმა „რეალმა" 15-დან მხოლოდ 10 ქულა მიითვალა. შეიძლება ისე აღმოჩნდეს, რომ ჩემპიონატის ბედი ამ დაკარგულმა ხუთმა ქულამ გადაწყვიტოს. ასე რომ, გვარდიოლას ცნობილი ფრაზა - იანვარში ტიტულს ვერ მოიგებ - შეიძლება, მთლად ზუსტიც ვერ იყოს. „რეალზე" უკეთ წლის პირველი თვე „ვილიარეალმა" განვლო, რომელმაც 15 შესაძლებლიდან 12 ქულა აიღო. ამ ბრწყინვალე თამაშის გამო, ხოსეპ გვარდიოლას გუნდი 7 ქულით უსწრებს **ჟოზე მოურინიოს** კრებულს და 13 ქულით წინაა **ხუან კარლოს გარიდოს** „ელ სუბმარინოზე".

„ბარსამ" იანვარში სულ 9 მატჩი ითამაშა, აქედან 4 „სამეფო თასზე": საპასუხო მერვედფინალური, ორი მეოთხედფინალური და პირველი ნახევარფინალური. ამ მატჩების წყალობით „ბარსელონამ" ფინალამდე გაიკაფა გზა. არადა, მთლად უნაკლოდ (ჩემპიონატისგან განსხვავებით) არ უასპარეზია - „სან მამესზე" ბილბაოს „ატლეტიკს" 1:1 დაუზავდა, ხოლო სეგუნდადივიზიონის „ბეტისთან" სულაც 1:3 წააგო! საოცარია, „ბარსელონას" ერთადერთი მარცხი რანგით დაბალ ლიგაში მოასპარეზე გუნდთან მოდის. მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ ის თამაში ანდალუსიაში კატალონიელებმა მას მერე წააგეს, რაც პირველი დიდი ანგარიშით - 5:0 მოიგეს. ჩემპიონატისგან განსხვავებით, თასზე მთავარია მტოქეს ორი მატჩის ჯამში აჯობო. აქ კი „ბარსა" საკუთარ გულშემატკივართან პირნათელია.

იანვარში „ბარსელონას" ბომბარდირი **ლეო მესია**, არგენტინელმა 10 გოლი გაიტანა. ეს თვე ძალიან წარმატებული გამოდგა მისთვის - 10 იანვარს მესიმ კარიერაში მეორედ მიიღო წლის საუკეთესო ფეხბურთელისთვის „ოქროს ბურთი".



ლეო მესის სუპერთვე

### ბარსელონა იანვარში (ყველა მატჩი)

**ჩემპიონატი:** ბარსელონა-ლევანტე 2:1, დეპორტივო-ბარსელონა 0:4, ბარსელონა-მალაგა 4:1, ბარსელონა-რასინგი 3:0, ერკულესი-ბარსელონა 0:3. თასი: ბილბაო-ბარსელონა 1:1, ბარსელონა-ბეტისი 5:0, ბეტისი-ბარსელონა 3:1, ბარსელონა-ალმერია 5:0.

### ბარსელონა იანვარში (ყველა გოლი)

**28 გოლი:** ლეო მესი - 10, პედრო როდრიგესი - 8, დავიდ ვილია - 4, ანდრეს ინიესტა - 3, სეიდუ კეიტა - 2, ერიკ აბიდალი - 1.



არტურ მაია

# ბარსელონაც ეძებს ტალანტებს

ბარსელონური „სპორტი" წერს, რომ ესპანეთის ჩემპიონმა თვალი 18 წლის ბრაზილიელ ტალანტ **არტურ მაიას** დაადგა, რომელიც „ვიტორიაში" თამაშობს. „ბარსელონას" სკაუტებმა ბიჭი გერმანიაში, 20-წლამდელთა ტურნირზე შეამჩნიეს, მათ ძალიან მოეწონათ ცაცია გამთამაშებელი, მაგრამ „ბარსელონა" ერთადერთი კლუბი არ არის, რომელიც სერიოზულადაა დაინტერესებული მაიას შეძენით, არანაკლებ მონადინებულია „მანჩესტერ სიტიც".

სამშობლოში მაიას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, სისწრაფის, ტექნიკისა და მოედნის კარგი ხედვის გამო. გერმანიაში ახალგაზრდულ ტურნირზე თინეიჯერმა სწორედ „ბლაუგრანას" 20-წლამდელთა გუნდის კარში გაიტანა გოლი. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ბრაზილიელი ტალანტის ახლანდელი ფასი 3,5 მილიონი ევროა.

სხვათა შორის, თავად არტურ მაია ევროპაში გადასვლას არ ესწრაფვის: *„კლუბში თავს კარგად ვგრძნობ და აქ თამაში მზრდის, როგორც ფეხბურთელს. ევროპაში გადასვლას კი ყოველთვის მოვასწრებ"*, - აცხადებს ფეხბურთელი.

ინტერვიუ. ჩავი ერნანდესი

# ფეხბურთში ბევრი რამ მოურინიომ მასწავლა

## გუნდურ თამაშში ინდივიდუალური პრიზები უსამართლობაა

**„ბარსელონას" ნახევარდაცვის მაესტრო ჩავი ერნანდესმა რადიო „ონდა სეროს" ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა.**

**- კიდევ რამდენ ხანს აპირებთ „ბარსელონაში" თამაშს?**

- ვიმედოვნებ, რომ აქ კიდევ ბევრ სეზონს გავატარებ და ფეხბურთელის კარიერასაც აქ დავასრულებ. მე ამ კლუბის ნაწილი ვარ და, თუ საშუალებას მომცემენ, აქ დავრჩები ბოლომდე. „ბარსასთან" 2014 წლამდე მაკავშირებს კონტრაქტი, კიდევ 2 წლით გაგრძელების პირობით.

**- თქვენ კი რჩებით, მაგრამ დარჩება თუ არა გვარდიოლა გუნდში დიდხანს?**

- ეჭვიც კი არ მეპარება, რომ პეპი კონტრაქტს გაახანგრძლივებს. ვიცი, რა კაციცაა ის, როგორ თამაშობს მისი გუნდი, რა ხდება ჩვენ ირგვლივ, ყველაფერი ეს უბრალოდ აიძულებს მას ხელშეკრულება გაახანგრძლივოს. მგონია, რომ ის კიდევ ბევრ წელს გაატარებს „ბარსელონაში", თუმცა ფეხბურთი სიურპრიზებით ალსავსეა. „ბარსელონასთვისაც" და პეპისთვისაც კარგი იქნება, თუკი ის დარჩება. მე ვერ წარმომიდგენია „ბარსა" მის გარეშე, მას ყველა იმ მექანიზმის გასაღები აქვს, რომლებიც ამ ბოლო დროს აიწყო „ბარსელონაში". მან მწვრთნელის პროფესიაში და თავად ფეხბურთში მოაწყო რევოლუცია. პეპმა თამასა ძალიან მაღლა ასწია, ჩვენ ბევრს ვსწავლობთ მისგან. რაც ის გუნდშია, „ბარსელონაში" კარგი რაღაცები ხდება - ძალიან გატაცებულია ფეხბურთით, ჩვენ კი მასთან ერთად თავს მშვიდად ვგრძნობთ, პეპი თავადაც ცხოვრობს და სხვასაც აძლევს ამის საშუალებას. არავის ახვევს თავის აზრებს, არ ითხოვს, ყველა მას ჰგავდეს. ჩემთვის პეპი ყოველთვის იყო მაგალითი, ორიენტირი, საფეხბურთო თვალსაზრისითაც და ადამიანურადაც. ჩვენი აზრები და მოსაზრებები ძალიან ჰგავს ერთმანეთისას, ფეხბურთში და ცხოვრებაშიც.

**- თქვენ რომ „რეალში" გეთამაშათ...**

- ძალიან გამიმართლა, იმ კლუბში ვარ, სადაც თამაში მიხარია. „რეალში" თავს კარგად ვერ ვიგრძნობდი, მათ წინადადებას საერთოდ არ მოვისმენდი. „რეალი" მუდამ გვირთულებს ცხოვრებას. ბოლო დროს, მათ ძალიან კარგი ფეხბურთელები აიყვანეს, მოიწვიეს ძლიერი მწვრთნელი, რომელსაც აქაც უმუშავია. სხვათა შორის, ჩვენ მას დიდ პატივს ვცემთ - ჟოზე მოურინიო ფეხბურთის ყველა ასპექტში ერკვევა, გამარჯვებულის ფსიქოლოგია აქვს, კარგად იცის, რა სურს და რა თამაშს თამაშობს. მის განკარგულებაში დიდებული ფეხბურთელები არიან. ჩვენ ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ.

**- მაგრამ თქვენ მისი გუნდი 5:0 გაანადგურეთ...**

- „რეალის" კარში გოლს სულ სხვა ფასი აქვს. კარგ დროს ჩამოვიდა „რეალი". ნებისმიერი დიდი ფეხბურთელისთვის საოცნებო მომენტია, როცა ძალიან ძლიერ მეტოქეს ეთამაშები და მასზე უპირატესობას გრძნობ. ეს იყო დაუვიწყარი საღამო, ჩემი კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მომენტი.

**- ამბობენ, ეს „ბარსა" ისტორიაში საუკეთესოა, ეთანხმებით?**

- ეს კი არ ვიცი, თუმცა რადგან ასე ლაპარაკობენ, სიამაყისთვის მიზეზი გვქონია. ჩვენ მართლაც ბევრს მივაღწიეთ - მარტო ერთ წელში 6 ტიტულის აღება რას ნიშნავს? ქუჩაში „რეალის" ფანებიც კი მაჩერებენ და მესალმებიან. დიდი პატივია იყო „ბარსელონას" ფეხბურთელი, რაც უფრო დიდხანს გაცვია მისი მაისურა, უფრო მეტად ხდები კლუბის შემადგენელი ნაწილი.

**- არადა, კაცმა რომ შეგხედოთ, ყველანი ერთ თარგზე მოჭრილნი, ძირითადად ტანდაბლები ხართ...**

- 5-6 წლის წინათ ჩემზე და ინიესტასნაირებზე ამბობდნენ, რომ მხოლოდ ტექნიკურად გამორჩეული „ჯუჯების" დრო წავიდა. ახლა კი ჩვენ, მთელი მსოფლიოსთვის საპირისპირო მაგალითი ვართ. ჩვენც გვქონია რთული დროება „ბარსაში", ამიტომაც ძალიან გვეამაყება, რომ ბევრს, ძალიან ბევრს დავუმტკიცეთ, რა არის ფეხბურთში მთავარი და რა არა. მახსენდება, როგორ ამბობდა ჩვენს ვარჯიშებზე მოსული ხუანდე რამოსი, ესენი ძალიან პატარები არიანო. სხვათა შორის, კარგი მაგალითი გადამდებია, გუშინ „ვილიარეალის" თამაშს ვუყურე და ეს გუნდიც ძალიან ლამაზ ფეხბურთს თამაშობს.

**- მოურინიო შეაქეთ, არადა, ამბობენ, რომ არ გაქვთ მასთან კარგი ურთიერთობა.**

- უკვე ნათქვამი მაქვს, რომ ის კარგი მოტივატორია ჩვენთვის, რაც სასიკეთოდაც წაგვადგა. სხვათა შორის, როცა „ბარსელონაში" მუშაობდა ძალიან კარგად წარმოჩნდა, ჩვენც ბევრჯერ გვავარჯიშა და პირდაპირ ვიტყვი - ბევრი რამ სწორედ მოურინიომ მასწავლა.

**- რას იტყვით „ბარსელონასა" და „რეალის" დაპირისპირებებზე?**

- ადამიანთა შორის დაპირისპირება, ურთიერთუპატივცემულება არ არის კარგი, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ „ბარსელონასა" და „რეალს" შორის დაპირისპირებას ფეხბურთისთვის მხოლოდ კარგი მოაქვს. ამას ვერ დავუკარგავთ.

**- სამი „ბლაუგრანა" „ოქროს ბურთისათვის" ბრძოლის „ფინალში" გახვედით...**

- ეს რომ ჩემთვის რამდენიმე წლის წინათ ეთქვათ, არ დავუჯერებდი. ეს ფანტასტიკაა, რომელიც ჩვენ მართლაც გადაგვხდა თავს. არავინ ვიცოდით, რომელი მოიგებდა „ოქროს ბურთს". როცა ბურთი ლეოს შეხვდა, მე პირადად ვიგრძენი, რომ საფეხბურთო სამართლიანობა შედგა. ის მართლაც საუკეთესოა და ყოველ თამაშში ამტკიცებს, რომ სხვებს კლასით სჯობს, ლეო სენსაციურია. კი, არგენტინის ნაკრებს არ გაუმართლა და მეოთხედფინალს ვერ გასცდა, მაგრამ ლეო ჩემთვის მაინც საუკეთესო ფეხბურთელია. მე რომ მომეგო „ოქროს ბურთი"? ძალიან „ხმამაღალი" ფაქტი გამოვიდოდა, გოლეადორი არა ვარ, არადა ქულებს ისინი აგროვებენ. სამჯერ ზედიზედ ვიყავი „ოქროს ბურთის" ფინალში და მხოლოდ მე და ანდრესი არ ვართ ნომინანტთაგან ფორვარდები. ძალიან ბევრი ფეხბურთელი ვიცი, რომელიც იმსახურებდა ამ პრიზს, მაგრამ ვერ მოიგო - რაული, კასილიასი, პუიოლი... ჩემი აზრით, გუნდურ თამაშში ინდივიდუალური პრიზები არასამართლიანია. მე ასე მგონია.



ჩავი რადიოში ინტერვიუზე

**- რას ნიშნავს იყო მსოფლიოს ჩემპიონი?**

- ეს ნიშნავს, რომ ფეხბურთელის კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი ტიტული შენია. როცა ანდრესმა გაიტანა, ყველა სიხარულისგან ვქვითინებდით. ეს რაღაც ენით აუწერელი შეგრძნებაა. მივიჩნევ, რომ ჰოლანდიელები არასწორად იქცეოდნენ, ამიტომ ჩვენ დავიმსახურეთ მოგება. ნაკრებში თამაში კიდევ მსურს, მე ეს ძალიან მემაყება - ბრაზილიის მსოფლიოს ჩემპიონატის დროს 34 წლის ვიქნები, მაგრამ, იქნებ, მაინც გამოვადგე გუნდს. ძალიან მინდა იქ მოვხვდე.

**- როგორი მწვრთნელია დელ ბოსკე?**

- კარგი მწვრთნელი რომ იყო, ბევრი რამ არის საჭირო, უნდა იყო ფსიქოლოგიც. დელ ბოსკე ყველაზე ადამიანური პირია საფეხბურთო სამყაროში, ვისაც კი შევხვედრივარ. მისი წინამორბედი ლუის არაგონესიც დიდი მწვრთნელი იყო, ის მწვრთნელობის ეტალონია.

**- „ელ კლასიკოზე" თქვენ სერხიო რამოსთან მოგივიდათ კონფლიქტი...**

- მაშინ მართლა ცუდად მოგვექცა მესის, პუიოლს და მეც, მაგრამ შემდეგ ბოდიში მოგვიხადა. არადა, მასთან კარგი ურთიერთობა მაქვს და პირად საუბარში ყველაფერი გავარკვიეთ. ძალიან კარგად მესმის მისი, საშინელ სიტუაციაში იყო, თითქოს მთელი მსოფლიო ეომებოდა. მე მხოლოდ ის ვუთხარი, რომ ასე შეიძლებოდა რამე მოეტეხა მესისთვის, მაგრამ ისეთ დღეში იყო, რომ არავის ხმა არ ესმოდა. კაცი შეცდა, შემდეგ ბოდიში მოიხადა, რა პრობლემაა?

კონფლიქტი

# ერკულესი დრენტეს ჩაგრავს

„ერკულესს" საბოლოოდ აუჯანყდა ჰოლანდიელი **როისტონ დრენტე**, რომელმაც სატრანსფერო ფანჯრის დახურვის შემდეგ საჯაროდ გამოაცხადა, რომ მას „იუვენტუსში" თამაშის შანსი „ერკულესმა" ჩაუშალა. *„გაცოფებული ვარ, ბოლო დღეებში გაჩნდა „იუვენტუსში" იჯარით გადასვლის შანსი. თითქმის ყველაფერი შეთანხმდა, მაგრამ „ერკულესმა", რომელსაც არ ვეკუთვნი და მხოლოდ იჯარით ვთამაშობ, დაბლოკა ეს ტრანსფერი. მე პროფესიონალი ვარ და სეზონის ბოლომდე მაინც თავს დავდებ მოედანზე, მაგრამ ისინი აღარ მათამაშებენ და თავის გამოჩენის შანსს არ მაძლევენ, თანაც ფანებთან ცუდად მახასიათებენ"*, - განუცხადა იტალიურ „ტუტომერკატოს" 23 წლის ჰოლანდიელმა. შეგახსენებთ, რომ თავიდან დრენტე დიდებულად მოერგო „ერკულესს", გუნდის ერთ-ერთი ლიდერიც გახდა, მაგრამ შემდეგ კონტრაქტით განსაზღვრული ჯამაგირი მოითხოვა, რომ ვერ მიიღო, „აჯანყდა". ამბობენ, დრენტეს ჯერ მხოლოდ ნოემბრის ხელფასი გაუსტუმრესო...

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა

# ყველა ტრანსფერი

### არსენალი

**მოვიდნენ:** აარონ რემსი (ნოტინგემ ფორესტი, იჯარა დაუმთავრდა), ვიტო მანონე (ჰალ სიტი, იჯარა დაუმთავრდა)

**წავიდნენ:** აარონ რემსი (ნოტინგემ ფორესტი, იჯარით), ვიტო მანონე (ჰალ სიტი, იჯარით), კარლოს ველა (ვესტ ბრომვიჩი, იჯარით)

### ასტონ ვილა

**მოვიდნენ:** ჟან მაკუნი (ლიონი), დარენ ბენტი (სანდერლენდი), მაიკლ ბრედლი (მოინხენგლადბახი, იჯარით), კაილ უოკერი

**წავიდნენ:** სტივ აირლენდი (ნიუკასლი, იჯარით), სტივ სიდუელი (ფულჰემი), იონ კარეუ (სტოკ სიტი, იჯარით), ბრედ გუზანი (ჰალ სიტი, იჯარით), ჯეიმს კოლინზი (შრიუსბერი), კერტის დევისი (ბირმინგემი)

### ბირმინგემი

**მოვიდნენ:** კერტის დევისი (ასტონ ვილა), დევიდ ბენტლი (ტოტენჰემი, იჯარით), ობაფემი მარტინსი (რუბინი, იჯარით),

**წავიდნენ:** მიჩელი (აეკ, იჯარით), მარკუს ბენტი (შეფილდ იუნაიტედი, იჯარით), ჯეიმს ოში (პორტ ვეილი, იჯარით)

### ბლეკბერნი

**მოვიდნენ:** როკე სანტა კრუსი (მანჩესტერ სიტი, იჯარით), ჯერმეინ ჯონსი (შალკე, იჯარით), რუბენ როჩინა (ბარსელონა, იჯარით), მაურო ფორმიკა (ოლდ ბოიზი, იჯარით)

**წავიდნენ:** პასკალ შიმბონდა (ქუინზ პარკი), ელ-ჰაჯი დიუფი (რეინჯერსი, იჯარით)

### ბლეკპული

**მოვიდნენ:** ჯეიმს ბიტი (რეინჯერსი, იჯარით), ენდი რიდი (სანდერლენდი, იჯარით), სალაჰედინ სბაი (ნიმი), სერგეი კორნილენკო (ზენიტი, იჯარით),

**წავიდნენ:** დეკელ კეინანი (კარდიფ სიტი)

### ბოლტონი

**მოვიდნენ:** დევიდ უიტერი (მიდლსბრო), დანიელ სტარიჯი (ჩელსი, იჯარით)

**წავიდნენ:** მუსტაფა რიგა (?)

### ვესტ ბრომვიჩ ალბიონი

**მოვიდნენ:** კარლოს ველა (არსენალი)

**წავიდნენ:** ლუკ მური (სუონსი), რუბენ რიდი (ოლდჰემი)

### ვესტ ჰემი

**მოვიდნენ:** უეინ ბრიჯი (მანჩესტერ სიტი, იჯარით), დემბა ბა (ჰოფენჰაიმი), გარი ონილი (მიდლსბრო), რობი კინი (ტოტენჰემი, იჯარით)

**წავიდნენ:** ვალონ ბეჰრამი (ფიორენტინა)

### ვულვერჰემპტონი

**მოვიდნენ:** ადამ ჰემილი (ბარნსლი), ლეიჯ გრიფიტსი (დანდი), ჯეიმს ოჰარა (ტოტენჰემი, იჯარით), ადრიანო ბასო (?)

**წავიდნენ:** იელე ვან დამი (სტანდარდი)

### ლივერპული

**მოვიდნენ:** ლუის სუარესი (აიაქსი), ენდი ქეროლი (ნიუკასლი), კონორ ტომასი (ქოვენთრი, იჯარით),

**წავიდნენ:** ფერნანდო ტორესი (ჩელსი), რაიან ბაბელი (ჰოფენჰაიმი), პოლ კონჩესკი (ნოტინგემ ფორესტი, იჯარით)

### მანჩესტერ სიტი

**მოვიდნენ:** ედინ ჯეკო (ვოლფსბურგი), გაი ასულინი (უკლუბო)

**წავიდნენ:** როკე სანტა კრუსი (ბლეკბერნი), უეინ ბრიჯი (ვესტ ჰემი, იჯარით), ემანუელ ადებაიორი (რეალი, იჯარით), დავიდ გონსალესი (ლიდსი, იჯარით), ჯევან ვიდელი (ჩესტერფილდი)

### მანჩესტერ იუნაიტედი

**მოვიდნენ:** ანდერს ლიდეგორი (ოლესუნი)

**წავიდნენ:** ჯეიმს ჩესტერი (ჰალ სიტი), ფედერიკო მაკედა (ლაციო, იჯარით), ბენ ეიმოსი (ოლდჰემი, იჯარით)

### ნიუკასლი

**მოვიდნენ:** ჰატემ ბენ არფა (მარსელი), სტივენ აირლენდი (ასტონ ვილა)

**წავიდნენ:** ენდი ქეროლი (ლივერპული), უეინ რუტლეჯი (ქუინზ პარკი, იჯარით), ტამაშ კადარი (ჰადერსფილდი, იჯარით), ჯოან ედმუნდსონი (ჰაიშტედი)

### სანდერლენდი

**მოვიდნენ:** სალი მუნტარი (ინტერი), სტეფან სესენიონი (პსჟ),

**წავიდნენ:** დარენ ბენტი (ასტონ ვილა), დევიდ ჰილი (რეინჯერსი), პაულო და სილვა (სარაგოსა), ენდი რიდი (ბლეკპული)

### სტოკ სიტი

**მოვიდნენ:** ჯერმაინ პენანტი (სარაგოსა), იონ კარეუ (ასტონ ვილა), მაიკლ ტონგი, დენი პუგი (ორივე პრესტონი, იჯარით),

**წავიდნენ:** ლაიამ ლოურენსი (პორტსმუთი), თუნჯაი სანლი (ვოლფსბურგი), ენდრიუ დევისი (უოლსოლი, იჯარით)

### ტოტენჰემი

**მოვიდნენ:** ბონგამი ხუმალო (სუპერსპორტ იუნაიტედი), სტივ პიენაარი (ევერტონი),

**წავიდნენ:** დევიდ ბენტლი (ბირმინგემი, იჯარით), რობი კინი (ვესტ ჰემი, იჯარით), ჯეიმი ოჰარა (ვულვერჰემპტონი), კაილ უოკერი (ასტონ ვილა, იჯარით), ჯოვანი დოს სანტოსი (რასინგი)

### უიგანი

**მოვიდნენ:** ადრიან ლოპესი (დეპორტივო), კონორ სემონი (კილმარნოკი)

**წავიდნენ:** მაურო ბოზელი (ჯენოა, იჯარით)

### ფულჰემი

**მოვიდნენ:** სტივ სიდუელი (ფულჰემი), გაელ კაკუტა (ჩელსი, იჯარით)

**წავიდნენ:** ფრედრიკ სტოორი (ვოლერენგა), ენდი ჯონსონი (პრესტონი)

### ჩელსი

**მოვიდნენ:** დავიდ ლუიზი (ბენფიკა), ფერნანდო ტორესი (ლივერპული)

**წავიდნენ:** დანიელ სტარიჯი (ბოლტონი), გაელ კაკუტა (ფულჰემი, იჯარით)

### ევერტონი

**მოვიდნენ:** ერიკ დიერი (სპორტინგი), აპოსტოლოს ველიოსი (ირაკლისი)

**წავიდნენ:** აიგბენი იაკუბუ (ლესტერ სიტი), სტივ პიენაარი (ტოტენჰემი)

**ლევან ბიბილაშვილი**



ენდი ქეროლი





ინგლისი. პრემიერლიგა. XXV ტური

# სუარესისა და კინის სადებიუტო გასროლა

**ლუის სუარესმა** და **რობი კინმა** შესაბამისად „ლივერპულისა" და „ვესტ ჰემის" შემადგენლობაში ჩატარებული პირველი მატჩები გოლებით აღნიშნეს. ჯერ ნაადრევია იმაზე საუბარი, გამოდგება თუ არა სუარესი „ჩელსიში" წასული **ფერნანდო ტორესის** სრულფასოვანი შემცვლელი, დასაწყისი კი ნამდვილად იმედისმომცემი აქვს.

ლიდერთა ჯგუფის ერთადერთი წარმომადგენელი, რომელმაც ამ ტურში სამი ქულა ვერ მოიპოვა, „მანჩესტერ სიტია". არადა, „ქალაქელები" გამარჯვებასთან ახლოს იყვნენ. „ბირმინგემმა" ვაჟკაცურად იბრძოლა და მეტოქეს ანგარიში ორჯერ გაუთანაბრა.

„ტოტენჰემის" თავკაც **ჰარი რედნაპს** კადრებში ისე გაუჭირდა, რომ სათადარიგოთა სკამზე ერთბაშად ორი მეკარე დასვა. რამდენიმე მნიშვნელოვანი ფეხბურთელის არყოფნის მიუხედავად, „დეზებმა" მაინც შეძლეს მძიმე გასვლითი გამარჯვების მოპოვება.

დაბოლოს, მნიშვნელოვანი ამბავი ინგლისიდან, რომელსაც ვრცლად „ლელოს" ხვალინდელ ნომერში წაიკითხავთ: სეზონის დასრულებას აღარ დაელოდა და საფეხბურთო კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა „მანჩესტერ იუნაიტედის" ვეტერანმა მცველმა **გარი ნევილმა**...

**ლევან ჯანეზაშვილი**

### ბირმინგემი-სიტი 2:2

**ბირმინგემი (4-4-2):** ფოსტერი – კარი, ჟირანეკი, რიჯუელი, რ. ჯონსონი – გარდნერი, ფერგიუსონი, ბოიერი (75. ბოსეჟური), ბენტლი – ჟიგიჩი, ჯერომი (70. ფილიპსი).

**სიტი: (4-4-2):** ჰარტი – რიჩარდსი (37. კ. ტურე), ჟ. ბოატენგი, კოლაროვი, კომპანი – დე იონგი (46. ვიეირა), ბერი, დავიდ სილვა, მილნერი – ტევესი, ჯეკო.

**გოლები:** 0:1 ტევესი (4), 1:1 ჟიგიჩი (23), 1:2 კოლაროვი (41), 2:2 გარდნერი (77. პენ.)

**გაფრთხილება:** დე იონგი, კოლაროვი

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 9-12; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 18-15 (5-7); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 24 379

### ბლეკბერნი-ტოტენჰემი 0:1

**ბლეკბერნი (4-4-2):** რობინსონი – სალგადო, ნელსენი, სამბა, ოლსონი – ენდრიუსი, ჰოილეტი, დანი (67. პედერსენი), ჯ. ჯონსი (64. ნზონზი) – მ. დიუფი (82. მვარუვარი), რობერტსი.

**ტოტენჰემი (4-4-2):** გომესი – ჩორლუკა, ასუ-ეკოტო, გალასი, ბასონგი – ვან დერ ვაარტი, ლენონი, პალასიოსი, ჯენასი – კრაუჩი, დეფო (76. სანდრო).

**გოლი:** 0:1 კრაუჩი (4)

**გაფრთხილება:** ჯონსი, ნზონზი - ჩორლუკა

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 13-12; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 18-6 (7-3); **ბურთის ფლობა:** 47%-53%;

**მაყურებელი:** 23 253

### ბლეკპული-ვესტ ჰემი 1:3

**ბლეკპული (4-3-3):** კინგსონი – ერდლი, კერნი, კატკარტი (46. ევატი), ბაპტისტე – ვოგანი, რიდი (60. ჰეირვუდი), ადამი – ვერნი (61. ბიტი), ტეილორ-ფლეტჩერი, დიჯეი კემპბელი.

**ვესტ ჰემი (4-4-2):** გრინი – იაკობსენი, გებიდონი (34. ვ. რიდი), ტომკინსი, ბრიჯი – ონილი, ობინა (83. ბოა მორტე), ნობლი, პარკერი – პიკიონი, კინი (84. კოვაჩი).

**გოლები:** 0:1 ობინა (24), 0:2 კინი (37), 1:2 ადამი (42), 1:3 ობინა (44)

**გაფრთხილება:** პარკერი

**კუთხური:** 10-7; **ჯარიმა:** 10-14; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 21-13 (4-8); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 15 095

### ბოლტონი-ვულვზი 1:0

**ბოლტონი (4-4-2):** იასკელაინენი – რიკეტსი, რობინსონი, კეჰილი, ნაითი – ლ. იონგი (68. როდრიგო), ტეილორი (68. სტარიჯი), მ. დევისი, ჰოლდენი – კ. დევისი (89. მუამბა), ელმანდერი.

**ვულვზი (4-5-1):** ჰენესი – ზუბარი, ელოკობი, სტირმენი, ბერა – ჰამილი (89. ებენს-ბლეიკი), ჯერვისი (75. უორდი), ედვარდსი (75. ოჰარა), ჰენრი, დ. ჯონსი – დოილი.

**გოლი:** 1:0 სტარიჯი (90)

**გაფრთხილება:** რობინსონი – სტირმენი, ზუბარი, ჰენრი

**კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 15-8; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 14-12 (4-1); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 18 944

### ფულჰემი-ნიუკასლი 1:0

**ფულჰემი (4-4-2):** შვარცერი – პენტსილი, ბირდი, ჰიუზი, ჰანგელანდი – სიდუელი, მერფი (87. გერა), დემპსი, დაფი (87. ს. დევისი) – დემბელე, ე. ჯონსონი (72. კაკუტა).

**ნიუკასლი (4-4-2):** ჰარპერი – სიმპსონი, ენრიკე, უილიამსონი, კოლოჩინი – ბარტონი, გუტიერესი, გუტრიე, ნოლანი – ბესტი (72. ლოვენკრანდსი), ამეობი (13. რეინჯერი).

**გოლი:** 1:0 დაფი (67)

**გაფრთხილება:** სიმპსონი, ნოლანი, გუტრიე

**კუთხური: (4-4-2):** 5-7; **ჯარიმა:** 15-20; **თამაშგარე:** 6-0; **კარში დარტყმა:** 16-5 (9-3); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 25 620

### ლივერპული-სტოკი 2:0

**ლივერპული (4-4-2):** რეინა – კირიაკოსი, აგერი, შკრტელი, აურელიო (63. სუარესი) – გ. ჯონსონი, ლუკასი, ჯერარდი, კელი – კუიტი, მეირელეში (76. შელვი).

**სტოკი (4-5-1):** ბეგოვიჩი – ჰუტი, ფაიე (65. კოლინზი), ჰიგინბოთემი, უილკინსონი – უილსონი (67. ფულერი), დიაო (62. დელაპი), უითეჰედი, უოლტერსი, პენანტი – კარეუ.

**გოლები:** 1:0 მეირელეში (47), 2:0 სუარესი (79)

**გაფრთხილება:** ჯონსონი – ჰუტი, კოლინზი, დიაო, კარეუ

**კუთხური:** 7-0; **ჯარიმა:** 6-8; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 15-8 (7-1); **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 40 254

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 24 | 15 | 9 | 0 | 54-22 | 54 |
| 2. არსენალი | 24 | 15 | 4 | 5 | 50-23 | 49 |
| 3. სიტი | 25 | 13 | 7 | 5 | 39-22 | 46 |
| 4. ჩელსი | 24 | 13 | 5 | 6 | 46-21 | 44 |
| 5. ტოტენჰემი | 24 | 11 | 8 | 5 | 33-26 | 41 |
| 6. სანდერლენდი | 25 | 9 | 10 | 6 | 30-28 | 37 |
| 7. ლივერპული | 25 | 10 | 5 | 10 | 33-31 | 35 |
| 8. ბოლტონი | 25 | 8 | 9 | 8 | 35-35 | 33 |
| 9. ბლეკბერნი | 25 | 9 | 4 | 12 | 31-38 | 31 |
| 10. ნიუკასლი | 24 | 8 | 6 | 10 | 36-34 | 30 |
| 11. სტოკი | 24 | 9 | 3 | 12 | 28-30 | 30 |
| 12. ფულჰემი | 25 | 6 | 11 | 8 | 26-26 | 29 |
| 13. ბლეკპული | 24 | 8 | 4 | 12 | 35-44 | 28 |
| 14. ასტონ ვილა | 25 | 7 | 7 | 11 | 28-43 | 28 |
| 15. ევერტონი | 24 | 5 | 12 | 7 | 28-31 | 27 |
| 16. ვესტ ბრომვიჩი | 24 | 7 | 5 | 12 | 31-45 | 26 |
| 17. ბირმინგემი | 23 | 4 | 12 | 7 | 23-33 | 24 |
| 18. ვესტ ჰემი | 25 | 5 | 9 | 11 | 27-44 | 24 |
| 19. უიგანი | 25 | 4 | 11 | 10 | 22-41 | 23 |
| 20. ვულვზი | 24 | 6 | 3 | 15 | 24-42 | 21 |

**ბომბარდირები:** 19 - ბერბატოვი (მანჩესტერი); 15 - ტევესი (სიტი); 11 - ქეროლი (ნიუკასლი/ლივერპული); 10 - დროგბა (ჩელსი), ნოლანი (ნიუკასლი), ოდემვინგიე (ვესტ ბრომვიჩი).

საფრანგეთი. ლიგა 1



მარცხნივ მაჰამადუ დიარა

# ყველა ტრანსფერი

### არლი

**მოვიდნენ:** დიანბობო ბალდე (ვალანსიენი)

**წავიდნენ:** ანგელოს ხარისტეასი (შალკე), ანგელოს ბასინასი, ჩაფიკ ნაჯიხი (ბულონი, იჯარით), ჰამერ ბოუზა (ირაკლისი), ბენჯამინ ბსაუმე (ტრუა), ელამინ ერბატე (კალაბლანკა)

### ბორდო

**მოვიდნენ:** ჟუგი (ინტერბლოკი), ანდრე (დინამო, კიევი),

**წავიდნენ:** ბელიონი (ნიცა), საივე (ანჟერი), მააზუ (მონაკო), კავენაგი (ინტერნასიონალი)

### პარი სენჟერმენი

**მოვიდნენ:** ხესინიონი (სანდერლენდი)

**წავიდნენ:** არავინ

### ბრესტი

**მოვიდნენ:** გუიდილე (ესტაკი), აიტე (ნიმი)

**წავიდნენ:** დარლასი (ატრომიტოსი), ლორენცი (არლი), გუიდილე (ესტაკი)

### ვალანსიენი

**მოვიდნენ:** ლანჟილი (ოსერი)

**წავიდნენ:** ბალდე (?), ბანგურა (ვანი)

### კანი

**მოვიდნენ:** პრომალი (ანტალიასპორი)

**წავიდნენ:** ნაბაბი (სტად ლავალოი)

### ლანსი

**მოვიდნენ:** ფრანკ კედრიუ (?)

**წავიდნენ:** აბდულრაზაკ ბუკარი (რენი), მ. რამოსი (?)

### ლილი

**მოვიდნენ:** ადილ რამი (ვალენსია)

**წავიდნენ:** სალიბური (ბულონი), ლინგი (ნორდსაელანდი)

### ლიონი

**მოვიდნენ:** არავინ

**წავიდნენ:** მაკუნი (ასტონ ვილა)

### ლორიანი

**მოვიდნენ:** სუნუ (არსენალი)

**წავიდნენ:** ოინელი (კარკეფუ), დუბარბიე (ტენერიფე)

### მარსელი

**მოვიდნენ:** გოდა (?), დულოვო (აიაჩო), მბოვი (აიაჩო),

**წავიდნენ:** რიუ (?), მბოვი (კანი)

### მონაკო

**მოვიდნენ:** ლაკომბი (მონპელიე), მაჰამადუ დიარა (რეალი), ველკომი (დეპორტივო, მოტაგუა), მააზუ (ბორდო), მუკანჯო ბილე (ნიმი), ფეინდუნო (?)

**წავიდნენ:** მბოკანი (ვოლფსბურგი), კომტა (ვასკო და გამა), გაპკე (ნანტი), ალონსო (სენტ ეტიენი), ობამეიანგი (მილანი)

### მონპელიე

**მოვიდნენ:** უტაკა (პორტსმუთი) არმანი (კანი),

**წავიდნენ:** გრეგორი ლაკომბი (მონაკო)

### ნანსი

**მოვიდნენ:** ჟან კალვე (შეფილდ იუნაიტედი)

**წავიდნენ:** ელდერი (ტიმიშოარა)

### ნიცა

**მოვიდნენ:** დავიდ ბელიონი (ბორდო)

**წავიდნენ:** პოტე (ლე მანი)

### ოსერი

**მოვიდნენ:** ჟო გუკი (სეული), ფალი (ჯარააფ დე დაკარი),

**წავიდნენ:** ლანჟილი (ვალანსიენი)

### რენი

**მოვიდნენ:** ბუკარი (ლანსი), ვერჰოეკი (დენ ბოში)

**წავიდნენ:** არავინ

### სენტ ეტიენი

**მოვიდნენ:** რავე (ჯფ 38)

**წავიდნენ:** სებასტიან გრაკსი (?), ნდავი (სარაგოსა), ბერხესიო (კატანია)

### სოშო

**მოვიდნენ:** არავინ

**წავიდნენ:** ვაცლავ სვერკოში (პანიონიოსი), დუპლუ (ვანი)

### ტულუზი

**მოვიდნენ:** ლუის მელიხა (ფენიქსი)

**წავიდნენ:** ლარსენი (ფეიენოორდი)

**ლევან ბიბილაშვილი**

ქართული სპორტი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

# აჭარული კლასიკა

დილმის შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიაში გუშინ ახალგაზრდა ბერძენ-რომაელთა შორის საქართველოს ჩემპიონატი დაიწყო, რომლის უმთავრესი მიზანი ევროპისა და მსოფლიოს პირველობებისთვის მონაწილეთა შერჩევაა. სამწუხაროდ, ეს ორი უმნიშვნელოვანესი შეჯიბრება წლეულსაც ისევ ძველებურად უთავბოლოდ, სულ რალაც ერთთვიანი ინტერვალით ტარდება – ევროპის ჩემპიონატს 21-26 ივნისს სერბული ზრენჯანინი უმასპინძლებს, მსოფლიოს – 26-31 ივლისს ბუქარესტი. ასეთი შემჭიდროებული კალენდარი მწვრთნელებს მუდამ ორ-ორი შემადგენლობის ძიებას აიძულებდა და გამონაკლისი არც წლევანდელი პირველობაა, თუმცა ამჯერად ახალგაზრდულის თავკაცმა **ვლადიმერ ადეიშვილმა** ადრინდელზე მეტი პრინციპულობა გამოიჩინა და ჩემპიონატში მონაწილეობა უკლებლივ ყველა ლიდერს დაავალა. მოთხოვნამ გაჭრა და მართლაც ყველა ჭიდაობს.

გუშინ ოთხი დაბალი წონის – 50, 55, 60 და 66-ის ფალავნებმა იასპარეზეს. შეჯიბრება აჭარელთა გუნდის სოლიდური უპირატესობით წარიმართა. არცაა გასაკვირი, რადგან ბოლო წლებში საქართველოში ჭიდაობის ამ სახეობაში ლიდერობა იქაურებმა იგდეს ხელთ. ამჯერად მათ ოთხი ოქროდან სამი მოიგეს და იმ სამი წონიდანაც ორში აჭარული ფინალი გაიმართა. ჯამში მათი გუშინდელი მონაგარი შვიდი მედალია – 3 ოქრო და 2-2 ვერცხლ-ბრინჯაო. საკმაოდ კარგად გამოვიდა სენაკის გუნდიც, რომელმაც სამივე სინჯის თითო მედალი მოიპოვა. სწორედ მათ დარჩათ ოქროს მედალი იმ ერთადერთ წონაში, სადაც აჭარლებმა ვერ იყოჩალეს – 66-ში. სხვათა შორის, ეს წონა აჭარის გუნდმა ჩააგდო – მედალი საერთოდ ვერ მოიპოვა. სამაგიეროდ, აქ ძალზე საინტერესო ფინალი გაიმართა – სენაკელებისა და სულაც მოგვარეების, **საჩინო** და **გიორგი დავითაიების** მონაწილეობით. თითო მედალი ირგუნეს თბილისის, ქუთაისის, ზესტაფონის, ოზურგეთის, გარდაბნისა და სამტრედიის გუნდებმა.

რამდენადმე მოულოდნელი შედეგი უკვე პირველივე წონაში, 50-ში დაფიქსირდა. ალბათ, აქ უმეტესობა უფრო გამოცდილ **ედნარ შავაძის** გამარჯვებას ელოდა, მაგრამ **ნიკა ცეცხლაძემ** თანაგუნდელს არათუ რამე დაუთმო, ულაპარაკოდ აჯობა. სამაგიეროდ, ფავორიტმა დამაჯერებლად გაიმარჯვა 55-ში – ჭაბუკებში ევროპის ბრინჯაოს პრიზიორმა **ამირან შავაძემ** გარდაბნელი **თორნიკე ტოტიკაშვილი** დაამარცხა.

60 კილოგრამში ყურადღებას იმთავითვე იპყრობდნენ საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი უფროსებში, ევროპის ორგზის მედალოსანი ახალგაზრდებსა და ჭაბუკებში **ქემალ ხარაბაძე** და ჭაბუკებში ევროპის შარშანდელი ჩემპიონი **ფირუზ წულუკიძე**. წინასწარ შეხვედრებში წულუკიძემ ცოტა უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა ფინალში ხარაბაძემ გამოცდილებით და ფიზიკური ძალით მოუგო. ყოველ შემთხვევაში, ხარაბაძეს გამარჯვება წამითაც არ გაუხდია საეჭვო და მთელი შეხვედრა საგრძნობ უპირატესობას ფლობდა. პირველი პერიოდი ძალზე ბანალურად მოიგო – ორმხრივ ძიძგილაობაში უფრო ძალით დაჩაგრა მეტოქე და ისე გადააგდო ილეთზე. მეორე პერიოდში წულუკიძემ ჩოქბჯენიდან ვერ აიყვანა და შეტევისთვის განკუთვნილი დროის ამოწურვამდე დაყარა ფარ-ხმალი – საერთოდ გაუშვა ხელი მეტოქეს და უმწეოდ გაჩერდა ლეიბის შუაში.

66-ში მოგვარეთა შერკინებაშიც ფავორიტმა იმარჯვა – ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელმა ვიცე-ჩემპიონმა **საჩინო დავითაიამ**. გადამწყვეტი აქაც უკეთესი ფიზიკური მომზადება გამოდგა, რასაც კლასიც დაემატა. თან მოგვეჩვენა, რომ გიორგი თითქოს უფრთხოდა მოგვარეს და შედარებით ფრთხილად ეკიდებოდა შეტევებს.

ჩემპიონატი დღეს დასრულდება დარჩენილი ოთხი წონითი კატეგორიის ფალავანთა მონაწილეობით.

**ირაკლი თავაძე**

**კვარცხლბეკი.**

**50 კგ.** ნიკა ცეცხლაძე, 2. ედნარ შავაძე, 3. გია ბილვანიძე (სამივე – აჭარა), დავით სანიკიანი (ქუთაისი).

**55 კგ.** 1. ამირან შავაძე (აჭარა), 2. თორნიკე ტოტიკაშვილი (გარდაბანი), 3. აბესალომ ქათამაძე (ზესტაფონი), ბაჩანა ფუტკარაძე (აჭარა).

**60 კგ.** 1. ქემალ ხარაბაძე, 2. ფირუზ წულუკიძე (ორივე – აჭარა), გოგიტა გოგიბერაშვილი (სამტრედია), ხვიჩა ჭითავა (სენაკი).

**66 კგ.** 1. საჩინო დავითაია, 2. გიორგი დავითაია (სენაკი), 3. ლევან გოგიძე (თბილისი), გიორგი ჯაში (ოზურგეთი).

ფიგურული ციგურაობა

# ელენე რეიტინგში და უნივერსიადა უჩვენოდ



ბერნში დასრულებული ევროპის ჩემპიონატის შემდეგ განახლდა მოციგურავეთა რეიტინგ-ლისტი. **ელენე გედევანიშვილი**, რომელმაც კონტინენტის პირველობაზე მე-8 ადგილი დაიკავა, მსოფლიოს კლასიფიკაციაში 2 282 ქულით მე-14 ადგილზეა. პირველ ადგილზე კორეელი **იუ-ნა კიმია** 4024 ქულით, მეორე ადგილზეა იტალიელი **კაროლინა კოსტნერი**, რომელმაც შვეიცარიაში ვერცხლის მედალი მოიპოვა - 3 875 ქულა. გაგაცნობთ მოწინავე ათეულის სხვა წევრებსაც: 3. **აკიკო სუზუკი** (იაპონია), 4. **მიკი ანდო** (იაპონია), 5. **კიირა კორპი** (ფინეთი), 6. **ჟანი როშე** (კანადა), 7. **მაო ასადა** (იაპონია), 8. **ალიონა ლეონოვა** (რუსეთი), 9. **ლაურა ლეპისტო** (ფინეთი), 10. **რეიჩელ ფლეტი** (აშშ). სულ რეიტინგში 201 ქალი მოციგურავეა.

ყინულზე ცეკვებშიც წყვილთა ახალი კლასიფიკაცია გამოქვეყნდა. **ელისონ რიდისა** და **ოთარ ჯაფარიძის** ქართული დუეტი 694 ქულით 47-ე ადგილზეა. მსოფლიო რეიტინგის გარდა აღინუსხება სეზონის რეიტინგიც, სადაც გედევანიშვილი მე-12 პოზიციაზეა. 2010/11 წლების სეზონის რეიტინგში ქალთა შორის კაროლინა კოსტნერია ლიდერი, მას კვალში კიირა კორპი და **ქსენია მაკაროვა** მიყვებიან. გაცილებით უკეთეს პოზიციაზე არიან რიდი და ჯაფარიძე სეზონის რეიტინგში - 21-ე. გასაკვირიც არაფერია, ჩვენი წყვილისთვის ეს მხოლოდ მეორე სეზონია დიდებში.

სეზონის მთავარი შეჯიბრება - მსოფლიოს ჩემპიონატი - 21-27 მარტს ტოკიოში გაიმართება. შეგახსენებთ, რომ ელენეს საუკეთესო შედეგი მსოფლიოს ჩემპიონატებზე მე-10 ადგილია (2009).

აქვე შევნიშნავთ, რომ თურქეთის კურორტ ერზურუმში ზამთრის უნივერსიადა (11 სახეობაში) მიმდინარეობს, სადაც 57 ქვეყნის დელეგაცია მონაწილეობს. საოცარია, მაგრამ საქართველოს ყურისძირში, სულ ასიოდე კილომეტრში ჩვენ ვერ ვმონაწილეობთ, მაშინ, როცა ისეთი ეგზოტიკური (სპორტის ზამთრის სახეობებისთვის) ქვეყნები გამოდიან, როგორიც ვენესუელა, ლიბანი და ტაილანდია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მძლეოსნობა



# სპორტის დედოფალს შესაფერისი ზამთრის სასახლე ექნება

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ **ლადო ვარძელაშვილს** არაერთხელ აღუნიშნავს, რომ მძლეოსნობა საქართველოში პრიორიტეტული სახეობა უნდა გახდეს, რადგან ის იყო და რჩება ზოგადად სპორტის საფუძველთა საფუძვლად. კეთილი ნება მინისტრმა კიდევ ერთხელ გუშინაც დაადასტურა, როცა მოადგილე **დავით ნამგალაურთან** და მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტ **ალექსი ახვლედიანთან** ერთად დიდუბის დახურულ მანეჟს ეწვია და ამ უნიკალური შენობის სარეაბილიტაციო გეგმებზე ისაუბრა.

*„იყო დრო, დიდუბის მანეჟი არა მარტო ჩვენთან, არამედ მთელ კავკასიაში უდიდეს როლს თამაშობდა მძლეოსნობის განვითარებაში, ამიტომაც დავისახეთ მიზნად 18-თვიან ვადაში მისი სრული რეაბილიტაცია, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში მძლეოსნობის აღორძინება-პოპულარიზაციას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თბილისის მერმა მანეჟი მძლეოსნობის ფედერაციას გადასცა. აქ უკვე დაიწყო აღდგენითი სამუშაოები. მომავალი წლის შემოდგომამდე „სპორტის დედოფალს“ თანამედროვე სტანდარტების დონეზე ალჭურვილი სასახლე ექნება“,* — აღნიშნა ლადო ვარძელაშვილმა.

*„ჩვენი უპირველესი საზრუნავია ინფრასტრუქტურის მოგვარება. უამისოდ დიდ სპორტსმენს ვერ გავზრდით. უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ დიდუბის მანეჟის კეთილმოწყობას, რომ მძლეოსნები ზამთრის პერიოდში სარბიელს მოწყვეტილი არ დარჩნენ. უპირველესად, ცხადია, უშუალოდ სპორტულ დარბაზს გავარემონტებთ, კერძოდ, დამონტაჟდება გათბობის სისტემა, შეიცვლება ვირაჟები, დაიგება ახალი სარბენი ბილიკები, კეთილმოეწყობა სხვა მძლეოსნური სექტორები. სპორტსმენების სამსახურში ჩადგება მანეჟის სასტუმრო, რაც საწვრთნელი შეკრებების ჩატარებასა და სტუმრების მიღება-დაბინავებაში დაგვეხმარება. გარემონტებული დარბაზი მწვრთნელებსა და მათ შეგირდებს საქმეს გაუიოლებს, ვარჯიშის პროცესს საგრძნობლად გააუმჯობესებს, რაც, დარწმუნებული ვარ, შედეგებშიც აისახება“,* — დასძინა ალექსი ახვლედიანმა.

როგორც ვხედავთ, საქმეს კარგი პირი უჩანს. გვჯერა, რომ იმედიან სტარტს ფინიშიც სასურველი მოჰყვება.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# 18-წლიანებმა დაიწყეს



თბილისის ჭადრაკის სასახლეში გუშინ დაიწყო 18 წლის გოგონათა და ვაჟთა საქართველოს პირველობა, რომელშიც სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის 42 წარმომადგენელი მონაწილეობს. სასტარტო ორთაბრძოლები დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. 21-დან მხოლოდ სამი შეხვედრა დამთავრდა ყაიმით. ფავორიტთა უმრავლესობამ გათამაშების ცხრილში ქულა ჩაიწერა.

**გოგონები.** მერი არაბიძე-თეკლა მაჭარაშვილი 1:0, მარიამ ჭოლაძე-ნათია ჯალაბაძე 0,5:0,5, ანა კუჭავა-ლიზი ტრაპაიძე 1:0, მაია მუმლაძე-ნატო იმნაძე 0,5:0,5, ლიკა კობეშავიძე-მარიამ ვალიშვილი 1:0, ქეთევან ხომერიკი-ნანი უნაფქოშვილი 0,5:0,5, ანა შამათავა-მარიამ შუბითიძე 1:0, ანა ჩხაიძე-მარიამ თევზაძე 0:1, დეა გოგიშვილი-თამარ იობიძე 1:0.

**ვაჟები.** ზურაბ ჯავახაძე-გუგა ბურდული 1:0, ირაკლი კელეპტრიშვილი-გიორგი ნიკოლაშვილი 1:0, ნოდარ ლორთქიფანიძე-რევაზ ჭკუასელი 1:0, ალექსანდრე ებრალიძე-ირაკლი ბერიძე 0:1, ნიკა ვოლკოვი-თემურ ჩაიძე 1:0, ნინო ხომერიკი-ნიკოლოზ ქუმსიაშვილი 0:1, გიგლა ბენიძე-გიორგი ცხადაძე 1:0, ლუკა ლიჩელი-კახაბერ წერეთელი 0:1.

დღეს II ტურის პარტიები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

ნარდი

# ნარდი ზღვაზე



საქართველოს ნარდის ასოციაციის (პრეზიდენტი **თემურ ქურციკიძე**) თაოსნობით თბილისის ზღვის ტერიტორიაზე სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში, სადაც 114 ხანდაზმული ცხოვრობს, შეჯიბრება მოეწყო მოკლე ნარდში ქალთა და მამაკაცთა შორის.

პანსიონატს ესტუმრნენ ოლიმპიური ჩემპიონი ძალოსნობაში **რაფაელ ჩიმიშკიანი**, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში **ზარბეგ ბერიაშვილი**, ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **თემურ გიორგაძე**.

ხანდაზმულებს ტკბილეული და საჩუქრებიც მიართვეს.

მობინადრეთა და სტუმართა გუნდურ შეხვედრაში სტუმრებმა გაიმარჯვეს. დაჯილდოებაში მონაწილეობდნენ ცნობილი მომღერლები **ვახტანგ ტატიშვილი** და **ნუგზარ კვაშალი**.

**გაბრიელ ბარჯაძე**
ავტორის ფოტო

სამბო. მსოფლიოს თასი

# სამბისტთა ოქროს დასაწყისი

ახალი სეზონი სამბისტებმაც დაიწყეს - ამ დღეებში ყაზახეთში მსოფლიოს თასის ეტაპზე იჭიდავეს. როგორც ასეთ ქვეყნებში, ანუ მუდმივი პრეზიდენტების სამყაროში ხდება, ყაზახეთშიც ყველაფერი პრეზიდენტ **ნურსულთან ნაზარბაევის** სახელს ატარებს და გამონაკლისი არც ეს ტურნირი ყოფილა. შეჯიბრებას ქალაქმა ურალსკმა უმასპინძლა, სადაც ოთხი ქართველი ჭიდაობდა. ამ კვარტეტის მონაგარი თითო ოქრო და ბრინჯაოა. ტურნირის ჩემპიონი გარდაბნელი **ბექა იმერლიშვილი** (68) გახდა, რომელმაც პირველ შეხვედრაში მასპინძელი **აიბეკ გაბდეშევი** დაამარცხა, მერე აზერბაიჯანელ **ნამიგ სულთანოვს** სძლია, ნახევარფინალში რუს **ალექსანდრ შოკუროვსაც** მოუგო, ფინალში კი კიდევ ერთი რუსი, **მახატ ნურალიევი** დაამარცხა. ნურალიევმა მეოთხედფინალში მეორე ქართველი, ნაკრების ლიდერი **გელა სანიკიძე** ჩამოაცილა მედლისთვის ბრძოლას, რომელმაც საბოლოოდ მეხუთე-მერვე ადგილები გაინაწილა.

ბრინჯაოს მედალი ხაშურელმა **დიმიტრი მულაძემ** (52) მოიპოვა, რომელსაც **უშანგი კუზანაშვილის** შემცვლელად მოიაზრებენ. მოგეხსენებათ, მსოფლიოს ჩემპიონმა კუზანაშვილმა წლეულს წონა შეიცვალა და ზევით გადაბარგდა, უმჩატეს წონაში კი ნაკრების უმთავრეს იმედად მულაძე იქცა, რომელსაც ყაზახეთში ურიგოდ არ უჭიდავია.

სამბისტები ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან, რომელიც 12-16 მაისს სოფიაში გაიმართება. მზადების ფარგლებში ჩვენები 18-20 თებერვალს მინსკში უკვე იქაური უცვლელი პრეზიდენტის - **ალექსანდრ ლუკაშენკოს** სახელობის მსოფლიოს თასის მორიგ ეტაპზე იჭიდავებენ. ევროპამდე ჩვენი ნაკრების გეგმაში კიდევ ერთი შეჯიბრებაა - 26-28 მარტს მოსკოვში „პრეზიდენტის თასად“ წოდებული სამბოს დამაარსებელ ხარლამპიევის სახელობის მსოფლიოს სუპერთასი ტარდება, მაგრამ პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ბოლო წლებში ქართველი სპორტსმენები რუსეთის ტერიტორიაზე გამართულ ტურნირებში თითქმის არ მონაწილეობენ. ამიტომ მოსალოდნელია გეგმების შეცვლა. ევროპამდე ჩვენები მეტ ტურნირში გამოსვლას არ გეგმავენ. სამაგიეროდ, გადაწყვეტილია, რომ ორ საწვრთნელ შეკრებას გაივლიან.

ევროპის პირველობისთვის ემზადებიან ახალგაზრდა და ჭაბუკი სამბისტებიც. შეჯიბრება ერთდროულად ტარდება ორივე ასაკში, წლეულს კი მას 16-20 აპრილს პრაღა უმასპინძლებს. ჩვენი მოზარდებისთვის მთავარი საევროპო შეჯიბრება საქართველოს ჩემპიონატი იქნება, რომელსაც 2-5 მარტს ჭაბუკები გამართავენ, ზუსტად ერთ კვირაში - ახალგაზრდები. სწორედ აქ გამოიკვეთება ძირითადი ბირთვი ორივე ნაკრებისთვის, საბოლოოდ კი კანდიდატები საერთაშორისო ტურნირებზე შეირჩევიან.

**ირაკლი თავაძე**



● ჩვენი ნაკრები რუსების თვალით

# ამოუცნობი ქართველები

## ფაჩულიას ბურთს მისცემენ და...

ევროპის ჩემპიონატის წილისყრის შემდეგ გადავწყვიტეთ, ჩვენი ჯგუფის თითოეული მეტოქე სათითაოდ წარმოგიდგინოთ. წერა საქართველოს ნაკრებით უნდა დაგვეწყო. სწორედ გუშინ ვაპირებდით ჩვენი გუნდის შესახებ ლაპარაკს, თუმცა რუსულ გამოცემა Sports.ru-ზე" იმდენად საინტერესო პუბლიკაცია გამოქვეყნდა, რომ გადავწყვიტეთ, მკითხველისთვის საქართველოს ნაკრებზე რუსების ნააზრევი შეგვეთავაზებინა.

„ყველაზე ამოუცნობი მეტოქე" - ასე ჰქვია პუბლიკაციას.

„ევრობასკეტი-2011-ის წილისყრამ გულშემატკივრებს კმაყოფილების საბაბი გაუჩინა. რუსეთის ნაკრებს ძლიერი სლოვენია და ოთხი ისეთი გუნდი ერგო, რომელიც შესარჩევებზე ყოველთვის კარგად თამაშობენ, მაგრამ იშვიათი გამონაკლისების გარდა, მთავარ შეჯიბრებებზე ვერ ხვდებიან. სამთან რუსებს ნათამაშები გვაქვს - უკრაინელებს, ბელგიელებს და ბულგარელებს ან შესარჩევ ტურნირში, ან საკლუბო დონეზე შევხვედრივართ და ზოგადი წარმოდგენაც გვაქვს. ამოუცნობი მხოლოდ ერთი მეტოქეა - საქართველოს ნაკრები. გადავწყვიტეთ ფარდა გავწიოთ და ქართველები უკეთესად გავიცნოთ (რუს ჟურნალისტს „დაავიწყდა", რომ 2004 წელს სან ჯორჯოს ტურნირზე საქართველოს ნაკრებმა მათი გუნდი 87:71 დაამარცხა - ავტ.).

ლაპარაკი შორიდან უნდა დავიწყოთ, შევახსენოთ ევროპის სანაკრებო შეჯიბრებების სტრუქტურა. ფიბა-ევროპას ნაკრებები ორ დივიზიონად აქვს გაყოფილი: A-ში ძლიერები თამაშობენ, B-ში - სუსტები. ამის მიუხედავად, ევრონაკრებები სამ კატეგორიად უნდა დავყოთ.

**1. გუნდები, რომლებიც ევროპის ჩემპიონატებზე რეგულარულად თამაშობენ.**

**2. A-დივიზიონის ნაკრებები, რომლებიც იშვიათად ხვდებიან მთავარ საკალათბურთო ფორუმებზე.**

**3. B დივიზიონის წარმომადგენლები.**

ბოლო დრომდე საქართველოს ნაკრები მესამე კატეგორიის გუნდი იყო, თუმცა ბოლო ორ წლინადში სერიოზული ნახტომი შეასრულა. 2009 წელს კავკასიელებმა A დივიზიონის საგზური მოიპოვეს, პლეი ოფში ბელარუსები დაამარცხეს. 2010 წელს ქართველებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი კარგად ჩაატარეს. მათმა ნაკრებმა სერიოზული განაცხადი გააკეთა ევრობასკეტზე ყოველგვარი საკვალიფიკაციოს გარეშე მოხვედრაზე (მაშინ ცნობილი არ იყო, რომ მონაწილეთა რაოდენობა 16-დან 24-მდე გაიზრდებოდა). საქართველო შესარჩევში მცირედით ჩამორჩა ბელგიას, ხოლო უკან მოიტოვა გამოცდილი მეტოქეები, პოლონეთი და ბულგარეთი.

ასეთი ნახტომი ახალი თაობის წამოზრდის ხარჯზე მოხერხდა. გუნდის წევრთა ასაკი 24-დან 27 წლამდე მერყეობს. სუსტი შიდა ჩემპიონატის გათვალისწინებით გასაკვირი არ არის, რომ საკვანძო კალათბურთელები საზღვარგარეთის კლუბებს წარმოადგენენ. ხშირ შემთხვევებში ქართველი ლეგიონერები ევროპული ჩემპიონატების საშუალო დონის კლუბებში ასპარეზობენ, რეგულარულადაც თამაშობენ, მაგრამ ციდან ვარსკვლავებს ვერ წყვეტენ. ერთადერთი გამონაკლისი NBA-ს კლუბ „ატლანტას" ცენტრი ზაზა ფაჩულიაა (26 წლის, 210 სმ). იგი საქართველოს ნაკრების ნამდვილი ლიდერია, ბევრს აგდებს, ბევრს ხსნის... მოკლედ, გუნდის ფუნდამენტია. ფაჩულიათი და მის გარეშე საქართველოს ნაკრები სხვადასხვა გუნდია, როგორც თამაშის სტილით, ასევე საშიშროების მხრივ.

ქართველთა ნაკრების წინა ხაზი შთამბეჭდავად გამოიყურება. ფაჩულიას გვერდით თამაშობს სლოვენიის „ოლიმპიას" ცენტრი გიორგი შერმადინი (21 წლის, 216 სმ), ასევე ნიკოლოზ ცქიტიშვილი (27 წლის, 212 სმ) და ვიქტორ სანიკიძე (24 წლის, 203 სმ). თუ შერმადინი ძალიან ახალგაზრდაა და ნაკრებში მხოლოდ დამხმარის როლს თამაშობს, სანიკიძეს და ცქიტიშვილს მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრიათ. ტანმაღალ ცქიტიშვილს შორიდან ჩაგდებაც შეუძლია და ფარქვეშ კარგად თამაშიც. ფაჩულიასთან ერთად იგი ფარქვეშ ორკოშკიან ციხესიმაგრეს აშენებს.

ცქიტიშვილისგან განსხვავებით, სანიკიძე დაბალიცაა და სწრაფიც, ნახტომითაც გამოირჩევა. ნორმალური მსუბუქი ფორვარდის არყოფნაში ამ პოზიციაზე თამაში სანიკიძეს უწევს, თუმცა ფიზიკური და სხვა მონაცემებით იგი ტიპური მძიმე ფორვარდია. მოხსნებში სწორედ სანიკიძე განაპირობებს საქართველოს ნაკრების უპირატესობას. ტექნიკასა და სროლასთან მას პრობლემები აქვს, მაგრამ შესანიშნავი ნახტომი და გრძელი ხელები სანიკიძეს მოხსნისას შეუცვლელ კალათბურთელად აქცევენ.

როგორც უკვე ვთქვი, ქართველებს სუფთა მსუბუქი ფორვარდი არ ჰყავთ, არიან „მაღლები" და „დაბლები", გარდამავალი მესამე ნომერი კი არაა. ეს გუნდის თამაშზე საგრძნობლად აისახება. სანიკიძის პარალელურად მსუბუქი ფორვარდის ფუნქციების შესრულება მანუჩარ მარკოიშვილს უწევს (24 წლის, 196 სმ). ამ კალათბურთელს საქართველოს ნაკრების წევრთაგან ყველაზე კარგი ხელი აქვს. საერთოდ, კავკასიელებს პერიმეტრიდან ტყორცნებში პრობლემები აქვთ და მარკოიშვილი ერთადერთია, რომელიც შეიძლება სტაბილურ სნაიპერთა შორის ჩაიწეროს.

ამავე სიაშია ძირითადი შემადგენლობის მსროლელი, ტორინ გრინი (25 წლის, 183 სმ). მას ყაზანელი ქომაგი კარგად იცნობს - ევროთასზე „გრან კანარიას" მაისურით ითამაშა. ესპანურ



ზაზა ფაჩულია



ვიქტორ სანიკიძე

კლუბში ტორინს ვარსკვლავი თანაგუნდელები ჰყავს, ხოლო საქართველოს ნაკრებში თავი პირველ კაცად მიაჩნია (ფაჩულიას შემდეგ). ამერიკელი თანაგუნდელებს მხოლოდ ბლოკის დასაყენებლად იყენებს, ყველა შეტევის დასრულებას დამოუკიდებლად ცდილობს. შეიძლება გრინს მარკოიშვილზე უარესი სროლა არ აქვს, მაგრამ ტყორცნის სიზუსტეზე უარყოფითად მოქმედებს მისი პრინციპი - სროლა ყოველთვის და მოედნის ნებისმიერი წერტილიდან.

საერთოდაც, ქართველები ინდივიდუალურ თამაშისკენ იხრებიან. მათი სასტარტო გამთამაშებელი გიორგი ცინცაძეა (24 წლის, 192 სმ), რომელმაც რამდენიმე წლის წინათ კონტრაქტი გააფორმა კრასნოიარსკის „ენისეისთან". მის სტატისტიკაში ის მაღელვებდა, რომ იმდენივე შეცდომა ჰქონდა, რამდენიც პასი. ახლა, საქართველოს ნაკრების მატჩების ხილვის შემდეგ ზემოთ ნახსენებს ახსნა მოვუძებნე: ცინცაძის მოქმედებაში ენერგია და მონდომება უფრო მეტია, ვიდრე მოედნის ხედვა. იგი შედეგიანი გადაცემების უმეტესობას საჯარიმოში შესვლის შემდეგ ცენტრის მოძებნის შედეგად აგროვებს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ცინცაძე მოქმედებს პრინციპით: „გავიქცევი და შემდეგ ვნახავ, რა როგორ გამოვა". გამოდის სხვადასხვანაირად, 50/50-ზე.

საქართველოს ნაკრების თამაშიც მნიშვნელოვნადაა განპირობებული „მაღლებისა" და „დაბლების" დიფერენციაციით. არის „მძიმე მოდელი", რომლის დროსაც გუნდი მშვიდად გადადის შეტევაზე (თავს ბლოკების დაყენებით არ იწუხებს), ბურთი გადაეცემა სამწამიან ზონაში მყოფ ცენტრს (როგორც წესი, ზაზა ფაჩულიას), რომელიც დაუყოვნებლივ იწყებს მეტოქის მოტყუებას. შეტევას ან თავად ასრულებს, ან დახმარებისთვის მისული თანაგუნდელი გაჰყავს სასროლ პოზიციაზე.

ერთი-ორი ცვლილება და თამაშის სტილი რადიკალურად იცვლება. ბურთს ეპატრონებიან მარკოიშვილი, გრინი, ცინცაძე და „კარუსელიც" ტრიალებს. ისინი მოედანზე დაფრინავენ და თან მძიმე ცენტრებსაც ითრევენ. გუნდი დარბის, მაგრამ ამ დროს მკვეთრი სისტემა არ ჩანს.

მართლაც, ქართველებს სირბილი უფრო უყვართ, ვიდრე პასის გაცემა. ისინი სროლის სიზუსტეში მოიკოჭლებენ, ამიტომ ცდილობენ, ფართან რაც შეიძლება ახლოს მივიდნენ. მეტოქის კალათისკენ ჯიქურ მიიწევენ როგორც პატარა გრინი, ასევე გოლიათი ცქიტიშვილი. ამ უკანასკნელის დრიბლინგი (სამქულიანი ზონიდან კალათისკენ) ძალიან საშიშია...

საქართველოს ნაკრებში სნაიპერები ცოტაა, სიტუაციას ისიც ართულებს, რომ მსროლელებს თავად უწევთ სატყორცნი სიტუაციის შექმნა. რამდენიმე მატჩი ვნახე და ვერ ამოვაჩინე კომბინაცია, რომლის მიზანი ერთი კალათბურთელის სამქულიანის სატყორცნ პოზიციაზე გაყვანა იქნებოდა. ყველა ცდილობს ბურთის სამწამიან ზონამდე მიტანას, ან დრიბლინგისთვის სივრცის გამოთავისუფლებას. ალბათ ამიტომაცაა, შორეული ტყორცნები წინასწარ გაუთვლელად რომ ხორციელდება. მარკოიშვილი და გრინი ბლოკის დაყენების შემდეგ ისვრიან, ცინცაძე ცენტრისგან პერიმეტრზე პასს ელოდება, ცქიტიშვილი თავისი სიმაღლის გათვალისწინებით მეტოქეზე მაღლა ხტება და კაცსზემოდან ისვრის. ასეთ მცდელობებს შედეგი იშვიათად მოაქვთ.

საქართველოს ნაკრებზე ლაპარაკისას ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი არ უნდა გამოგვრჩეს: ჩვენი მეტოქე სამხრეთელია და ამით ყველაფერია ნათქვამი. ქართველები შინ უფრო კარგად თამაშობენ, ვიდრე სტუმრად. წარმოიდგინეთ გავსებული 9-ათასიანი დარბაზი, რომელშიც მძიმე თამაში მიმდინარეობს. ქართველები ერთი-ორ რთულ სროლას ჩააგდებენ, თავადაც იქოქებიან და დარბაზიც. შესაბამისად ტრიბუნები დიდ ზეგავლენას ახდენენ მსაჯებზეც და მეტოქეზეც. საქართველოში მხურვალე და ხმამაღალი ქომაგობა იციან. ცხადია, ასეთ სიტუაციაში მსაჯი ხან დაუსტვენს, ხან - არა. მეტოქეც შედრკება, ან ჯარიმას ააცდენს, ან არაზუსტ პასს გააკეთებს.

სტუმრად ქართველები სხვანაირად თამაშობენ. კალათბურთელებს დაძაბული სახეები აქვთ და შედარებით შებოჭილად ირჯებიან. თამაშიც პირიქით მიდის: ერთ შეცდომას ბურთის აცილება მოსდევს, მეტოქე 10 ქულით გაიქცევა და მერე ადექი და სდიე.

ასეა თუ ისე, საქართველოს ნაკრების სათვალავში არჩაგდება არ შეიძლება. რუსეთის ნაკრები შედარებით ძლიერია, უკეთესად დაბალანსებული. ჩვენს გუნდს კავკასიელებისგან განსხვავებით, მაღალი რანგის ტურნირებზე თამაშის გამოცდილება აქვს. იცის, როგორ უნდა მომზადება შეჯიბრებისთვის, როგორ გაანაწილოს ძალები, როგორ გაიტანოს თავი აგრესიულ გარემოცვაში. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ერთ მატჩში ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

საქართველოს ნაკრების ცალი ხელით ძლევა არ გამოვა. მას აქვს არაერთი კოზირი, რამაც რუსეთის ნაკრებს შეიძლება დიდი პრობლემები შეუქმნას. სერიოზული ბრძოლა გველის, რომელშიც რუსებს უფრო მეტი შანსი გვაქვს."

ამ პუბლიკაციას მცირე კომენტარი აუცილებლად სჭირდება. ძნელი სათქმელია, ავტორმა ჩვენი ნაკრების რომელი თამაშები ნახა, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრი რამ დაუნახავს. შეიძლება მას არაერთ საკითხში არ დავეთანხმოთ, სანიკიძეს ტექნიკა, სროლა არ უვარგაო...

...მაგრამ, ჩვენი გუნდი უფრო ინდივიდუალიზმისკენ რომ არის მიდრეკილი, ეს მართალია. თუმცა, იმედი დავიტოვოთ, რომ ევროპის ჩემპიონატისთვის განსხვავებულ ნაკრებს ვიხილავთ - ტანმაღალი კალათბურთელებიც ისევე კარგად დააყენებენ ბლოკებს, როგორც საკუთარ კლუბებში და ზემოთ მოყვანილი სტატიის ავტორს დავანახვებთ, რომ სხვაგვარად თამაშიც შეგვიძლია და მოგებაც.

● ინტერვიუ ბესიკ ლიპარტელიანთან



ევროპის ჩემპიონატის წილისყრის შემდეგ ლიტვიდან დაბრუნდა ქართული დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყო კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი. საინტერესოა მისი მოსაზრება წილისყრის შედეგებთან დაკავშირებით, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია სხვა საკითხებიც: როგორ მოემზადება საქართველოს ნაკრები ევრობასკეტისთვის, ვინ იქნება ჩვენი მეტოქე საკონტროლო მატჩებში... ამ საკითხებზე ბატონი ბესო ლიტვაშივე მუშაობდა და საინტერესოა, რა სიახლეებით დაგვიბრუნდა.

საუბარი წილისყრით დავიწყეთ.

# ლიტვაში ტურისტებად არ ჩავალთ

## ისრაელი მოდის

- ორი აზრი არ არსებობს - დანარჩენ სამ ჯგუფთან შედარებით უკეთესში აღმოვჩნდით. პირველ ჯგუფში რომ მოვხვედრილიყავით, ევრობასკეტზე ფაქტობრივად ტურისტებად უნდა ჩავსულიყავით, რადგან იქ ძალიან ძლიერი შემადგენლობაა შეკრებილი. ჩვენი ჯგუფიდან მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი არის, რაც დამატებით სტიმულს გვაძლევს.

**- სამი კარგად ნაცნობი ნაკრებია...**

- მესამე კალათიდან ყველაზე სასურველი მეტოქე შეგვხვდა - ბელგია. მართალია, ამ გუნდთან 2010 წელს, შესარჩევზე ორჯერ წავაგეთ, მაგრამ უძლეველი ნამდვილად არ არის. ასევე კარგად ვიცნობთ ბულგარეთსა და უკრაინას. მაგრამ როგორც ჩვენ, ეს გუნდებიც სასექტემბროდ კიდევ უფრო გაძლიერდებიან და დიდი მნიშვნელობა ექნება კონკრეტული მომენტისთვის რომელი ნაკრები რა შემადგენლობით იასპარეზებს და როგორი მომზადებული იქნება.

**- გამოცდილებაც მნიშვნელოვანია. ევრობასკეტზე პირველად ვითამაშებთ.**

- ეს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. საქართველოში ჩამოსულს ხავერდოვანი ფონი დამხვდა... არადა, ჯგუფიდან გასვლა ძალიან რთული იქნება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს ნაკრებს 6 დღეში 5 მატჩი არასოდეს ჩაუტარებია. ეს დიდ ენერგიასა და რესურსს მოითხოვს. სამწუხაროდ, აქამდე ყოველთვის იყო შემთხვევები, როცა ტრავმის გამო ნაკრებს ესა თუ ის კალათბურთელი ვერ ეხმარებოდა. იმედია, წლეულს ამ მხრივ პრობლემები არ შეგვექმნება. ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზოგიერთი სხვა ნაკრებისგან განსხვავებით, ქართველებს საქმე ასარჩევად არ გვაქვს - არ არის საშუალება 12-კაციანი სიიდან ერთი მოთამაშე სათანადო მეორით ჩავანაცვლოთ. სასიხარულოა ვლადიმერ ბოისას დაბრუნება. მას მძიმე ტრავმა ჰქონდა, რომელიც საბოლოოდ მოიშუშა და „ოლიმპიაში" უკვე თამაშობს. ვოვა სეზონის მსვლელობისას ფორმაში შევა და ნაკრებსაც დაეხმარება.

**- ლიტვაში მეტოქეების წარმომადგენლებს თუ შეხვდით?**

- რა თქმა უნდა. ჩვენს მსგავსად ისინიც ნასიამოვნებები არიან, რადგან თვლიან, რომ ჯგუფიდან გასვლის კარგი შანსი აქვთ. სწორედ ამიტომ, თითოეული მეტოქე ევრობასკეტისთვის გუნდის მაქსიმალურად გაძლიერებას შეეცდება.

**- ზემოთ აღნიშნეთ, ჩვენს დარად სხვებიც გაძლიერდებიანო. საქართველოს ნაკრების გაძლიერებაში რა იგულისხმეთ? ტორინ გრინის ნაცვლად სხვა უცხოელის ჩამოყვანას ხომ არ გეგმავთ?**

- გუნდის მოსამზადებელი ეტაპის დაგეგმვა და შემადგენლობის შერჩევა მწვრთნელის საქმეა. საქართველოს ნაკრების თავკაც იგორ კოკოშკოვთან ერთად უკვე ვმუშაობთ. დაახლოებით ერთ თვეში სწორედ მწვრთნელი დაგეგმავს მოსამზადებელ ეტაპს. ჩვენ ყველანაირად შევუწყობთ ხელს. როგორც აღვნიშნე, დიდი მნიშვნელობა ექნება, როგორ კონდიციებში შეხვდება ნაკრები ევრობასკეტს.

**- ლიტვაში, სხვა ქვეყნებიდან ამხანაგურ ტურნირებზე მიწვევა ხომ არ მიგიღიათ?**

- შემოთავაზებები არის, მაგრამ ჯერჯერობით არაფერია გადაწყვეტილი. იგორ კოკოშკოვი სიტუაციას აწონ-დაწონის და რომელი ტურნირიც უფრო სასარგებლო იქნება, გუნდიც იქ ითამაშებს.

**- გადაწყვეტილი მხოლოდ თბილისის საერთაშორისო ტურნირის თარიღებია?**

- ასეა. თბილისის მერიის თასი 13-15 აგვისტოს გაიმართება. მასში ოთხი გუნდი მიიღებს მონაწილეობას.

**- უკრაინა ჩვენი ოფიციალური მეტოქეა, მერიის თასზე, ალბათ, აღარ ჩამოვა.**

- შეჯიბრებაში მონაწილე მხოლოდ ორი გუნდი ვიცით - საქართველო და ისრაელი. ისრაელის კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები თბილისში ჩამოსვლაზე სიამოვნებით დაგვთანხმდნენ.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



ლელოთ წელთაღრიცხვით

# ქართული სპორტის ქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპორტი და ცნობილი ადამიანები

# ვასო გოძიაშვილი



უნიკალური ნიჭის მსახიობი **ვასო გოძიაშვილი** სპორტის დიდი თაყვანისმცემელი გახლდათ. ახალგაზრდობაში, რუსთაველის თეატრის ფეხბურთელთა გუნდში მარცხენა გარემარბი იყო, მარჯვენა ფრთაზე **პიერ კობახიძე**, ცენტრალურ მცველად კი სხვა მსახიობებთან შედარებით ნალდი ფეხბურთელი **სერგო ზაქარიაძე** თამაშობდა. მოსწავლეობისას ვასო ტანვარჯიშს ეუფლებოდა თვით **გიორგი ეგნატაშვილის** ხელმძღვანელობით. ჭადრაკის თამაში კი, რომლის ერთგული სიცოცხლის ბოლომდე დარჩა, **ვიქტორ გოგლიძემ** ასწავლა. რუსთაველის თეატრში ვასომ ჭადრაკის წრე ჩამოაყალიბა და შიდა ტურნირებსაც მართავდა. ერთხელ ერთდროულ სეანსში თავის მასწავლებელსაც კი მოუგო.

სპორტის სიყვარული ოჯახიდან გამოჰყვა ვასოს ვაჟიშვილს. დათო გოძიაშვილი სპორტის ოსტატი იყო და კალათბურთს თბილისის „დინამოს" ოსტატთა გუნდში თამაშობდა.

## პირველი, პირველმა, პირველად

**პირველი** 8 ბილიკიანი 50 მეტრიანი საცურაო აუზი საბჭოთა კავშირში 1936 წელს აშენდა თბილისში სანაპიროზე, იქ, სადაც შემდეგ რესტორანი „არაგვი" იყო.

**პირველმა** ქართველი მოცურავეებიდან საკავშირო სარბიელზე წარმატებას მიაღწია **პეტრე მშვენიერაძემ.** 1948 წელს იგი სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა ბრასით ცურვაში. იმ პერიოდში დაამყარა 11 საკავშირო რეკორდი, შემდეგ კი წყალბურთში გაითქვა სახელი.

**პირველად** თანამედროვე ხუთჭიდში საქართველოს ნაკრები 1981 წელს გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ევროპის თასის გათამაშებაში კი იმავე წელს სსრ კავშირის ნაკრების სახელით იასპარეზა და მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა.

## თარიღი 3–9 თებერვალი

03.1915 წ. დაიბადა **ვახტანგ ქარსელაძე** — ჭადრაკი. გარდაიცვალა 1966 წელს.
03.1971 წ. დაიბადა **სოსო ლიპარტელიანი** — ძიუდო.
03.1915 წ. დაიბადა **ბორის პაიჭაძე** — ფეხბურთი. გარდაიცვალა 1990 წელს.
03.1932 წ. დაიბადა **ნოდარ გვახარია** — წყალბურთი. გარდაიცვალა 1996 წელს.
03.1940 წ. დაიბადა **ზურაბ გვასალია** — თანამედროვე ხუთჭიდი. გარდაიცვალა 1990 წ.
04.1962 წ. დაიბადა **ვლადიმერ აფციაური** — ფარიკაობა.
05.1928 წ. დაიბადა **ნიკოლოზ თოდრია** — ფეხბურთი. გარდაიცვალა 1992 წ.
06.2005 წ. ძიუდოში პარიზის ტურნირზე ვერცხლის მედალი მოიპოვა **ივერი ჯიქურაულმა.**
08.1928 წ. დაიბადა **ვლადიმერ მარღანია** — ფეხბურთი (მეკარე). გარდაიცვალა 1958 წ.
08.1972 წ. დაიბადა **აკაკი კაკაურიძე** — კრივი. გარდაიცვალა 2001 წ. ჩიკაგოში.
08.1937 წ. დაიბადა **დიტო შანიძე** — ძალოსნობა.
08.1963 წ. დაიბადა **დიმიტრი კუდინოვი** — ფეხბურთი.
08.1969 წ. დაიბადა **თენგიზ მესხაძე** — კრივი.
09.1964 წ. დაიბადა **ირინა გერასიმოვა** — ცურვა.

## თქვენთვის, ერუდიტებო! ვიქტორინა

1. თბილისის „ლოკომოტივი" 1978 წელს რაგბიში სსრ კავშირის თასს დაეუფლა. ვინ იყო მწვრთნელი?
ა – ირაკლი კიზირია
ბ – თემურ ბენდიაშვილი
გ – დავით კილასონია

2. რომელი ქართველი ფალავანი დასახელდა 1981 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო მოჭიდავედ?
ა – რომან რურუა
ბ – ლევან თედიაშვილი
გ – მიხეილ სალაძე

3. რომელი წლიდან იმართება სამბოში ვაჟთა შორის მსოფლიოს ჩემპიონატი?
ა – 1973 წლიდან
ბ – 1974 წლიდან
გ – 1976 წლიდან

4. რომელ წელს გაიხსნა საქართველოში სპორტული დიდების მუზეუმი?
ა – 1960 წელს
ბ – 1965 წელს
გ – 1972 წელს

5. ამოხსნის რამდენი გზა აქვს საჭადრაკო ამოცანას?
ა – რამდენიმე
ბ – ორი ან სამი
გ – მხოლოდ ერთი

პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-ა, 4-ბ, 5-გ

## ეს საინტერესოა

# ნავი ძველ საქართველოში

საქართველო წყალუხვი ქვეყანაა და ოდითგანვე გამოიყენებოდა ნავები ხალხის ყოფაში. საერთოდ გავრცელებული იყო ცალფა (ერთ ხეში გამოჭრილი) ნავი. იმერეთ-სამეგრელოში მას ერქვა „მორა", ლაზეთში — „ფათალია", ქართლში — „ვარცხლი" ან „ვარცლი".

ძველად ადრეულ გაზაფხულზე ნაოსნობის სეზონის წინ მდინარე რიონზე და პალიასტომზე ეწყობოდა სპორტული შეჯიბრებები. შეჯიბრებაში მხოლოდ ნაოსნობაში ხელმოცარული მენავეები მონაწილეობდნენ რეაბილიტაციისთვის. სპეციალურ ჟიურის გამოჰქონდა გადაწყვეტილება, დაერთოთ თუ არა წყალზე გასვლისა და ნაოსნობის გაგრძელების ნება მენავეებისთვის, რომლებმაც ადრე რაიმე ხიფათი განიცადეს. ამასთან, ჟიური ავლენდა სარეაბილიტაციო შეჯიბრებაში გამარჯვებულებს.

## 30 წლის წინათ

# როგორ იწინასწარმეტყველა დიდმა ეროსიმ



„მერე რა რომ სამხრეთელები ვართ. ჩვენ ახალგაზრდებს არც ყინულზე ცეკვა გაუჭირდებათ და არც ჰოკეის თამაში, მაგრამ პირობები უნდა შევქმნათ. ისევ და ისევ საყოველთაო მოედნებზე ვთქვათ, უნდა მოვაწყოთ თუნდაც პატარ-პატარა საციგურაო მოედნები. მასობრივად უნდა შევუქმნათ ბავშვებს ყინულის მოსინჯვის საშუალება".

**ეროსი მანჯგალაძე**
„ლელო", 1981 წ. 18 იანვარი

## იყო ასეთი შემთხვევა

თბილისის „დინამოს" შეხვედრა მოსკოვში იქაურ „სპარტაკთან" ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა. მაყურებელთა შორის თითქმის მეოთხედი ქართველი ან „დინამოს" გულშემატკივარი იყო. მოსკოვში ყველა ქართველი ერთმანეთს ეუბნებოდა, ბილეთი შეეძინა დასავლეთ ტრიბუნის Б და В სექტორებში და აი, მორიგი მატჩი ლუჟნიკებში თბილისის „დინამო"- მოსკოვის „სპარტაკი". ტრიბუნები გადაჭედილია. ანგარიში მოსკოველებმა გახსნეს მაგრამ **კ. გაგნიძემ** მალე გაათანაბრა. სპარტაკი" ისევ უტევდა და ანგარიში 2:1 გახდა მათ სასარგებლოდ. ტაიმის მიწურულს კვლავ კარლო გაგნიძემ ისახელა თავი და აკრობატულ ნახტომში თავური დარტყმით წონასწორობა ისევ აღადგინა - 2:2. თუმცა, კარლოს ეს გოლი მოედნის დატოვებად დაუჯდა - იგი საკაცით გაიყვანეს...

ბახუსმორეულ მაყურებელთა უმრავლესობას მოეჩვენა, რომ კარლო გაგნიძის წინააღმდეგ უხეშად ითამაშეს (იმხანად ლუჟნიკებში არაყი და ლუდი შეუზღუდავად იყიდებოდა), რასაც მაყურებელთა დიდი შეხლა-შემოხლა მოჰყვა - მატჩი 30 წუთით შეწყდა. ერთი ცნობილი ქართველი სპორტსმენი მილიციამ განყოფილებაში წაიყვანა - ეს იყო **იური ქართველიშვილი,** რამაც კიდევ უფრო დაძაბა ვითარება ტრიბუნებზე - საქმე იქამდე მივიდა, **მიხეილ მესხმა** მოირბინა ტრიბუნებთან და მაყურებელს მოუწოდა წესრიგისკენ - რაც საბედნიეროდ, შეისმინეს. მალე იური ქართველიშვილიც გაათავისუფლეს და მატჩიც განახლდა... თუმცა ამდენი ნერვიულობისა და დავიდარაბის შემდგომ ქართველმა ფეხბურთელებმა დაყარეს ფარ-ხმალი და დამარცხდნენ — 2:5.

**დემურ ტორაძე**
მატჩის დამსწრე

## ფოტო კომენტარით

# დაუვიწყარი მატჩი



სსრკ ხალხთა II სპარტაკიადა. მატჩი საქართველოსა და ლატვიის კალათბურთელთა შორის.

საქართველოს ნაკრები: ლ. ინწკირველი, ა. კილაძე, გურამ აბაშიძე, ა. ლეჟავა, გ. მინაშვილი, ლ. მოსეშვილი, ვ. უგრეხელიძე, ვ. ალთაბაევი, ი. ხაზარაძე, თ. კაკაურიძე, რ. გოგელია. ანგარიში, როგორც იტყვიან, ქულა-ქულაზე მიდიოდა.

უკან დარჩა ორი ტაიმი და ორი დამატებითი ხუთი წუთი. ანგარიში კვლავ თანაბარია — 80:80. მოედანზე დარჩენილ თითქმის ყველა ქართველ კალათბურთელს უკვე 4-4 პერსონალური შენიშვნა ჰქონდა მიღებული. მეექვსე წამზე მოედანზე კაკაურიძე გამოვიდა ინწკირველის ნაცვლად, რომელიც, უდავოდ, საუკეთესო იყო მატჩში.

ინწკირველის გასვლის შემდეგ საქართველოს გუნდში მხოლოდ ახალგაზრდები დარჩნენ და აი, ახალი უბედურება - მეხუთე შეცდომა დაუშვა უგრეხელიძემ. ამჯერად ეს გამოუსწორებელი შეცდომა იყო. უგრეხელიძის ადგილს ველარავინ დაიჭერდა და გუნდმა ოთხეულით განაგრძო ბრძოლა.

მაყურებელთა გამაყრუებელ ყიჟინში ახალგაზრდა ოთხეულმა — გურამ აბაშიძემ, ალთაბაევმა, მოსეშვილმა და კაკაურიძემ — არა მარტო გაათანაბრა ანგარიში, სამი ქულითაც კი გავიდნენ წინ. ამ უკიდურესობამდე დაძაბულ ატმოსფეროში ალთაბაევმა ოთხი საჯარიმო სროლა შეასრულა და ბურთი ოთხჯერვე ზუსტად ჩაუშვა კალათში.

საფინალო სასტვენამდე 12 წამით ადრე, როდესაც ჩვენებს ანგარიში 88:86 მიჰყავდათ, ისინი სამნი დარჩნენ — მოედანი დატოვა მოსეშვილმა. დანარჩენები (აბაშიძე, ალთაბაევი და კაკაურიძე) მაშინვე ეუფლებიან ბურთს და განსაცვიფრებელ არეულობაშიც ცდილობენ შეინარჩუნონ იგი და... შეინარჩუნეს კიდეც.

სწორედ ეს სიხარულია აღბეჭდილი ფოტოზე.

ტექსტი და ფოტო მოგვაწოდა
**გარუნ აკოპოვმა**

# კროსვორდი



შეადგინა თენგიზ თომაშვილმა

პასუხები მომდევნო ნომერში

ჰორიზონტალურად: 3. საჭადრაკო ფიგურა, 5. სპორტსმენი, 6. ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი, 9. ერთგვარი პრიზი, 10. სოფელი გალის რაიონში, 11. ... ანანიძე, 14. მძლეოსნური იარაღი. 15. ქართველი ფეხბურთელი, მეკარე, 17. მთავარი გმირი კინოფილმიდან „პირველი მერცხალი", 18. ბადმინტონის ბურთი, 19. სამბოში საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი, 20. ძალოსანთა სავარჯიშო სიმძიმე, 25. შეჯიბრების ერთი ნაწილი, 26. ქალაქი, სადაც ჩატარდა 1936 წლის ოლიმპიური თამაშები, 27. ქალაქი - ქართული ფეხბურთის აკვანი, 31. ძველი თაობის დინამოელი ფეხბურთელი გიორგი... 32. ძალოსნურ ორჭიდში შემავალი პროგრამა, 33. თოხარიკი, ანუ...

შვეულად: 1. გორის საფეხბურთო კლუბი, 2. მცველი ფეხბურთში (ჰოკეიში), 3. რალის ეკიპაჟის პირველი მძღოლი, 4. ჩოგბურთის პარტია, 5. მძლეოსნური პროგრამა (რამდენიმე სახეობით), 7. ხალხური ცხენოსნური სახეობა, 8. კონტინენტი, 12. თბილისის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელი ზაურ ... 13. ქართული ფეხბურთის თანამდგომი გუბერნატორი, 14. ცხენოსნის ერთგვარი შარვალი, 16. ვეტერანი ქართველი კალათბურთელი ქალი... ასიტაშვილი, 21, საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 22. კარატეს მასწავლებელი, 23. თბილისის საფეხბურთო კლუბი 90-იანი წლების მეორე ნახევარში, 24. ზაფხულის 2004 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 28. ნარნარი ფრენა, 29. ჭადრაკში ფათა ანუ... 30. მოჭიდავეებით განთქმული ქალაქი შიდა ქართლში.

გვერდი მომზადებულია თენგიზ თომაშვილის პროექტით

## საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის რეფერენდუმი

ქართული მედიის 39 წარმომადგენელი მონაწილეობდა **საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის** ტრადიციულ საახალწლო რეფერენდუმში, რომელმაც გამოავლინა საქართველოს 2010 წლის 10 საუკეთესო სპორტსმენი და საუკეთესო გუნდი. რეფერენდუმი წლეულს **ორმოცდამეხუთედ გაიმართა.** ანკეტებში სულ დასახელებული იყო 36 სპორტსმენი - სპორტის 17 სახეობის წარმომადგენელი. საქართველოს 2010 წლის №1 სპორტსმენი გახდა საქართველოს ნაკრებისა და ფრანგული „კლერმონის" მორაგბე **დავით ზირაქაშვილი** - 284 ქულა. მან წარმატებით ითამაშა სანაკრებო მატჩებში, თავის კლუბთან ერთად გახდა საფრანგეთის ჩემპიონი, მიწვეული იყო მსოფლიო ნაკრების შემადგენლობაში. საუკეთესოთა ათეულში 257 ქულით მეორე ადგილი ერგო საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს და იტალიური „ვირტუსის" ფორვარდს **ვიქტორ სანიკიძეს,** რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ჩვენი გუნდის წარმატებაში. 248 ქულა მოაგროვა და მესამე ადგილზე გავიდა თავისუფალი სტილის მოჭიდავე **გიორგი გოგშელიძე** - 2010 წლის ევროპის ჩემპიონატის ვერცხლისა და მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი.

2010 წლის საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| 1. **დავით ზირაქაშვილი** (რაგბი) | 284 |
| 2. **ვიქტორ სანიკიძე** (კალათბურთი) | 257 |
| 3. **გიორგი გოგშელიძე** (თავ. ჭიდაობა) | 248 |
| 4. **ზაზა ფაჩულია** (კალათბურთი) | 224 |
| 5. **ნინო სალუქვაძე** (ტყვიის სროლა) | 207 |
| 6. **ელენე გედევანიშვილი** (ფიგურული ციგურაობა) | 201 |
| 7. **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (ძიუდო) | 127 |
| 8. **ნანა ძაგნიძე** (ჭადრაკი) | 123 |
| 9. **ჯანო ანანიძე** (ფეხბურთი) | 118 |
| 10. **დავით ხუციშვილი** (თავ. ჭიდაობა) | 116 |

ათეულთან ახლოს იყვნენ **ვარლამ ლიპარტელიანი** (ძიუდო), **ლევან ბერიანიძე** (თავისუფალი ჭიდაობა), **მანუჩარ მარკოიშვილი** (კალათბურთი), **უშანგი კუზანაშვილი** (სამბო), **მამუკა გორგოძე** (რაგბი), **ბაადურ ჯობავა** (ჭადრაკი).

**წლის საუკეთესო გუნდად აღიარეს საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები,** რომელმაც 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის საგზური მოიპოვა. საუკეთესოთა შორის დასახელდნენ აგრეთვე საქართველოს მორაგბეთა (2011 წლის მსოფლიო თასის ფინალისტი), ძიუდოისტთა (ევროპის 2010 წლის გუნდური ჩემპიონი) და ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები.

**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის გამოკითხვის ლაურეატები:**

1964 - სლავა მეტრეველი, 1965 - ომარ ფხაკაძე, 1966 - ალექსანდრე მეტრეველი, 1967 - ზურაბ საკანდელიძე, 1968 - ვიქტორ სანეევი, 1969 - ნონა გაფრინდაშვილი, 1970 - თინათინ ლეკვეიშვილი, 1971 - ლევან თედიაშვილი, 1972 - ვიქტორ სანეევი, 1973 - ლევან თედიაშვილი, 1974 - ლევან თედიაშვილი, 1975 - ნონა გაფრინდაშვილი, 1976 - ვიქტორ სანეევი, 1977 - დავით კვაჭაძე, 1978 - მაია ჩიბურდანიძე, 1979 - თემურ ხუბულური, 1980 - ქეთევან ლოსაბერიძე, 1981 - რამაზ შენგელია, 1982 - მოჭადრაკე ქალთა ნაკრები, 1983 - თეიმურაზ აფხაზავა, 1984 - მაია ჩიბურდანიძე, 1985 - დავით გობეჯიშვილი, 1986 - მაია ჩიბურდანიძე, 1987 - ლერი ხაბელოვი, 1988 - ნინო სალუქვაძე, 1989 - არ ჩატარებულა, 1990 - დავით გობეჯიშვილი, 1991 - არ ჩატარებულა, 1992 - კახი კახიაშვილი, 1993 - კახი კახიაშვილი, 1994 - მოჭადრაკე ქალთა ნაკრები, 1995 - გიორგი ვაზაგაშვილი, 1996 - ლუკა კურტანიძე, 1997 - გიორგი კანდელაკი, 1998 - გიორგი ასანიძე, 1999 - ნინო სალუქვაძე, 2000 - გიორგი ასანიძე, 2001 - გიორგი ასანიძე, 2002 - ლუკა კურტანიძე, 2003 - ლუკა კურტანიძე, 2004 - ზურაბ ზვიადაური, 2005 - რევაზ მინდორაშვილი, 2006 - ზაზა კედელაშვილი, 2007 - რამაზ ნოზაძე, 2008 - ირაკლი ცირეკიძე, 2009 - მანუჩარ ცხადაია, 2010 - დავით ზირაქაშვილი.

რაგბი. ერთა თასი


რიჩი დიქსონი, ჯონ მაგლტონი და მაიკ ბრედლი

# ფეიქრიშვილი დაშავდა, ურჯუკაშვილი ავადაა

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები 2011 წლის ერთა თასის პირველი შეხვედრისთვის მზადებას განაგრძობს. „ბორჯღალოსნებმა" გუშინ „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" ივარჯიშეს.

მწვრთნელებმა **რიჩი დიქსონმა, მაიკ ბრედლიმ, ჯონ მაგლტონმა** და **მარკ დიქსონმა** მოკლე თათბირის შემდეგ გუნდი ტრადიციული მოთელვით დატვირთეს. წინა დღეს ფეხი იტკინა და არ ვარჯიშობდა „კასტრის" შერკინების ბურჯი **ანტონ ფეიქრიშვილი.** ის, სავარაუდოდ, უკრაინის ნაკრებთან არ ითამაშებს. როგორც ნაკრების ექიმებმა თქვეს, ანტონი ვარჯიშს ხვალიდან განაახლებს და 12 თებერვალს, ესპანეთის ნაკრებთან მწყობრში ჩადგება.

არ უვარჯიშია ასევე საქართველოს ნაკრების დებიუტანტ **ბექა ურჯუკაშვილს** (ფიჟაკი), რომელსაც დილით ტემპერატურამ აუწია, თუმცა უკრაინის ნაკრებთან მატჩში სათადარიგოთა შორის იქნება. უკრაინასთან ვერ ითამაშებს შუამარბი **თედო ზიბზიბაძეც** (პერიგო). მან ახლახან ყბასახის ოპერაცია გაიკეთა და, სავარაუდოდ, მხოლოდ ესპანეთის ნაკრებთან მატჩში შეძლებს გუნდს დაეხმაროს.

მოთელვის შემდეგ ნაკრები ავსტრალიელმა დაცვის მწვრთნელმა **ჯონ მაგლტონმა** ჩაიბარა. ჯერ რაკში თამაში, ბოჭვისას ბურთის სწორად ჩადებაში, რაკის უმალ გაწმენდასა და შეტევის სწრაფად გაგრძელებაში ავარჯიშა.

ეროვნული ნაკრების წევრებთან ერთად ვარჯიშში მონაწილეობას საქართველოს A ნაკრების რამდენიმე მორაგბეც იღებდა. მათი დახმარებით მაგლტონმა დაცვისას დროულ გადაწყობაში გამოაწრთო ბიჭები.

ამის შემდეგ გუნდი ორად გაიყო. სავარაუდო ძირითადი შემადგენლობა უტევდა, თადარიგში მყოფნი და A ნაკრების მორაგბეები კი თავს იცავდნენ. თუ ვარჯიშის ამ ნაწილით ვიმსჯელებთ, უკრაინის ნაკრებთან მატჩში საქართველოს ეროვნული გუნდის შემადგენლობა ასეთი იქნება:

**15. ბესიკ ხამაშურიძე, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. დავით კაჭარავა, 12. ირაკლი გიორგაძე, 11. ლექსო გუგავა, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. ბიძინა სამხარაძე. 1. დავით ხინჩაგიშვილი, 2. ირაკლი ნატრიაშვილი, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. ლევან დათუნაშვილი, 5. შალვა სუთიაშვილი, 6. გია ლაბაძე, 7. გიორგი ჩხაიძე, 8. ბესო უდესიანი.**

*16. ჯაბა ბრეგვაძე, 17. ვასილ კაკოვინი, 18. ვახტანგ მაისურაძე, 19. ზვიად მაისურაძე, 20. ირაკლი აბუსერიძე, 21. ლაშა მალაღურაძე, 22. ბექა ურჯუკაშვილი.*

მერე შერკინება ბრედლიმ ჩაიბარა და დერეფანში თამაშის კომბინაციები დაახვეწინა. უკანახაზელები მაგლტონმა მოიხელთა და, ინდივიდუალურად, მეტოქის ბოჭვაში ავარჯიშა.

დღეს ეროვნულ ნაკრებს ვარჯიშისგან თავისუფალი დღე აქვს, ხვალ კი, მატჩის წინა დღეს, ვაკეში, „ლოკომოტივის" სტადიონზე ვარჯიშს კაპიტანი ჩაატარებს.

### საქართველოს ნაკრები

პირველი ხაზი: ანტონ ფეიქრიშვილი (კასტრი), ვასილ კაკოვინი, დავით ხინჩაგიშვილი (ბრივი), ირაკლი ნატრიაშვილი (ფარული), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), ჯაბა ბრეგვაძე (ვისოლი/ყოჩები).

მეორე ხაზი: ლევან დათუნაშვილი (ფიჟაკი), შალვა სუთიაშვილი (მასი), ვახტანგ მაისურაძე (სენ ნაზერი).

მესამე ხაზი: გია ლაბაძე (ლა სეინი), გიორგი ჩხაიძე (მონპელიე), ბესო უდესიანი (მაკონი), ზვიად მაისურაძე (ლოკომოტივი).

№9: ბიძინა სამხარაძე (ფარული), ირაკლი აბუსერიძე (ოსერი).

№10: ლაშა მალაღურაძე (ბეზიე), მერაბ კვირიკაშვილი (ფიჟაკი)

№12-13: დავით კაჭარავა (ნიცა), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), ირაკლი გიორგაძე (ლავორი).

№11-14: ლექსო გუგავა (ლელო), ირაკლი მაჩხანელი (მაკონი), ბექა ურჯუკაშვილი (ფიჟაკი).

№15: ბესიკ ხამაშურიძე (აია).

### უკრაინის ნაკრები

ზურაბ კიკაჩეიშვილი, სერგეი იანჩიი, ვიტალი კრასნოდემსკი, მიკოლა ალექსანდრიუკი, ვიტალი ორლოვი (ყველა-კიევი), სერგეი მონასტირიოვი, დენის მასიუკოვი, ევგენი ჩაიკა, რუსლან რადჩუკი, პავლო მასიუკოვი, რომან კულაკივსკი, ოლექსეი ნოვოკრეშჩენოვი (ყველა-ოდესა), იგორ ლემკივსკი, ევგენი ზაპოლსკი, ოლექსანდრ დურნოვი, ბოგდან ვოლოშინი, ვლადისლავ გრაბოვსკი (ყველა-ლვოვი), ნაზარი ზოზულია (ხმელნიცკი), ოლექსანდრ გოლუბენკო, ოლეგ შევჩენკო (ორივე-ტირასპოლი), ივან ზალიზნიაკ, სერგეი გარკავი, დიმიტრო მანჟოსი, ოლექსანდრ ლომაკინი, მიკოლა კირსანოვი, მაქსიმ კრავჩენკო, ვიაჩესლავ კრასილნიკი, ოლექსანდრ ცაპენკო, სერგიი სუხიხი, ვიაჩესლავ პონომარენკო, სერგეი ცერკოვნი, ანდრეი გოლიშევი, ოლეგ კოსარევი (ყველა-ხარკოვი).

### ერთა თასი

### I ტური, 5 თებერვალი

საქართველო-უკრაინა, ესპანეთი-რუსეთი, პორტუგალია-რუმინეთი.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები


ბურთით ვასილ კაკოვინი

## 3 თებერვალი მსოფლიო რაგბის ისტორიაში

### 1907 წელი

უელსის ნაკრებმა გუნდის ექსპერიმენტული განლაგება გამოიყენა. რვა მოთამაშე შერკინებაში იდგა, შვიდი კი ხაზზე. უელსელებმა ედინბურგში შოტლანდიის ეროვნულ გუნდთან 6:3 მოიგეს.

### 1935 წელი

უელსის ნაკრებმა კარდიფში შოტლანდიის ეროვნულ გუნდს 10:6 სძლია. უელსელებს გამარჯვება ფულბეკმა **ვივ ჯენკინსმა** მოუტანა არეკნით.

### 1963 წელი

**კლაივ როულენდსმა** ედინბურგში, შოტლანდიის ეროვნულ გუნდთან უელსის ნაკრების გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. მან მეტოქეს ორი საჯარიმო გაუტანა და უელსელებმა მშრალი ანგარიშით 6:0 გაიმარჯვეს.


ედი ირვინი

### 1974 წელი

შოტლანდიის ნაკრებმა „კალკუტას თასი" მოიგო. გამარჯვებას „სკოტებმა" **ედი ირვინის** საჯარიმოთი მატჩის ბოლო წუთზე მიაღწიეს. მომავალში „ბრიტანელი ლომების" ბრწყინვალე ფულბეკმა გუნდს 12 ქულა შესძინა. მის ანგარიშზე ერთი ლელო, ორი საჯარიმო და ერთი გარდასახვაა.

### 1980 წელი

**ბილ ბეომონტმა** ინგლისის ნაკრებს ბოლო 16 წლის განმავლობაში პირველად მოაგებინა პარიზში საფრანგეთის ნაკრებთან 17:13. „პომების" გამარჯვება მნიშვნელოვნად განაპირობა ცხრა ნომრის **სტივ სმითის** და მგეზავის **ჯონ ჰორთონის** შესანიშნავმა თამაშმა.

### 1991 წელი

**კრეიგ ჩელმერსი** პირველი შოტლანდიელი მორაგბე გახდა, რომელმაც ტესტ მატჩში გუნდს ქულები ყველა ხერხით მოუტანა. „სკოტებმა" შინ, „მერიფილდზე" უელსის ნაკრებს 32:12 მოუგეს. ჩემ-ერსმა თითო ლელო, გარდასახვა, საჯარიმო და არეკნი გაიტანა. შოტლანდიელთაგან ლელოები **დერეკ ვაითმა** და **ჰარი არმსტრონგმა** მიითვალეს.

### 2008 წელი

უელსის ნაკრებმა 20-წლიანი პაუზის შემდეგ პირველად მოუგო „თვიქენემზე" ინგლისის ეროვნულ გუნდს. უელსელებმა ექვსი ერის გახსნის მატჩში ბრწყინვალედ ითამაშეს და პირველ ტაიმში, **ტობი ფლუდის** ლელოთი დაწინაურებული მასპინძლები მაინც დაამარცხეს - 26:19.

„სიტყვები არ მყოფნის, აღგიწეროთ რა ბედნიერები ვართ. ეს ყველაზე შესანიშნავი დღეა ჩემს კარიერაში. ჩვენ მუხლჩაუხრელად ვშრომობდით, ვემზადებოდით ამ თამაშისთვის და მიღწეულით უსაზღვროდ ვამაყობთ," - თქვა უელსელთა შერკინების კვაჭმა **რაიან ჯოუნზმა.**

„პომებთან" გამარჯვება უელსელებისთვის დამატებითი სტიმული გამოდგა. მათ ბოლო ოთხ წელიწადში დიდი სლემი ორჯერ შეასრულეს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

### ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი



# პინგვინები ლიდერების გარეშეც იგებენ

„ყველა ვარსკვლავის მატჩით" გამოწვეული პაუზის შემდეგ განახლდა რეგულარული ჩემპიონატი და სამმატჩიანი მოგებათა სერია შეწყვიტა „ტორონტომ". ამისთვის მას ბულიტების სერია დასჭირდა „ფლორიდასთან" მატჩში. კანადური კლუბი სამჯერ გავიდა წინ, მაგრამ ფლორიდელებმა ხასიათი გამოამჟღავნეს და საქმე ბულიტებამდე მიიყვანეს. აქ კი ყველაფერი გადაწყვიტა **ტაილერ ბოჟაკისა** და **კოლბი არმსტრონგის** გამოყენებულმა ბულიტებმა.

გრძელდება „ოტავას" კრიზისი, რომელსაც ზედიზედ შვიდი მატჩია არ მოუგია. შეიძლება ასეც ითქვას - კანადურ კლუბს თამაში არ უნდა. სხვანაირად ვერ აიხსნება ის ფაქტი, რომ „ოტავამ" აღმოსავლეთის ერთ-ერთ აუთსაიდერ „ნიუ ჯერსისთან" პირველ ორ პერიოდში მხოლოდ ექვსი ზუსტი დარტყმა შეასრულა.

„ნიუ ჯერსიმ" ამ მოგებით მაინც ვერ შეძლო თავი დაეღწია აღმოსავლეთის ბოლო ადგილისთვის, რადგან უშუალო კონკურენტმა „აილენდერსმა" სტუმრად მოუგო „ატლანტას" და შეწყვიტა სამმატჩიან წაგებათა სერია. შესანიშნავი მატჩი ჩაატარა **კაილ ოკსოპომ**, რომელიც სულ ახლახან გამოჯანმრთელდა სერიოზული ტრავმისგან - მან დუბლი შეასრულა.

სტუმრად „ტამპასთან" განადგურდა აღმოსავლეთის ფავორიტი „ფილადელფია" - 0:4. მატჩის დაწყებიდან წუთიც არ იყო გასული, რომ **ტედი პურსელს** უკვე დუბლი ჰქონდა შესრულებული. „ფლაიერზი" ამ შოკიდან ველარ გამოვიდა და კიდევ ორი შაიბა მიიღო: თავი გამოიჩინეს **სტივ დაუნიმ** და **სტივ სტემკოსმა**. მთავარი ვარსკვლავი კი „ტამპას" მეკარე **დუეინ როლოსონი** გახდა, რომელმაც 38 დარტყმა მოიგერია.

საინტერესო შეხვედრა ჩატარდა სან ხოსეში, სადაც სტუმრად „ფინიქსი" ჩავიდა. „ზვიგენებმა", როგორც ჩანს, დასძლიეს ბოლოდროინდელი კრიზისი და მებრძოლი ხასიათი გამოავლინეს. არიზონელი სტუმრები მეორე პერიოდის შუაში მშვიდად 3:0-ს იგებდნენ. ამის გამო „სან ხოსეს" მწვრთნელმა **ანტი ნიემი** დებიუტანტი მეკარე **ალექს სტალოკით** შეცვალა. 23 წლის კიპერმა მოულოდნელად ძალიან მშვიდად ითამაშა და თავის პირველ მატჩში შაიბა არ გაუშვა.

ამასობაში კი სტალოკის პარტნიორებმა თამაშის ბედი შემოატრიალეს. პირველი ორი შაიბა **ჯო პაველსკიმ** გაიტანა, ხოლო ანგარიში „შარქსში" ახლახან გადასულმა **კაილ უელვუდმა** გაათანაბრა. გამარჯვების გოლი თავის აქტივში **პატრიკ მარლომ** ჩაიწერა, თანაც შაიბა რიცხობრივი უმცირესობისას შეაგდო.

„ტორონტოსა" და „ფლორიდას" მატჩის გარდა კიდევ ოთხ შეხვედრაში ვიხილეთ ბულიტების სერია. „მონრეალმა" ორშაიბიანი ჩამორჩენა გააბათილა „ვაშინგტონთან" - დუბლი შეასრულა **ჯონტამ**. მანვე გაამარჯვებინა „კანადელებს", როცა გადამწყვეტი ბულიტი გაუტანა დედაქალაქურ კლუბს.

ასევე ორი შაიბით აგებდა „პიტსბურგი" „რეინჯერსთან". კვლავ **კროსბისა** და **მალკინის** გარეშე მოთამაშე „პინგვინებმა" არა მარტო გაათანაბრეს ანგარიში, არამედ წინ გასვლაც მოახერხეს, მაგრამ ვერც მათ შეინარჩუნეს უპირატესობა. ბულიტების სერია შვიდ რაუნდამდე გაგრძელდა და ბოლოს „პიტსბურგს" გამარჯვება **დასტინ ჯეფრიმ** მოუტანა.

ძალიან მოსაწყენი მატჩი გაიმართა მინესოტაში, სადაც „უაილდმა" „ლოს ანჯელესს" უმასპინძლა. შეხვედრა აბსოლუტურად თანაბარი გამოვიდა და ძირითად დროსა და ოვერტაიმში მაყურებელმა გოლი ვერ იხილა. მასპინძლებს გამარჯვება ბულიტების სერიაში **პიერ-მარკ ბუშარმა** გაუნაღდა. იშვიათია, როცა ერთ მატჩში ორმა მეკარემ შეძლო შათაუტის შესრულება: **ჯონათან ბერნიემ** 25 დარტყმა მოიგერია, **ბექსტრიომმა** - 27.

| ატლანტა-აილენდერსი | 1:4 |
|---|---|

1:0, 0:3, 0:1

**გოლები:** 1:0 მეიერი-1 (ანტროპოვი-17, ბურმისტროვი-11), 1:1 ჰამონიკი-1 (ტავარესი-19, პარენტო-19), 1:2 ოკსოპო-1, 1:3 პარენტო-13 (ოკსოპო-2, ტავარესი-20), 1:4 ოკსოპო-2 (გრაბნერი-7).

| კაროლინა-ბოსტონი | 2:3 |
|---|---|

0:0, 1:1, 1:2

**გოლები:** 0:1 პეი-1 (ხარა-17, შ.ტორნტონი-6), 1:1 მაკბეინი-4 (სამსონოვი-13, კოული-16), 1:2 ჰორტონი-13 (კრეისი-27, ხარა-18), 1:3 პ.ბერჟერონი-17 (რეკი-23, ფერენსი-7), 2:3 კორვო-8 (კოული-17, სამსონოვი-14).

| კოლამბუსი-ჩიკაგო | 4:7 |
|---|---|

1:2, 2:3, 1:2

**გოლები:** 1:0 დორსეტი-3 (რასელი-8, კლიტსომი-5), 1:1 ლედი-2 (სკილი-10, ბოინტონი-7), 1:2 კეიტი-4 (პ.კეინი-25, შარპი-21), 2:2 ბრასარი-13 (ნეში-21, ჰეიდა-8), 3:2 პალსონი-4 (კ.კლარკი-9, დორსეტი-6), 3:3 სტალბერგი-8 (პიზანი-7, ტეუვზი-24), 3:4 პ.კეინი-14 (ტეუვზი-25, ბროუერი-14), 3:5 ტეუვზი-18 (მარიან ჰოსა-17, სიბრუკი-24), 3:6 ბოლანდი-11 (ბიკელი-15, პიზანი-8), 4:6 კალვერტი-3 (მაკენზი-5), 4:7 მარიან ჰოსა-12 (სიბრუკი-25, დოუელი-12).

| ნიუ ჯერსი-ოტავა | 2:1 |
|---|---|

0:0, 1:1, 1:0

**გოლები:** 1:0 პალმიერი-4 (ე.გრინი-16, კოვალჩუკი-16), 1:1 კოვალიოვი-9 (ალფრედსონი-15, კარლსონი-21), 2:1 ზუბრუსი-8 (ელიაში-25, როლსტონი-11).

| რეინჯერსი-პიტსბურგი | 3:4 (ბ) |
|---|---|

1:0, 2:3, 0:0, 0:0

**გოლები:** 1:0 პრუსტი-8 (ვოლსკი-15, ბ.ბოილი-10), 2:0 ანისიმოვი-11 (დუბინსკი-22, გაბორიკი-16), 2:1 ჯეფრი-3 (კუნიტცი-18, გოლიგოსკი-18), 2:2 რუპი-5 (ტელბოტი-7, ენგელანდი-5), 2:3 კუნიტცი-17 (ზ.მიხალეკი-8, ორპიკი-10), 3:3 კელეჰენი-11 (დელ ზოტო-8, ცუკარელო-9).

**ბულიტები გაიტანეს:** ჯეფრი (პიტსბურგი)

| ტორონტო-ფლორიდა | 4:3 (ბ) |
|---|---|

2:1, 1:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ვერსტეეგი-13 (კ.არმსტრონგი-7, შენი-9), 1:1 ვეისი-14 (ჰიგინსი-10, ალენი-8), 2:1 კულემინი-17 (მაკარტური-26, გრაბოვსკი-18), 2:2 ბუტი-15 (სტილმანი-14, ელერბი-5), 3:2 გრაბოვსკი-21 (კაბერლე-29, კულემინი-18), 3:3 სტილმანი-7 (კულიკოვი-13, ვეისი-21).

**ბულიტები გაიტანეს:** ბუტი (ფლორიდა), ბოჟაკი (ტორონტო), კ.არმსტრონგი (ტორონტო).

| ვაშინგტონი-მონრეალი | 2:3 (ბ) |
|---|---|

2:0, 0:2, 0:0, 0:0

**გოლები:** 1:0 მ.პერო-6, 2:0 ნუბლი-12 (მაიკ გრინი-15, მ.პერო-4), 2:1 ჯონტა-17 (ა.კოსტიცინი-16, ვიშნიევსკი-29), 2:2 ჯონტა-18 (პლეკანეცი-25).

**ბულიტები გაიტანეს:** ჯონტა (მონრეალი).

| ტამპა ბეი-ფილადელფია | 4:0 |
|---|---|

3:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 პურსელი-9 (ლეკავალიე-16, საიმონ განიე-5), 2:0 პურსელი-10 (საიმონ განიე-6), 3:0 დაუნი-5 (სენტ ლუისი-41, რ.ჯონსი-10), 4:0 სტემკოსი-39 (სენტ ლუისი-42, ბ.კლარკი-12).

| მინესოტა-ლოს ანჯელესი | 1:0 (ბ) |
|---|---|

0:0, 0:0, 0:0, 0:0

**ბულიტები გაიტანეს:** ბუშარი (მინესოტა)

| ნეშვილი-კალგარი | 2:3 (ბ) |
|---|---|

1:0, 0:0, 1:2, 0:0

**გოლები:** 1:0 ერატი-7 (ს.კოსტიცინი-15, გოკი-13), 1:1 სტაიანი-4 (ჯეკმენი-10, გლენკროსი-8), 2:1 ჰორნკვისტი-16 (შ.უებერი-22, ს.კოსტიცინი-16), 2:2 სერიჩი-2 (ტანგეი-26, ბ.მორისონი-20).

**ბულიტები გაიტანეს:** ბურკი (კალგარი).

| დალასი-ვანკუვერი | 1:4 |
|---|---|

0:0, 1:3, 0:1

**გოლები:** 0:1 სამუელსონი-10 (ერჰოფი-21, დ.სედინი-38), 0:2 ერჰოფი-9 (დ.სედინი-39, სამუელსონი-19), 1:2 ლ.ერიქსონი-18 (ბ.რიჩარდსი-38, ლეჰტონენი-4), 1:3 კესლერი-28 (ჰანსენი-11), 1:4 ბაროუზი-12 (ჰ.სედინი-51).

| სან ხოსე-ფინიქსი | 5:3 |
|---|---|

0:2, 1:1, 4:0

**გოლები:** 0:1 ვრბატა-11 (დოუნი-24, რეი უიტნი-27), 0:2 იენდლი-9 (მორისი-7), 0:3 ბისონეტი-1 (ეკმანლარსენი-10, კორპიკოსკი-15), 1:3 პაველსკი-10 (ჰიტლი-26, დ.ბოილი-28), 2:3 პაველსკი-11 (სეტოგუჩი-6, ქლოუ-26), 3:3 უელვუდი-1 (იგერი-8, დემერსი-15), 4:3 მარლო-19 (პაველსკი-23), 5:3 ჯ.ტორნტონი-14 (მარლო-19, ვლასიჩი-9).

### ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# დაბრუნდა, წააგო, წავიდა

## ივანიშევიჩმა 7-წლიანი შესვენების შემდეგ პროფესიულ ტურში ითამაშა

ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ ქალი ჩოგბურთელები გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის - ფედერაციის თასის პირველი ეტაპისთვის ემზადებიან, კაცები კი ATP-ის სამ ტურნირზე არკვევენ ურთიერთობას, თუმცა ამ კვირას წამყვანი ჩოგბურთელები ისვენებენ და კორტზე მხოლოდ ათეულის მიღმა მყოფ მოთამაშეებს ვხედავთ.

იოჰანესბურგში საყოველთაო ყურადღებას იპყრობს კანადელი **მილოშ რაონიჩი**, ვინც ავსტრალიის ღიას ერთ-ერთი აღმოჩენა გახდა და მელბურნში ყველას აჯობა ეისების რაოდენობითა და მოწოდების ძალით.

რაონიჩმა პირველ წრეში 75 წუთი მოანდომა მეორე ნომრად განთესილ **იენ-ჰსუნ ლუს** დამარცხებას. კანადელმა 14 ეისი მოაწოდა და სამიდან სამი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა, ამასთან, ტაივანელს მეტოქის გეიმის აღების ერთი შანსიც არ ჰქონია. სხვათა შორის, 20 წლის რაონიჩმა იოჰანესბურგის ტურნირი, ისევე როგორც ავსტრალიის ღია პირველობა კვალიფიკაციიდან დაიწყო.

კანადელის მსგავსად, ასევე 14 ეისი ჩააწოდა კიდევ ერთმა ახალგაზრდა ჩოგბურთელმა, მასპინძელმა **კევინ ანდერსონმა.** ამის წყალობით მან შვეიცარიელი **სტეფან ბოლი** დაამარცხა.

ეისების მხრივ დღის ლიდერი გახდა **დასტინ ბრაუნი** - მას 15 „სუფთა" მოწოდება დაუგროვდა **ფლორან სერას** წინააღმდეგ. სხვათა შორის ბრაუნი კიდევ ერთი მაჩვენებლით გახდა ლიდერი - ყველაზე ნაკლები დრო დახარჯა შემდეგ წრეში გასასვლელად - 54 წუთი.

■ ■ ■

ზაგრების ტურნირზე, პირველ რიგში, აღსანიშნავია **რადეკ შტეპანეკის** გამარჯვება - ჩეხმა კვალიფიკაციიდან გასული **შტეფან კუბეკი** 58 წუთში გაანადგურა, ამასთან სულ რაღაც ერთი ეისი ჩააწოდა, სამაგიეროდ, ექვსი ბრეიკ-პოინტიდან ხუთი გამოიყენა. საერთო ჯამში, ჩეხმა, რომელიც ამჟამად რეიტინგის პირველი ორმოცდაათეულის მიღმა იმყოფება, იოლად მოიპოვა მეორე წრის საგზური. შტეპანეკი და კუბეკი მეოთხედ ხვდებოდნენ ერთმანეთს და ჩეხი წინაა - 3:1.

პირველი წრის შეხვედრა წააგო ადგილობრივი პუბლიკის მთავარმა იმედმა **ივო კარლოვიჩმა.** ხორვატ გიგანტს 32-მა ეისმაც ვერ უშველა **დანიელ ბრანდსის** წინააღმდეგ, რომელსაც ზუსტად ორჯერ ნაკლები ეისი დაუგროვდა.

ორივე ჩოგბურთელი ამ მატჩში ძალიან კარგად აწვდიდა, რადგან ორსაათიან მატჩში სულ სამი ბრეიკ-პოინტი დაფიქსირდა (ორი გერმანელს ჰქონდა, რომელთაგანაც ერთი გამოიყენა). საერთო ჯამში, საკუთარ მოწოდებაზე უფრო დამაჯერებლად გრძნობდა თავს ბრანდსი, რომელმაც გამარჯვება მესამე სეტის ტაი-ბრეიკზე გაინაღდა, სადაც მეტოქეს მხოლოდ ერთი ქულა დაუთმო.

■ ■ ■

სანტიაგოს ტურნირში მეორე დღიდან ჩაება ერთი-ერთი მთავარი ფავორიტი **დავიდ ნალბანდიანი.** განთესვის ლიდერს პირველ წრეში სამი სეტის თამაში დასჭირდა თანამემამულე **კარლოს ბერლოკის** წინააღმდეგ. თამაში ორი საათი გაგრძელდა და ამ დროის განმავლობაში გამარჯვებულმა რვიდან ხუთი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა, ბერლოკმა კი 11 ასეთი შანსიდან რვა გაუშვა ხელიდან.

მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა მეორე არგენტინულ დერბიში. ტურნირს გამოეთიშა მეორე ნომრად განთესილი **ხუან მონაკო.** ის ორი საათი და 44 წუთი ებრძოდა **მაქსიმო გონსალესს.** ფავორიტმა მეტოქეზე ერთით მეტი გათამაშება მოიგო, მაგრამ მონაკოს გამარჯვებაში ეს ვერ დაეხმარა.

დღის ბოლო მატჩში ტურნირს გამოეთიშა ჩილელი გულშემატკივრების საყვარელი მოთამაშე, ათენის ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონი **ნიკოლას მასუ.** მან ყველასთვის უცნობ ბრაზილიელ **კაიო ზამპიერისთან** ორ სეტში წააგო. მართალია, მესამე პარტიის ჩატარება საჭირო არ გახდა, მაგრამ მატჩი მაინც ორსაათ-ნახევრამდე გაიწელა. ბრაზილიელმა მეტოქეზე ერთით მეტი ბრეიკი (სამი ორის წინააღდეგ) გააკეთა და ამის ხარჯზე გაიმარჯვა.

■ ■ ■

დავუბრუნდეთ ზაგრების ტურნირს, სადაც მეორე სათამაშო დღეს საყოველთაო ყურადღება იყო მიპყრობილი ლეგენდარული ხორვატი **გორან ივანიშევიჩის** მისამართით. უიმბლდონის ყოფილმა ჩემპიონმა პროფესიულ ტურში დაბრუნება მოისურვა და წყვილთა თანრიგში თანამემამულე **მარინ ჩილიჩთან** ერთად ითამაშა.

დაბრუნება უილბლო გამოდგა. ხორვატულმა დუეტმა სლოვაკურ წყვილთან (**ფილიპ პოლაშეკი-იგორ ზელენაი**) ორ ურთულეს სეტში წააგო - 6:7(4), 4:6. მატჩი საათსა და 19 წუთს გაგრძელდა.

*„პრობლემები მქონდა მოწოდებასა და მიღებაზე. ათი პროცენტით უკეთ რომ ჩამეწოდებინა, ვფიქრობ, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებოდა. არ მეგონა, თუ ჩემი მთავარი იარაღი - მოწოდება მიღალატებდა.*

*მაგრამ ეს მატჩი სასარგებლო იყო ჩილიჩისთვის ერთეულთა მატჩების წინ კორტთან შესაჩვევად. მეც კმაყოფილი ვარ ჩემი თამაშის დონითა და დარბაზში ატმოსფეროთი.*

*ATP-ში თამაშს არ გავაგრძელებ - ეს ერთი ცდაც საკმარისია. ეს იყო მზადების ეტაპი ვეტერანთა ტურის შეჯიბრებებისთვის",* - ასე შეაფასა თავისი გამოსვლა 39 წლის ივანიშევიჩმა, რომელმაც 2004 წლის შემდეგ პირველად ითამაშა პროფესიულ ტურში.



ჩილიჩი, ივანიშევიჩი და ლუბიჩიჩი

# რაფას ათი დღე სჭირდება

მსოფლიოს პირველ ჩოგანს, ესპანელ **რაფაელ ნადალს** 10 დღე დასჭირდება ბარძაყის ტრავმის სამკურნალოდ, რომელიც მან ავსტრალიის ღია პირველობაზე მიიღო. როგორც სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, ნადალს ნაწილობრივ აქვს განყვეტილი მარჯვენა ბარძაყის კუნთი. სწორედ ამ დაზიანების გამო ვერ შეძლო რაფამ ავსტრალიის ღიას მეოთხედფინალში თანამემამულე **დავიდ ფერერისთვის** წინააღმდეგობის გაწევა და სამ სეტში დამარცხდა - 4:6, 2:6, 3:6.

ამჟამად „დიდი სლემის" ტურნირების ცხრაგზის ჩემპიონი შინ, მალიორკაზე მკურნალობს. ნადალის უახლოეს გეგმებში შედის დევისის თასის მერვედფინალი ბელგიის წინააღმდეგ, რომელიც 4-6 მარტს შარლერუაში გაიმართება. ამას მოჰყვება ზედიზედ ორი მასტერსი ინდიან უელსსა და მაიამიში.



ნადალს მსუბუქი ტრავმა აქვს

## ამბები

### სამთო-სათხილამურო სპორტი

#### მილერი კომენტატორი გახდა

ცნობილმა ამერიკელმა სამთო მოთხილამურემ **ბოდე მილერმა** კონტრაქტი გააფორმა ტელეარხ „ევროსპორტთან". წელს სამთო-სათხილამურო სპორტში მსოფლიოს ჩემპიონატი უნდა გაიმართოს და სეზონის მთავარ სტარტს ტელეეთერში კომენტარს სწორედ ვანკუვერის ოლიმპიური ჩემპიონი გაუკეთებს.

*„ჩემი საყვარელი სპორტის სახეობის შესახებ ლაპარაკი ძალიან მიყვარს,* - განაცხადა მილერმა. - *იმედი მაქვს, პირადი გამოცდილება დამეხმარება ახალი როლის ღირსეულად შესრულებაში. გარდა ამისა, სიამოვნებით გავუზიარებ ამ გამოცდილებას ჩემს ახალ კოლეგებს".*

პლანეტის პირველობა 7-20 თებერვალს გერმანიის კურორტ გარმიშ-პარტენკირხენში გაიმართება.

### კალათბურთი

#### ოთხთა ფინალი ტრევიზოში

რანგით მეორე ევროპული ტურნირის - ევროთასის „ოთხთა ფინალი" იტალიის ქალაქ ტრევიზოში გაიმართება. გადამწყვეტ მატჩებს დარბაზი „პალავერდე" უმასპინძლებს, რომელიც 5 144 მაყურებელს იტევს. 16-17 აპრილს სწორედ აქ გაირკვევა ევროთასის ახალი ჩემპიონი.

გამოდის, რომ „ოთხთა ფინალის" მასპინძელი იქნება იტალიის „ბენეტონი", რომელსაც გადამწყვეტ პლეი ოფში მოხვედრის ძალიან კარგი შანსი აქვს.

ცნობილია, რომ ევროთასზე გამარჯვებული მომავალ წელს ავტომატურად ევროლიგაზე ითამაშებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ვაშინგტონი სასურველი სტუმარია



ოლდრიჯმა დანკანს აჯობა

რეგულარული ჩემპიონატის ლიდერ „სან ანტონიოს“ მარცხი ისეთი იშვიათი მოვლენაა, რომ ამ გუნდის წაფორხილება პორტლენდში ყველამ დიდ მოულოდნელობად შეაფასა. ამ მატჩში „ბლეიზერსის“ მთავარი იმედი **ლამარკუს ოლდრიჯი** იყო. სწორედ მასპინძლების ერთ-ერთმა ლიდერმა ათრია 48 წუთი თავისი გუნდი და მისი შეჩერება ვერც **ტიმ დანკანმა** და ვერც **დეჟუან ბლეირმა** შეძლეს.

„სან ანტონიო“, როგორც ყოველთვის, გუნდური თამაშით იყო ძლიერი და დიდ შესვენებაზე ტეხასელები პროგნოზისამებრ ლიდერის რანგში გავიდნენ. მაგრამ ოლდრიჯი გაჩერებას არ აპირებდა. რაც უნდა მოემოქმედებინა „სპურსს“ შეტევაში, **მაკმილანის** შეგირდები მაინც პოულობდნენ ღირსეულ პასუხს. ხოლო, როცა ბოლო მეოთხედში ოლდრიჯს დროულად წამოეხმარნენ **მეტიუზი** და **მილერი**, „პორტლენდის“ შეჩერება შეუძლებელი გახდა და მასპინძლებმა რთული, მაგრამ დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს.

ოლდრიჯი კი ტურის მთავარ ვარსკვლავად აღიარეს. მან 40 ქულით (თამაშიდან - 16/23, საჯარიმო - 8/9) კარიერის პირადი რეკორდი დაამყარა, გარდა ამისა, 11 მოხსნა, 3 ჩაჭრა, 2 შედეგიანი პასი და 1 დაფარება მიითვალა. საფინალო სირენის შემდეგ ლამარკუსს სიურპრიზი ელოდა: *„ჩემთან „სპურსის“ მთავარი მწვრთნელი პოპოვიჩი მოვიდა და ხელი ჩამომართვა. ადრე ასეთი რამ არასოდეს მომხდარა“.*

კარგი ფორმა აკრიფა „საკრამენტომ“. მიუხედავად იმისა, რომ „მეფეებმა“ შინ წააგეს „ბოსტონთან“, **უესტფოლის** ახალგაზრდა გუნდში პროგრესი შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს. სტარტზე მეტოქის გაქცევის შემდეგ „საკრამენტომ“ მეორე მეოთხედში თავად მოაწყო სპურტი და ლიდერობა იგდო ხელთ. კალიფორნიელთა რიგებში მთავარი მოქმედი პირები იყვნენ - **დემარკუს კაზინსი** და **ტაირიკ ევანსი**.

მეორე ტაიმში „ბოსტონი“ უფრო აგრესიულად ათამაშდა. **რეი ალენისა** და **რაჟონ რონდოს** გარდა, სერიოზულად მოჰკიდა საქმეს ხელი **პოლ პირსმა**. მესამე მეოთხედში ანგარიშის გათანაბრების შემდეგ „სელტიქსმა“ კლასის ხარჯზე გაუსწრო მეტოქეს და ბოლოსკენ „კინგზის“ წინააღმდეგობა უკვე ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

ძალიან უჭირს ბოლო დროს „ლეიკერსს“. „საკრამენტოსთან“ და „ბოსტონთან“ ორი საშინაო წაგების შემდეგ ჩემპიონმა მხოლოდ ოვერტაიმში დაჯაბნა მოკრძალებული „ჰიუსტონი“. კლასში დიდი განსხვავების მიუხედავად, „ლეიკერსმა“ „რაკეტების“ სწრაფ შეტევას ბევრი ვერაფერი დაუპირისპირა. განსაკუთრებით თვალში საცემია კალიფორნიელთა პრობლემები დაცვაში. სწორედ ამ მიზეზით, „ლეიკერსმა“ ბოლო მეოთხედში 2 წუთის განმავლობაში ექვსქულიანი უპირატესობა გაფლანგა. ძირითადი დროის დასრულებამდე ხუთი წამით ადრე **აარონ ბრუქსმა ლუის სკოლას** მისცა ბურთი, რომელიც აბსოლუტურად თავისუფალი იდგა მეტოქის სამწამიანში და არგენტინელმა შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანა.

თუმცა დაცვისგან განსხვავებით, **ფილ ჯექსონის** გუნდი შეტევაში საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა. **ბრაიანტის**, **გასოლისა** და **ოდომის** ტრიომ მატჩი უმაღლეს დონეზე წარმართა. დამატებით ხუთ წუთში სწორედ მათმა თამაშმა განსაზღვრა საბოლოო შედეგი. თუმცა ამ მოგებამ „ლეიკერსის“ თამაშის შესახებ უფრო მეტი კითხვა გააჩინა, ვიდრე პასუხი...

სხვათა შორის, ამ მატჩში კობის კიდევ ერთი კარიერული მიღწევა ჰქონდა. მისი სნაიპერული თვისებები ყველამ იცის, ახლა კი 11 პასით ბრაიანტმა თავისი მონაგარი 5 ათას შედეგიან გადაცემამდე აიყვანა.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ „ვაშინგტონის“ მორიგ მარცხს გასვლაზე. სეზონის სტარტიდან მოყოლებული დედაქალაქელებმა სტუმრად ზედიზედ 25-ე შეხვედრა დათმეს. ამჯერად „უიზარდსმა“ ვერაფერი მოუხერხა „ნიუ ორლეანს“, რომელსაც ტრავმის გამო ძირითადი ცენტრი **ემეკა ოკაფორი** აკლდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მასპინძლებისთვის მატჩის 8 ქულით მოგებაში. ოკაფორი სამ კვირას დაისვენებს, მის ნაცვლად ძირითადში მოხვედრილმა **ჯეისონ სმიტმა** კი კარიერაში სარეკორდო - 20 ქულა დააგროვა.

**ნიუ ორლეანი-ვაშინგტონი 97:89**

**29:26, 26:18, 25:21, 17:24**

**ნ-ო:** სმიტი (20+5 მოხსნა), არიზა (16), პოლი (15+9 პასი+5 მოხსნა), გრინი (11), უესტი (10+8 მოხსნა), ტორნტონი (10).

**ვ:** იანგი (30), ბლეტჩი (21+9 მოხსნა), ჰაინრიხი (10).

**პორტლენდი-სან ანტონიო 99:86**

**24:22, 23:30, 24:19, 28:15**

**პ:** ოლდრიჯი (40+11 მოხსნა), მეტიუზი (21), მილერი (18+9 პასი).

**ს-ა:** ჯინობილი (17), დანკანი (15+7 მოხსნა), ბლეირი (14+12 მოხსნა), ჯეფერსონი (10), ჰილი (10).

**საკრამენტო-ბოსტონი 90:95**

**20:27, 34:18, 17:29, 19:21**

**ს:** კაზინსი (20+6 მოხსნა), ევანსი (20), გრინი (15), უდრიხი (12+6 მოხსნა+6 პასი).

**ბ:** ალენი (22+6 მოხსნა), რონდო (17+10 პასი), პირსი (15+5 მოხსნა+5 პასი), დევისი (14), გარნეტი (12+7 მოხსნა), პერკინსი (8+10 მოხსნა).

**ლეიკერსი-ჰიუსტონი 114:106 (ო)**

**31:23, 23:25, 20:26, 24:24, 16:8**

**ლ:** ბრაიანტი (32+11 პასი+6 მოხსნა), გასოლი (26+16 მოხსნა), ოდომი (20+20 მოხსნა), ფიშერი (11).

**ჰ:** მარტინი (30), სკოლა (24+15 მოხსნა), ბრუქსი (16+8 პასი).

ოლ სტარი 2011

# კონტურები იკვეთება

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად დაასახელა იმ მწვრთნელთა ვინაობა, რომლებიც 20 თებერვალს „ყველა ვარსკვლავის მატჩში“ მონაწილე გუნდებს ჩაუდგებიან სათავეში. აღმოსავლეთის თავკაცი „ბოსტონის“ დამრიგებელი **დოკ რივერსი** იქნება, დასავლეთ კონფერენციის მწვრთნელი კი ჯერ კიდევ გასულ კვირას გახდა „სპურსის“ თავკაცი **გრეგ პოპოვიჩი**.

როგორც ცნობილია, „ოლ სტარში“ მონაწილე გუნდების მწვრთნელებად იმ სპეციალისტებს ნიშნავენ, რომელთა განვრთნილი გუნდები იმ მომენტისთვის ლიდერები არიან აღმოსავლეთისა და დასავლეთის კონფერენციებში. „ბოსტონი“ 37 მოგებითა და 11 წაგებით უდგას სათავეში აღმოსავლეთის ცხრილს, „სან ანტონიოს“ კი 40 მოგება და 8 წაგება აქვს და პირველ ადგილს იკავებს დასავლეთში.

■ ■ ■

გარდა ამისა, გუშინ დასახელდა დებიუტანტთა და ე. წ. „მეორეწლიანთა“ მატჩის შემადგენლობები. ტრადიციულად, სწორედ ამ შეხვედრით იხსნება „ყველა ვარსკვლავის უქმეები“. ეს მატჩი 18 თებერვლისთვის არის დანიშნული.




**დებიუტანტები:** ერიკ ბლედსოუ („კლიპერსი“), დემარკუს კაზინსი („საკრამენტო“), დერიკ ფეივორსი („ნიუ ჯერსი“), ლენდრი ფილდსი („ნიუ იორკი“), ბლეიკ გრიფინი („კლიპერსი“), უესლი ჯონსონი („მინესოტა“), გრეგ მონრო („დეტროიტი“), გარი ნილი („სან ანტონიო“), ჯონ უოლი („ვაშინგტონი“).

**მეორეწლიანები:** დეჟუან ბლეირი („სან ანტონიო“), დემარ დეროზანი („ტორონტო“), სტივენ კარი („გოლდენ სტეიტი“), ტაირიკ ევანსი („საკრამენტო“), ტაჯ გიბსონი („ჩიკაგო“), ჯრუ ჰოლიდეი („ფილადელფია“), სერჟ იბაკა („ოკლაჰომა“), ბრენდონ ჯენინგსი („მილუოკი“), უესლი მეტიუზი („პორტლენდი“).

ეს მატჩი 2000 წლიდან ტარდება და 11 შეხვედრაში დებიუტანტებმა მხოლოდ სამჯერ გაიმარჯვეს, მათ შორის, შარშანდელ „ოლ სტარზე“.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| ჰორსენსი-აგფ ორჰუსი | 1:0 |
| ცსკა-ტომი | 2:2 |
| რაპიდი-სტ. პოლტენი | 1:2 |
| ვესტსიელანდი-სონდერიისკი | 2:3 |
| ზალცბურგი-ბურგჰაუზენი | 4:0 |
| არაუ-ვადუცი | 0:0 |
| კარტახენა-რუბინი | 0:3 |
| პოლონია (ვ)-ყუბანი | 4:0 |
| კლიფტონვილი-დანდალკი | 1:4 |
| **ინგლისი** | |
| ბირმინგემი-მანჩესტერ სიტი | 2:2 |
| ბლეკბერნი-ტოტენჰემი | 0:1 |
| ბლეკპული-ვესტ ჰემი | 1:3 |
| ბოლტონი-ვულვზი | 1:0 |
| ფულჰემი-ნიუკასლი | 1:0 |
| ლივერპული-სტოკი | 2:0 |
| **I ლიგა** | |
| როვერსი-მილტონი | 1:2 |
| ნოტსი-უოლსოლი | 1:1 |
| **იტალია** | |
| რომა-ბრეშა | 1:1 |
| ჩეზენა-კატანია | 1:1 |
| კიევო-ნაპოლი | 2:0 |
| ფიორენტინა-ჯენოა | 1:0 |
| პალერმო-იუვენტუსი | 2:1 |
| პარმა-ლეჩე | 0:1 |
| სამპდორია-კალიარი | 0:1 |
| უდინეზე-ბოლონია | 1:1 |
| **ესპანეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩები** | |
| ალმერია-ბარსელონა | 0:3 (0:5) |
| რეალი-სევილია | 2:0 (1:0) |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| რეგენსბურგი-კობლენცი | 0:2 |
| ვეენი-უნტერჰახინგი | 3:0 |
| **საფრანგეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| შამბერი-სოშო | 2:1 |
| მარტიგი-პსჟ | 1:4 |
| ნანსი-ლე მანი | 1:2 |
| დრანსი-ნიცა | 0:1 |
| ლილი-ნანტი | 1:1 პენ. 3:2 |
| **ბელგია** | |
| შარლერუა-ბეერსხოტი | 2:0 |
| ეუპენი-ვარეგემი | 0:2 |
| მეხელენი-კორტრიიკი | 1:0 |
| ლოკერენი-სერკლი | 2:1 |
| გენკი-სტ. ტრუიდენი | 1:1 |
| **პორტუგალიის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩი** | |
| პორტუ-ბენფიკა | 0:2 |
| **შოტლანდია** | |
| ჰიბერნიანი-სტ. მირენი | 2:0 |
| ინვერნესი-დანდი იუნ | გადაიდო |
| მოზერველი-კილმარნოკი | 0:1 |
| რეინჯერსი-ჰართსი | 1:0 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| **1/4 ფინალი. II მატჩები** | |
| პაოკ-ოლიმპიაკოსი | 1:0 (1:1) |
| აეკ-პანათინაიკოსი | 2:3 (2:0) |

| [illegible] | |
|---|---|
| **1/4 ფინალი. I მატჩები** | |
| ბუიუქსეჰირი-ქასიმფაშა | 0:0 |
| ბეშიქთაში-ბბ გაზიანთეფი | 5:0 |
| **კვიპროსის თასი** | |
| **1/8 ფინალი. II მატჩი** | |
| აპეპ-ანორთოსისი | 0:1 (0:2) |
| **ავსტრალია** | |
| მელბურნი ვ.-ნიუკასლი | 2:0 |
| გოლდ კოუსტი-ადელაიდა | 0:0 |
| **ბრაზილია** | |
| **პაულისტა** | |
| პაულისტა-ნოროესტე | 0:0 |
| ოესტე-ბოტაფოგო | 1:0 |
| **ვენესუელა** | |
| ელ ვიხია-კარაკასი | 1:0 |

**კალათბურთი**

| ევროლიგა | |
|---|---|
| ფენერბაჰჩე-ჟალგირისი | 80:72 |
| ოლიმპიაკოსი-ვალენსია | 77:62 |
| **რუსეთი** | |
| ხიმკი-ტრიუმფი | 80:87 |

**ჰოკეი**

| კჰლ | |
|---|---|
| ამური-ავანგარდი | 2:3 |
| მეტალურგი (ნ)-სევერსტალი | 0:3 |
| სიბირი-სპარტაკი | 5:1 |
| **ბელარუსი** | |
| ბრესტი-სოკილი | 3:0 |
| ვიტებსკი-მეტალურგი | 1:4 |
| ლიეპაიასი-ხიმვოლოკნო | 5:3 |
| ხიმიკი-გომელი | 4:2 |
| იუნოსტი-ნემანი | 5:2 |
| **ფინეთი** | |
| იოკერიტი-პელიკანსი | 3:1 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ზაგრები | |
|---|---|
| მარჩენკო-ლაიოვიჩი | 7:5, 6:2 |
| შტეპანეკი-ფ. მაიერი | 6:7, 3:6 |
| კუკუშკინი-კლემანი | 4:6, 3:6 |
| გარსია ლოპესი-ლაჩკო | 6:1, 2:6, 6:2 |
| ჩილიჩი-კუნიცინი | 7:6, 6:2 |
| ბერერი-კავჩიჩი | 6:4, 6:1 |
| **ATP. სანტიაგო** | |
| მ. გონსალესი-სოუზა | 4:6, 6:3, 6:1 |
| ფონინი-რამოს ვინოლასი | 3:6, 7:5, 6:4 |
| ბელუჩი-მაშადო | 7:5, 1:6, 6:1 |
| **ATP. იოჰანესბურგი** | |
| ვოლმარანსი-სისლინგი | 4:6, 6:3, 6:4 |
| შუტლერი-სოედა | 6:3, 4:6, 4:6 |
| კ. ბეკი-დაბული | 7:5, 7:6 |
| ფ. ლოპესი-დანჩევიჩი | 7:6, 2:6, 6:7 |
| პრსიეუნი-დე ვოესტი | 3:6, 4:6 |
| ბრაუნი-ვან დერ მერვე | 6:4, 5:7, 3:6 |
| რაონიჩი-გროილი | 6:7, 4:6 |

TV პროგრამა

**3 თებერვალი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**23:45** იტალიის ჩემპიონატი. ბარი-ინტერი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**23:25** კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. II ჯგუფური ეტაპი. III ტური. კახა ლაბორალი-პანათინაიკოსი (LIVE).
**04:00** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ნეშვილი (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**23:40** კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. II ჯგუფური ეტაპი. III ტური. რეალი-ეფესი (LIVE).
**07:30** NBA. რეგულარული ჩემპიონატი. გოლდენ სტეიტი-მილუოკი (LIVE).

**SPORT+**

**19:40** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. პლეი ოფი. ზარეჩიე-ვოლერო. I მატჩი (LIVE).
**23:10** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. პლეი ოფი. სკავოლინი-დინამო. I მატჩი (LIVE).

**EUROSPORT**

**13:00** სნუკერი. მასტერსი. II დღე. ბერლინი. გერმანია (LIVE).
**18:00** სნუკერი. მასტერსი. II დღე. ბერლინი. გერმანია (LIVE).
**23:00** სნუკერი. მასტერსი. II დღე. ბერლინი. გერმანია (LIVE).

**EUROSPORT-2**

**11:00** სამთო-სათხილამურო სპორტი. უნივერსიადა. ქალები. გიგანტური სლალომი. I ცდა. თურქეთი (LIVE).
**12:00** სათხილამურო რბოლა. უნივერსიადა. გუნდური სპრინტი. ერზურუმი. თურქეთი (LIVE).
**15:00** სამთო-სათხილამურო სპორტი. უნივერსიადა. ქალები. გიგანტური სლალომი. II ცდა. თურქეთი (LIVE).
**19:00** ტრამპლინიდან ხტომა. უნივერსიადა. ერზურუმი. თურქეთი (LIVE).
**23:15** ფრისტაილი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სკი-კროსი. კვალიფიკაცია. დირ ველი. აშშ (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. ტესტები



ალონსო ყველაზე სწრაფი იყო

# მეორე დღე ალონსოსია

ვალენსიაში რიკარდო ტორმოს სახელობის ავტოდრომზე მიმდინარე მეორე სატესტო დღე „ფერარის" პილოტმა **ფერნანდო ალონსომ** მოიგო. ესპანელმა დაახლოებით ნახევარი წამით აჯობა მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ **სებასტიან ფეტელს**, რომელიც წინა დღის ლიდერი გახლდათ. ამჯერად „რედ ბულის" წევრი მეორე ადგილს დასჯერდა და ფერნანდოსთან 0.3 წააგო. სამეული შეავსო „ფორს ინდიას" შოტლანდიელმა დებიუტანტმა **პოლ დი რესტამ**. სხვათა შორის, DTM-ის სერიის მოქმედმა ჩემპიონმა ყველაზე მეტი - 111 წრე გაიარა.

მეოთხე ადგილზე გავიდა ბრიტანელი **ლუის ჰემილტონი** „მაკლარენის" შარშანდელი ბოლიდით, შემდეგ იყო პოლონელი **რობერტ კუბიცას** „ლოტუს რენო", ხოლო მეექვსე ადგილი მოულოდნელად HRT-ის პილოტმა **ნარაიან კართიკეიანმა** მოიპოვა.

ინდოელმა პილოტმა უკან ჩამოიტოვა **ნიკო როსბერგი** „მერსედესიდან", რომელსაც უფრო პროდუქტიული დღე ჰქონდა, ვიდრე სამშაბათს, როცა ჰიდრავლიკასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა ტესტების შეწყვეტა აიძულა. ამჯერად გერმანელმა 69 წრე გაიარა. დღეს ნიკოს **მიხაელ შუმახერი** შეცვლის.

ტესტების მეორე დღეს დებიუტი ჰქონდა „ლოტუსის" ახალ მანქანას. მისმა ფინელმა პილოტმა **ჰეიკი კოვალაინენმა** ბოლო შედეგი აჩვენა, თუმცა კმაყოფილი დარჩა ახალი მასით.

ალსანიშნავია, რომ ტესტები ოთხჯერ შეწყვიტეს წითელი დროშებით. ამის მიზეზი მორიგეობით გახდნენ - **რუბენს ბარიკელო**, პოლ დი რესტა, ნიკო როსბერგი და **სებასტიან ბუემი**.

**ტესტების მეორე დღის შედეგები**

| | |
|---|---|
| 1. ალონსო (ფერარი) | 1:13.307 (108 წრე) |
| 2. ფეტელი (რედ ბული) | +0.307 (43) |
| 3. დი რესტა (ფორს ინდია) | +0.537 (111) |
| 4. ჰემილტონი (მაკლარენი) | +1.046 (83) |
| 5. კუბიცა (ლოტუს-რენო) | +1.105 (104) |
| 6. კართიკეიანი (HRT) | +1.165 (80) |
| 7. როსბერგი (მერსედესი) | +1.338 (69) |
| 8. გლოკი (ვირჯინი) | +2.101 (34) |
| 9. ბარიკელო (უილიამსი) | +2.716 (51) |
| 10. პერესი (ზაუბერი) | +2.891 (42) |
| 11. მალდონადო (უილიამსი) | +2.959 (29) |
| 12. ბუემი (ტორო როსო) | +3.052 (46) |
| 13. ალგერსუარი (ტორო როსო) | +3.167 (64) |
| 14. უებერი (რედ ბული) | +4.058 (17) |
| 15. კოვალაინენი (ლოტუსი) | +7.342 (15) |

კალათბურთი

## ისევ იანაკისს ჩააბარებენ

საბერძნეთის ნაკრებში ვაკანტურია მთავარი მწვრთნელის პოსტი. ვადა გაუვიდა კონტრაქტს ლიტველ **იონას კაზლაუსკასთან**, რომელთანაც ადგილობრივმა ფედერაციამ ხელშეკრულება არ გააგრძელა: ბერძნებმა ჩააგდეს შარშან მსოფლიოს ჩემპიონატი, როცა მერვედფინალში დამარცხდნენ ესპანეთის ნაკრებთან.

ბერძნული პრესის ინფორმაციით, ნაკრების დამრიგებლის პოსტზე მთავარ კანდიდატად **პანაიოტის იანაკისი** მიიჩნევა. სწორედ ამ სპეციალისტმა მოაგებინა ელინებს ევროპის 2005 წლის ჩემპიონატი, ხოლო 2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე მეორე ადგილი მოიპოვა.

იანაკისის ბოლო სამუშაო ადგილი იყო „ოლიმპიაკოსი", რომელიც შარშან ევროლიგის ფინალში ათამაშა, მაგრამ იქ უშანსოდ დამარცხდა „ბარსელონასთან", გარდა ამისა, ფინალური სერია წააგო საბერძნეთის ჩემპიონატში „პანათინაიკოსთან", რის შემდეგაც იანაკისი პოსტიდან დაითხოვეს.

## თურქებმა მწვრთნელი შეცვალეს

თუ საბერძნეთში ნაკრების მთავარ მწვრთნელს ეძებენ, ეს საკითხი უკვე მოაგვარეს თურქეთში. ამ ქვეყნის ეროვნული გუნდი „ბანვითის" დამრიგებელს **ორჰიუნ ენეს** ჩააბარეს, რომელმაც შეცვალა **ბოგდან ტანევიჩი**, ვინც მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზე თურქებს ვერცხლის მედლები მოაპოვებინა.

ტანევიჩმა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ შეძლო მუშაობის გაგრძელება და საქმეები თავის მრავალწლიან ასისტენტს გადააბარა, თავად კი ნაკრებში კონსულტანტის სტატუსით დარჩა.

ცურვა

# ამფიბია დაბრუნდა

ოფიციალურად დადასტურდა ჭორი, რომლის გარშემოც ამ ბოლო დროს ბევრი მითქა-მოთქმა იყო - ხუთგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **იან ტორპმა** პრესკონფერენციაზე გამოაცხადა დიდ სპორტში დაბრუნების შესახებ. ლეგენდარული სპორტსმენი, რომელსაც „ადამიანი-ამფიბია" შეარქვეს, ლონდონის ოლიმპიადის საგზურისთვის იბრძოლებს.

წესების თანახმად, ტორპი ავსტრალიის ცურვის ფედერაციამ ანტისადოპინგო აღრიცხვაზე აიყვანა და ახლა მას ნებისმიერ შეჯიბრებაში შეუძლია მონაწილეობის მიღება. მოცურავე მიიჩნევს, რომ ძველ დონეზე დაბრუნება და დიდი ტურნირების მოგება არ გაუჭირდება.

*„სიმართლე ითქვას, სპორტში დაბრუნება ჯერ კიდევ სექტემბერში გადავწყვიტე, მაგრამ ახლო მეგობრებმაც არ იცოდნენ ამის შესახებ. რვა სხვადასხვა აუზში ვვარჯიშობდი, მუდმივად ვიცვლიდი ადგილს, რომ ყველაფერი საიდუმლოდ დარჩენილიყო. ჩემში დაბრუნების სურვილმა საბოლოოდ მაშინ გაიღვიძა, როცა ლონდონში გავფრინდი და ის ადგილი მოვინახულე, სადაც ცურვის ოლიმპიური ტურნირი უნდა გაიმართოს"*, - აღიარებს ტორპი.

ის არ მალავს, რომ ასეთი რთული გადაწყვეტილების მიღებისთვის ფსიქოლოგ **დეირდრე ანდერსონის** დახმარებას მიმართა. ეს ის პიროვნებაა, ვინც იანს 2006 წელს კარიერის დასრულება ურჩია. ირკვევა, რომ დიდი ხნის განმავლობაში 28 წლის ტორპს SMS-შეტყობინებების საშუალებით კონსულტაციები ჰქონდა ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელ **ლი ნაჯენტთან**, რომელიც პირადად დაესწრო ჩემპიონის ერთ-ერთ ვარჯიშს.

ტორპი ერთ დროს დაუმარცხებელი იყო თავისუფალი სტილით 200 და 400 მეტრ დისტანციებზე, მაგრამ ახლა სპრინტერულ დისტანციებზე გადასვლა გადაწყვიტა. მან განაცხადა, რომ 400 მეტრზე სათანადოდ მოსამზადებლად დრო არ ეყოფა. *„მაგრამ ყველანი გაკვირვებული დარჩებით, როცა მოკლე დისტანციებზე ჩემს გამოსვლას იხილავთ"*, - გვპირდება ავსტრალიელი. მან არ უპასუხა შეკითხვას - რა დროს აფიქსირებს ბოლო ვარჯიშებზე, თუმცა აღნიშნა, რომ საკუთარი სპორტული ფორმით თავადაც გაკვირვებული დარჩა.

*„ცურვის გარეშე ოთხი წელი ნამდვილად მოსაწყენი იყო. საქმე ფულსა და სპონსორულ კონტრაქტებში არ არის. უბრალოდ მივხვდი, რომ ისევ შემიძლია უმაღლეს დონეზე გამოსვლა. მინდა დავეხმარო ავსტრალიის ნაკრებს 4x100 და 4x200 მეტრზე ესტაფეტებში. ამ გადაწყვეტილებით ჩემი უნაკლო კარიერა კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენე, მაგრამ ვიცი, რასაც ვაკეთებ"*, - ამბობს ტორპი.

თუ „ადამიანი-ამფიბია" მოახერხებს ძველი ფორმის აღდგენას, მამაკაცთა ესტაფეტებში კონკურენცია ერთიორად გაიზრდება. როგორც ჩანს, ტორპი მართლაც კარგ ფორმაშია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთ თამამ განცხადებებს არ გააკეთებდა.

■ ■ ■

ტორპი დამსახურებულად მიიჩნევა ყველა დროის ერთ-ერთი უდიადეს მოცურავედ. ის პრაქტიკულად დაუმარცხებელი იყო 1998-2004 წლებში.

2000 წელს, სიდნეის საშინაო ოლიმპიადაზე იანი 17 წლის იყო, მაგრამ უკვე მოპოვებული ჰქონდა მსოფლიოს ჩემპიონატის ორი ოქროს მედალი.

სწორედ ტორპმა მოუტანა ავსტრალიის ნაკრებს სიდნეიში პირველი ოქრო, როცა 400 მეტრზე თავისუფალ სტილში გაანადგურა მეტოქეები. შემდეგ მეოთხე ნომრად გაცურა 4x100 მეტრზე კროლის ესტაფეტაში, შეინარჩუნა ამერიკელ **გერი ჰოლზე** მცირე უპირატესობა და ბოლო მეტრებზე გამოსტაცა მას გამარჯვება. მაშინ ამერიკელებმა ისტორიაში პირველად წააგეს ეს კლასიკური ესტაფეტა.

ერთ-ერთი ყველაზე დრამატული იყო გაცურვა 200 მეტრზე თავისუფალ სტილში. მაშინ ტორპისა და ჰოლანდიელი **პეტერ ვან დენ ჰუგენბანდის** დუელის გამო აუზში წყალი „დუღდა". პიტერი სტარტიდანვე გაიქცა. ტორპმა დაწევა სცადა და ბოლო 50 მეტრზე მოახერხა ამის გაკეთება, მაგრამ საფინიშო სპურტისთვის ძალა აღარ ეყო და ავსტრალიელი ვერცხლს დასჯერდა.

სამაგიეროდ, ტორპმა რევანში აიღო 4x200 მეტრზე ესტაფეტაში. ის პირველი მიცურავდა და უახლოეს მდევარს ათი მეტრი მოუგო, მისმა პარტნიორებმა კი შეინარჩუნეს ეს უპირატესობა. საბოლოოდ, ამერიკა ხუთი წამით ჩამორჩა ავსტრალიურ კვარტეტს. ოლიმპიადის ბოლოს ტორპმა კიდევ ერთი ვერცხლი მიიღო - 4x100 მეტრზე კომპლექსურ ესტაფეტაში მონაწილეობისთვის.

ოთხი წლის შემდეგ ათენში მოცურავეებმა ისეთი შოუ დადგეს, რომელიც შეიძლება აღარასოდეს განმეორდეს. როგორც ცნობილია, კომპანია Speedo-მ **მაიკლ ფელპსს** მილიონი დოლარი აღუთქვა რვა ოქროს მოპოვებისთვისა და **მარკ სპიცის** „მუდმივი" რეკორდის დამხობის სანაცვლოდ. ტორპმა მაშინვე განაცხადა, რომ ასეთ თამაშებში მონაწილეობა არ სურდა და ამის გამო არ გამოვიდა 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში.

თუმცა ოლიმპიადის წინ ტორპს სხვა საზრუნავიც ჰქონდა. მან კინაღამ დაკარგა თავის საყვარელ 400 მეტრზე გამოსვლის შანსი - ეროვნულ შესარჩევ ტურნირში სტარტის წინ ფეხი დაუცდა და წყალში ჩავარდა, რის გამოც ფალსტარტი დაუფიქსირეს. ავსტრალიაში მიხვდნენ, რომ ამ დისტანციაზე ოლიმპიურ ოქროს კარგავდნენ. გულშემატკივრები გააქტიურდნენ, საქმეში ავსტრალიის პრემიერმინისტრიც ჩაერია და საბოლოოდ, იმ გაცურვის მომგებ **კრეიგ სტივენსს** აიძულეს უარი ეთქვა ოლიმპიადაზე ტორპის სასარგებლოდ.

მაინცდამაინც ლამაზი ისტორია არ გამოვიდა, მაგრამ ფაქტია, რომ ათენში 400 მეტრზე გაცურვა მთელი ოლიმპიადის ერთ-ერთი მშვენება გახდა. ტორპი ოქროსთვის თავის თანამემამულე **გრანტ ჰეკეტს** ებრძოდა. ლიდერი ყოველ წამს იცვლებოდა და საბოლოოდ, იანმა თანაგუნდელს 0,24 წამი მოუგო.

მოცურავეთა ტურნირის მთავარი მოვლენა გახდა 200 მეტრი კროლი. მაშინ მას „ასწლეულის გაცურვა" უწოდეს. ერთმანეთის გვერდიგვერდ იდგნენ ტორპი, ვან დენ ჰუგენბანდი და ფელპსი. ამერიკელი მესამე ადგილზე გავიდა და რვა ოქროს მოგება შემდეგი ოლიმპიადისთვის გადადო. პირველი ადგილი ისევ ტორპმა და ვან დენ ჰუგენბანდმა გაითამაშეს. ისევე როგორც ოთხი წლის წინ, ჰოლანდიელი თავიდანვე წინ გაიჭრა, მაგრამ ამჯერად ტორპმა გაძლო და ფინიშზე დროული სპურტით გაიმარჯვა. ის ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.



იან ტორპი

4x200 მეტრზე ესტაფეტაში ტორპი ისევ მეოთხე ნომრად დააყენეს. ის აუზში ამერიკელ **კლიტ კელერზე** წამ-ნახევრით გვიან ჩახტა, თითქმის დაეწია მას და მხოლოდ 13 მეასედი წამი წააგო. 4x100 მეტრზე ესტაფეტა ავსტრალიამ ჩააგდო და მხოლოდ მეექვსე მივიდა ფინიშთან.

თავისი ბოლო ოლიმპიური მედალი ტორპმა 100 მეტრზე კროლში მოიპოვა. ის ბოლო მომენტში მოხვდა ფინალში, იქ თავიდან მეექვსე მიცურავდა. ბოლო გაქცევამ იანს ბრინჯაო მოუტანა და ამით პირველი ოლიმპიელი გახდა, ვინც ერთ ოლიმპიადაზე მედლები მოიგო 100, 200 და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში.

კალათბურთი

# უკონფლიქტო გაყრა



ერთად აღარ არიან

„სან ანტონიო სპურსის" გამთამაშებელმა **ტონი პარკერმა** და ჰოლივუდის მსახიობმა **ევა ლონგორიამ** გაყრის პროცესი დაასრულეს. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან ლონგორიას ადვოკატმა განქორწინებაზე დოკუმენტები ლოს ანჯელესის სასამართლოში შეიტანა, გაყრის პროცედურა ტექსასის შტატში დასრულდა.

ტონიმ და ევამ გადაწყვიტეს, რომ განქორწინებისთვის საუკეთესო ადგილი ტექსასი იქნებოდა, რადგან საქორწინო კონტრაქტზე ხელის მოწერაც ამ შტატში მოხდა. გაყრამ ყოველგვარი კონფლიქტის გარეშე ჩაიარა.

კალათბურთელმა და მსახიობმა 2007 წლის ივლისში მოაწერეს ხელი, ჯვრისწერა კი პარიზის კათოლიკურ ეკლესიაში ჰქონდათ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**